

24 საათი

პოლიტიკა

ოპოზიციის პრეზიდენტთან შესახებ დრო შეხვედრა

მიმდინარე კვირის მიწურულს პრეზიდენტი შეგარდნაძე ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებს უნდა შეხვედეს. ყოველ შემთხვევაში, პარლამენტის კულუარებში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ედუარდ შეგარდნაძეცა და ოპოზიციურ პარტიათა ლიდერებიც მზად არიან, საგანგებო სესიის დაწყებამდე ერთმანეთს ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების წესზე ერთობლივად, რათა, ბოლოს და ბოლოს, საერთო შეთანხმებას მიაღწიონ.

A2

უცხოეთი

ერაყში ბრიტანულ ჭარისკაცებს კლავინ

გუშინდელი ერაყის ქალაქ ამარას მახლობლად, ბასრადან 160 კილომეტრის დაშორებით, ექვსი ბრიტანელი სამხედრო მოსამსახურე მოკლეს. ამ ფაქტმა დიდი ბრიტანეთის საზოგადოების და ხელისუფლების უკიდურესი აღშფოთება გამოიწვია.

A5

საზოგადოება

შეთანხმებული პროექტის ვარიანტი კანცელარის გზას ადრის

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა შიმშილობის აქცია, რომელიც ექვსი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა პარლამენტთან, გუშინ შეწყდა. “ხელისუფლება დაგვიპირდა, რომ პარლამენტში ჩვენს პროექტს პარასკევიდან განიხილავენ”, - ამბობენ მომიშლილები.

A6

სამართალი

ჰიპოპოლიტის ექსტრადიკა განსაკუთრებულად გამკაცრებული დასჯით განხორციელდება

მოსკოვში თემურ ბეგბეგაშვილის სახელზე გაცემული ყალბი პასპორტით მცხოვრებ მეველედ ჭიჭიაშვილს, რომელიც ორი დღის წინ დააკავეს, ქართველი სამართალდამცველები რამდენიმე დღეში საქართველოში ელოდებიან.

A7

ნუ დაქავთ მთავრობის სდომავა!

პრეზიდენტის საერთაშორისო დახმეობა და საშინაო ირონია

თამარ ხორბალაძე

საქართველოს პრეზიდენტი და მთლიანად ხელისუფლება პანიკაშია - მთავრობის გუშინდელი სხდომა და ამ სხდომის წინ განვითარებული მოვლენები ამის დასტურს გახლდათ. ფაქტია, რომ შიდასახელისუფლებო დაპირისპირებები კულმინაციურ

ზღვარს აღწევს, საერთაშორისო სავალუტო ფონდის ვიზიტი საქართველოს “ურჩ” ხელისუფლებას კარგს არაფერს უქადის, საქართველოს პრეზიდენტი კი, რომელიც მმართველობის მთელი პერიოდის მანძილზე ხელისუფლებაში ძალთა დაბალანსებით იყო დაკავებული, მართვის სადავეებს თანდათან კარგავს და “წყობიდან გამოდის”.

შეგარდნაძემ გუბერნატორებისთვის შეპირებული მსხვერპლი არ გაიღო...

გუბერნატორებსა და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის უკვე საკმაოდ გართულეულმა ურთიერთობებმა განსაკუთრებული ძალთა საშუაბოს იწინა თვით, როცა ადგილობრივი ხელი-

სუფლების წარმომადგენლებმა პრეზიდენტთან მინისტრები “დასმინეს” და “სისხლის გამოშვება” ითხოვეს. დახურულ შეხვედრაზე, რომელიც პრეზიდენტთან სამი საათის განმავლობაში მიმდინარეობდა, განსაკუთრებული აქცენტი ფინანსთა და ენერგეტიკის მინისტრებზე იყო გაკეთებული, თუმცა არც განათლების

ბაზრძილაბა A3 გვირდვა

მთავრობას ქარბად არ უსმის, რა ხდება

ინეო ნარჩაბაშვილი

აუთოტაფი, რომელიც საქართველოში საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისი ვიზიტის მოწყობაზე ხოლომე, სრულიად არ არის უსაფუძვლო. ქვეყანაში არსებული ეკონომიკური მდგომარეობის ფონზე ხელისუფლებას უფლება არ აქვს, ინერტულად მოეკიდოს სავალუტო ფონდის შემორჩენულ გეგმებს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თანაც, მისიის წევრების მიერ შედგენილ დასკვნით დოკუმენტზე, შეიძლება ითქვას, საქართველოს ბედია დამოკიდებული. ზურაბ ნოღაიძის ის ადამიანი გახლავთ, რომელსაც, თავისი ათწლიანი პოლიტიკური კარიერის მანძილზე, მუდმივად შეხება აქვს ქართულ ეკონომიკაში ამ კარად თუ ფარულად მიმდინარე პროცესებთან.

- თქვენი აზრით, რატომ წარმოიშვა პრობლემები სავალუტო ფონდთან?

- პრობლემები იმის გამო გაჩნდა, რომ სავალუტო ფონდსა და საქართველოს მთავრობას შორის გაფორმებული თებერვალ-მარტის მემორანდუმში შეუსრულებელია. სავალუტო ფონდის ამ მისიას ორი ძირითადი მიზანი აქვს: პირველი ფორმალურია და საქართველოსთვის ამ ეტაპზე ნაკლებად მნიშვნელოვანია; კერძოდ, ე. წ. მეოთხე პარაგრაფის შესახებ

ბაზრძილაბა A3 გვირდვა

მთავრობას იმადი აქვს, რომ სავალუტო ფონდი პროგრამას აღადგენს

სოფო კვიციანი

დღეს სავალუტო ფონდის მისიის საქმოდ მძიმე შეხვედრები ელის. პაოლო ნეუჰაუსი ჯერ სათბობ-ნერგეტიკის მინისტრს დავით მირცხულავას, შემდეგ კი სავალუტო ფონდის მისიის მენეჯერს თავმჯდომარეს იასე ზუტაშვილს, საბაერ დეპარტამენტის თავმჯდომარეს დავით თარხან-მოურავს და ხაზინის უფროსს დავით რამიშვილს ხვდება.

სავალუტო ფონდის მისია, ვიზიტის მეორე დღეს, ფინანსთა მინისტრს მირიან გოგიაშვილს, მოგვიანებით კი, სახელმწიფო მინისტრს ავთანდილ ჯორბენაძეს შეხვდა. ფინანსთა სამინისტროში გამართული შეხვედრა თითქმის ოთხ საათის გრძელდებოდა და როგორც შეხვედრის მონაწილე ორივე მხარე აცხადებს, მხოლოდ განხილვის ხასიათის იყო. შეხვედრაზე სავალუტო ფონდის ფინანსთა სამინისტროს მისამართით პრეტენზიები არ გამოუთქვამს. პარალელურად და რეგულარულად კანცელარიაში გამართულ მთავრობის სხდომაზე პრეზიდენტმა შეგარდნაძემ სავალუტო ფონდის საქმიანობასთან დაკავშირებით მოულოდნელი განცხადება გააკეთა. პრეზიდენტი შეგარდნაძის თქმით, სავალუტო ფონდი ათი წელია, რაც საქართველოს პარტნიორია და მას ქვეყანაში უამრავი პროექტი აქვს დაწყებული, რომელთა შუაგულზე მითვება ასე იოლი არ არის. პრეზიდენტმა ისიც განაცხადა, რომ აპირებს სექტემბერში, გაერო-ში დაგეგმილი ვიზიტის დროს, ამ საკითხებზეც ისაუბროს. სავალუტო ფონდის მისიის ხელმძღვანელი პრეზიდენტის ნათქვამთან დაკავშირებით მხოლოდ ზოგადი კომენტარით შემოიფარგლა და განაცხადა, რომ მას არ მოუხმენია, თუ რა კონკრეტულმა გააკეთა ედუარდ შეგარდნაძემ ამგვარი განცხადება.

ბაზრძილაბა A4 გვირდვა

„კმარას“ აქტივისტებს უპიპროება უთვალთვალაბს



“თავისუფლების ინსტიტუტი” და ოპოზიციური პარტიები ძალგვანებს კანონების დარღვევაში ადანაშაულებენ.

“კმარას” რამდენიმე სტუნდენტი-აქტივისტი აცხადებს, რომ თსუ იურიდიულ ფაკულტეტზე, სადაც ისინი სწავლობენ, დადის უშიშროების თანამშრომელი და ფაკულტეტის დეკანისგან მათ შესახებ ინფორმაციას აგროვებს.

ვარიკო თაყვაძე

კერძო ცხოვრების ხელშეუხებლობას, საქართველოს კონსტიტუციის გარდა, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, ზოგადი ადამიანის უფლებების დეკლარაცია და მინისტრაციული კოდექსი და “ოპე-

რაციულ-სამხედრო საქმიანობის შესახებ” კანონი იცავს. კანონის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს ეკრძალება ისეთი ინფორმაციის მოპოვება და გავრცელება, რომელიც ადამიანის პოლიტიკურ, რელიგიურ და სხვა მსოფლმხედველობრივ შეხედუ-

ლებებს უკავშირდება. ოპერატიულ სამსახურებს მხოლოდ იმ ინფორმაციის მოპოვება შეუძლიათ, რომელიც პირდაპირ არის დაკავშირებული დანაშაულებრივ საქმიანობასთან.

ბაზრძილაბა A2 გვირდვა

აკაველას გაკვეთილი ფილარმონიაში

Take 6 თბილისის მეზვიდე საერთაშორისო ჯაზ-ფესტივალის ბოლო აკორდი

ვირა ნაფარიძე

ნუხელ ფილარმონიაში წლევანდელი ჯაზ-ფესტივალის უკანასკნელი კონცერტი გაიმართა. ამ დღეს თავად ფესტივალის ორგანიზატორები სამი წელიწადი ელოდნენ. სწორედ ამ ხნის განმავლობაში ანარმობდა “ისტერნ პრომოუშენი” Take 6-ის მენეჯმენტთან მოლაპარაკებებს, მაგრამ სამწუხაროდ ქართველი და ამერიკელი შოუ-ბიზნესმენების გეგმები ერთმანეთს არ ემთხვეოდა. საბოლოოდ, როგორც იქნა, თბილისი ჩაჯდა ამერიკელი მუსიკოსების ტურნეს განრიგში და ვიქტორბ, ისევე როგორც ქართველ მსმენელს, თავად Take 6-ის წევრებსაც დასაანანი არაფერი აქვთ. სათანხვერიათი კონცერტი ემოციებსა და დაუზარელ აპლოდისმენტებში გაიღია.

ბაზრძილაბა B3 გვირდვა



Take 6-ის კომპოზიცია - დასკვნითი აკორდი.

დემოკრატია რუსულად

ნიკოლაი კატროვი

“თიხტანის ფონდი”

დეკემბერში დაგეგმილი, დუმის არჩევნები პირველი სერიოზული გამოცდა იქნება როგორც ზოგადად პუტინის მიერ შექმნილი “მართვადი დემოკრატის”, ისე მმართველი პარტიისათვის.

დღეს, თითქმის ყველა მოდური ექსპერტი საუბრობს იმაზე, რომ დუმის არჩევნებში ყველაფერი უკვე გარკვეულია და საინტერესო აქ არაფერი მოხდება. მაგრამ, თვით “მართვადი დემოკრატიაშიც” კი, პოლიტიკა სიურპრიზებისაგან არაფერ დახვეული არ არის. დღევანდელი მდგომარეობით, მხოლოდ ორ პარტიას – “კომუნისტებსა” და “ერთიან რუს-

ეთს” აქვს იმის გარანტია, რომ 5-პროცენტთან ბარიერს გადალახავენ. დანარჩენები, იქნებინ ეს “მემარჯვენეები”, “იაბლოკი” თუ “ლიბერალ-დემოკრატები”, ზღვართან დგანან. ასე რომ, ხმათა სულ რამდენიმე პროცენტმა შეიძლება ძალზე დიდი გავლენა იქონიოს მომავალ დუმაში ძალთა გადანაწილებაზე. თუ არჩევნებში სიურპრიზები მა-

რთლაც მოხდება, ამის მიზეზი იქნება არა ამომრჩევლის პოლიტიკური სიმპათიების შეცვლა, არამედ არჩევნების ე.წ. “ტექნიკური” ასპექტები. მაშინ, როდესაც პოლიტიკოსები ერთმანეთს ეჯიბრებიან პოპულარობისათვის, და ამასობაში ჟურნალისტები ბედს ეძებენ, ულისებებს მიღმა

ბაზრძილაბა A5 გვირდვა

“ვაფხისტყაოსანი” ისრაელის სკოლაზი ისავალაზა

ლალა მკადლიძე

დღეს დილას ისრაელის პრემიერ-მინისტრ არიელ შარონთან შეხვედრის შემდეგ, ნინო ბურჯანაძე უკვე ისრაელის ლემუსან-ნიშნაობათა სანახავადაც მოიცლის. მას მუზეუმ “პატარა ისრაელს” და ძველ ქალაქს დათვალვორებინებენ. შუადღისას ჩვენი დელეგაცია იერუსალიმის პარტაოჩქასც შეხვედმა.

გუმინ კი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ახლადარჩეულ ქნესეთში ისრაელ-საქართველოს მეგობართა ჯგუფს, მის ხელმძღვანელ რომან ბროფმანს და ქალ დელუტატებს შეხვდა. ამის შემდეგ ჩვენი დელეგაცია ქალაქ ამკელონში გაემგზავრა და ამკელონის მერი, საქართველოს საპატიო კონსული მათბაი (ყურიც ინახულა. თუ ვიზიტის პირველი დღის საზეიმო სადილი ჩვენს სპიკერს და მის მსლებელთ ქნესეთის თავმჯდომარის სახელით გაუმართეს, გუმინ საქართველოს წარმომადგენლებს გახშით ათბაი (ყური გაუმასპინძლდა. საზეიმო ვახშამზე პარლამენტის თავმჯდომარე ქართული ცეკვებითაც დაატკბეს. საქართველო რომ მხოლოდ ცეკვა-სიმღერებით არ არის ენაგებობისათვის ახლებელი, ამაში ნინო ბურჯანაძე ჯერ კიდევ ქნესეთის თავმჯდომარესთან შეხვედრის დროს დარწმუნდა. როგორც სპი-

კრმა რეილინმა მასთან საუბრისას განაცხადა, “ვეფხისტყაოსანი” ისრაელის სკოლებში ისხაველება, როგორც სავალდებულო კლასიკური ნაწარმოები.

გუმინდელი შეხვედრების დროს, სხვა საკითხთა შორის, კვლავ იყო საუბარი აფხაზეთის თემაზეც. ქნესეთის წევრებს ნინო ბურჯანაძე ამ კონფლიქტთან დაკავშირებით, ძირითადად, ინფორმაციული ხარის ცნობებს აწვდიდა.

თავის შორე, ვიზიტის პირველი დღიდანვე საქართველოს წარმომადგენლებმა ისრაელ-პალესტინის კონფლიქტზე ბევრი რამ მოისმინეს, ასევე, ამ კონფლიქტის გადასაწყვეტად შემუშავებული ენ “როულ მეფეზე” (საგზაო რუკა) - საუბართა რეკომენდაციებზე, რომელიც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, რუსეთმა, გაერო-მ და ევროკავშირმა ამ კონფლიქტის ნაიჯე-ნაიჯე გადასაწყვეტად შეიმუშავეს.

პარლამენტის თავმჯდომარის ვიზიტის დროს უკვე დანაშაულებით გადაწყდა, რომ საპარლამენტო არჩევნებისათვის ისრაელი დამკვირვებლების გამოგზავნას აპირებს.

ისრაელის პოლიტიკური წრეების წარმომადგენლები ნინო ბურჯანაძეს საქართველოსთან ურთიერთობის გასაღრმავებლად აქტიურბაზის ითქმის ყველა შეხვედრისას ჰპირდებოდნენ. გამონაკლისი, წესით, არც პრემიერ-მინისტრ შარონთან შეხვედრა უნდა იყოს.

სუთდლიანი მანდატი

რუსმა კანონმდებლებმა სწრაფი რეაგირება მოახდინეს 19 ივნისს პარლამენტში მიხეილ პრეზიდენტის წერილზე, რომელიც პუტინი ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში რუსი სამშვიდობოებისათვის მანდატის გავრცელებას ითხოვს, თანაც სულ რაღაც ზუთი დღით.

რუსმა კანონმდებლებმა ხმათა უმრავლესობით მიიღეს პრეზიდენტის წინადადების საფუძველზე ზედა პალატის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის მიერ წარმოდგენილი დედაქნილების პროექტი. “კონფლიქტური ძალების შევადგენლობაში რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების გამოყენება”.

სპიკერი სერგეი მირონოვი ჩქარობდა დეკლარაციის უპირველესად გატანას და კოდეგების დათვრულ თხოვნას, დახურული სხდომა გაეშარათა, ყურის არ ათხოვს. შედეგად მივიღეთ გაურკვეველი მიზნარის დეკლარაცია, რომელიც, სენტრების აზრით, “ზიანს აყენებს რუსეთის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს სამართლებრივ ბაზას”. რუსი სენატორის, გენერალ გალერი მანილოვის კომენტარით, სენატი იძულებული შეიქნა, ასეთი გზით გამოსულიყო იურიდიული ჩიხიდან, რამაც განაპირობა მანდატის ვადის დასრულებამდე დარჩენილ 5 დღეში, 30 ივნისამდე გავრცელება. სა-

მართლებრივ-იურიდიული ასპურდი რუსეთის პარლამენტის ზედა პალატაში საქართველოს პოზიციას ბრალდება. რუსეთის მხარე ამას კონფლიქტის დარეგულირების პოლიტიკური ნების არქონით ხსნის.

მანდატი გაგრძელებულია, მაგრამ გაურკვეველია კონფლიქტის ზონაში რუსი სამშვიდობოების ზედი. სანქტ-პეტერბურგში მანდატის თაობაზე შევერდნაძესა და პუტინის შორის მიღწეულ სიტყვიერ შეთანხმებას, ორ კვირაში მხარეებს კონკრეტული მექანიზმი შეემუშავებინათ, უკვე გაუვიდა ვადა.

დღეს რუსეთის სენატში მიღებულ დასკვნით დედგენილებაში წერია:

“ამ რეგიონში სიტუაციის ანალიზი გავფიქრებინებს, რომ სამშვიდობო ოპერაციაში რუსეთის კონტინენტის მონაწილეობის შეწყვეტა ჩაბლის პოლიტიკური და რეგულირების პროცესს, ვითარებას მკვეთრად გააძნეავებს და გამოიწვევს კონფლიქტის მხარეებში საომარი მოქმედების განახლებას”. იქვე წერია, რომ სენატში პრეზიდენტის ერთი შეტანილი წინადადების თანხმად, მანდატი 30 ივნისამდე უნდა გავრცელდეს. კიდევ რა წერია უფროსი მიზნარში, ამაზე დანერგული იმფორმაცია პრესისათვის დახურულია, ისევე, როგორც დახურულია თემა, თუ რას უშიშროებს საკუთარ სამშვიდობო კონტინენტს რუსეთის უმაღლესი მთავრობადალი: თუ თბილისი იტყვის, მართლა ორ კვირაში გაიყვანენ სამშვიდობოებს აფხაზეთიდან, თუ სინაშდვილები რუსეთის სხვა უფლებებს იტოვებს?

გიორგი ასანიძელი

გუმინ სასტუმრო “შერატონ მეტეხი პალასში” გაიხსნა “აზრეთუმი გზის” პირველი საერთაშორისო სიმპოზიუმი. კონფერენციაში მონაწილეობენ მეცნიერები საქართველოდან, თურქეთიდან, აზერბაიჯანიდან, ირანიდან, რუსეთიდან, უზბეკეთიდან და სხვა ქვეყნიებიდან, რომლებზეც “აზრეთუმი გზა” გადის. ღონისძიების ორგანიზატორები არიან საქართველოს მეცნიერებათა აკადემია და შაჰი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი. სიმპოზიუმზე გაკეთებულ მოხსენებებს მარკომენდაციო ხასიათი აქვს, მოგვიანებით ისინი შევერდება და განსაზოვიკლებლად მთავრობებს წარედგინება.

“შერატონ მეტეხი პალასში” გამართულ შეკრებას მკვეთრად გამოხატული სამეცნიერო ხასიათი აქვს და პოლიტიკოსგან, ერთი შეხედვით, შორს დგას. **“უნდა შექმნაში “აზრეთუმი გზის” სამეცნიერო სივრცე”** - აცხადებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ალბერტ თავგენი და ამ “დევიზს” კონფერენციის ყველა მონაწილე იზარებს. თუმცა, “დიდი პოლიტიკის” მსახურად ხელს სიმპოზიუმი მაინც ვერ გაეცეცა და ამაში, უშიშრეველსად, ქართული მხარე “დამნაშავე”. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის მიხედვით სააკაშვილსა და პარლამენტის ვიცე-სპიკერის ვახტანგ რჩეულიშვილის მისალმებელ განხილვებში პოლიტიკური “მახელები”, მართალია, დასმული თითქოს არ ყოფილა, მაგრამ საკმაოდ ადვილად მისაგებელი მინიშნებები მაინც ვაკეთდა. ისინი, ძირითადად, საქართველოში არსებულ ანტირუსულ და პრორუსულ ორიენტაციას უკავშირდება.

“თურქეთი იყო და არის საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე საიმედო და ეფექტური პარტნიორი. იმდენი, ის ასეთად და-

კოროვიკო პრაუიდეხტთან შუახხვადრად ემუხადაზა

თამარ მკადლიძე

მიმდინარე კვირის მიწურულს პრეზიდენტი შევარდნაძე ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებს უნდა შეხვდეს. ყოველ შემთხვევაში, პარლამენტის კულტურაგბმე ცენტრებელი ინფორმაციის თანახმად, ედუარდ შევარდნაძეცა და ოპოზიციურ საქატიათა ლიდერებიც შუად არიან, საგანგებო სესიის დაწყებამდე ერთმანეთს ცენტრალური საარჩევნო კომისიის და კომპლექტების წესზე ეთათბირონ, რათა, ბოლოს და ბოლოს, საერთო შეთანხმებას მიიღვიონ.

სახელისუფლებო და ოპოზიციური ფრაკციები პარლამენტში ამ საკითხზე კონსენსუსს რომ ვერ მიიღვენდენს, ეს თავიდანვე ცხადი იყო. “24 საათი” არჩევნების წერდა იმ მიზეზების თაობაზე, რომელიც შეთანხმების მიღვევას აზარავს ხდოდა. თავდა განსაზოვდა საქართველოში ბოლო რვა წლის მანძილზე გამართულმა ყველა დონის არჩევნებმა ცხადყო, რომ კენჭისყრას იგებს ის, ვისაც, უხმაოდ რომ ვთქვათ, ნებისა და-თვლივ კანტონაში საკუთარი ინტერესების პროფესიონალი დამოკრძალი მკავს.

მათალია, წარსულში ერთიან და მძლავრ “შექავებში” დღეს ყველა ერთხმად უკვირებს, რომ მისმა ადგილებებმა ყველა არჩევნებში გააყაბლეს, მაგრამ ამ მხრივ უტოდეველი არც სხვა პარტიები ყოფილან. გაყაბლებების ტექნოლოგიების თაობაზე შესანიშნავად უნებან იმავე “ალიონინებამ”, “ეროვნულ-დემოკრატიულმა”

უპირატესობა მინეს “კალაზნიკოვზს” ანიჭაზენ

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ქვედანაყოფები, რომლებმაც “წერთისსა და აღჭურვის” პროგრამის ფარგლებში მომზადება გაიარეს, შუად არიან ნებისმიერი რთული ამოცანის შესასრულებლად, მაგრამ ის, თუ კონკრეტულად რომელ ოპერაციებში მიიღებენ ისინი მონაწილეობას, საქართველოს მთავრობის საქმეა.

ამის შესახებ ოთხშაბათს, საჩვენებელ მეცადინეობაზე, ყურნალისტებს გაუწყდადა საქართველოში მყოფი ამერიკელი სამხედრო ინსტრუქტორების ჯგუფის ხელმძღვანელმა, მაიორმა კრის სტერლინგმა.

“წერთისსა და აღჭურვის” პროგრამა 2002 წელს დაიწყო. მის ფარგლებში მომზადება უკვე გაიარეს “კომანდოს” ბატალიონმა და საჩხერის მე-16 სამთო-მსროლელმა ბატალიონმა.

ამჟამად, მიმდინარეობს მე-11 მოტო-მსროლელი ბრიგადის მსუბუქ ქვეითთა 113-ე “შაენაბადას” ბატალიონის წერთის პროგრამაში 66 ამერიკელი სამხედრო ინსტრუქტორი მონაწილეობს, რომელთათან 25 საზღვაო ქვეითია, ხოლო დანარჩენი - ევროპაში აშშ-ის შეიარაღებული ძალების სამხედრო მისამახაზურეები არიან.

მორიგე ბატალიონის მომზადების შემდეგ ინსტრუქტორების შეცვლა ხდება. კრის სტერლინგის თქმით, თითოეუ-



სიმპოზიუმი “აზრეთუმი გზის” მეცნიერულ-კულტურულეკიურ პრობლებებს მიეძღვნა. მაგრამ პოლიტიკას მაინც შეეხო.

რეგია იმის მიუხედავად, ვინც არ უნდა მიიღვს საქართველოს ხელისუფლებაში არადა, ჩვენი ქვეყანა დიდი ცვლილებების მიგნასთან რომ დგას, ეს ცხადვე ცხადია” - აღნიშნავს სააკაშვილი, რომელიც, ღონისძიების აკადემიური ხასიათის გათვალისწინებით, უფრო მკვეთრი განცხადებების გაკეთებისად თავს იკავებს და აღარ აკონკრეტებს, ხელისუფლების სათავეში ვინ “მიიღება” მოვიდეს. მისევე აზრით, “თურქეთთან ინტეგრაციის გზით - ევროპისკენ” - ზოგადდად ასე შეიძლება განისაზოვროს საქართველოს ხელისუფლების მთავარი ამოცანა, რადგანაც საერთო ევროპულ ოჯახში ჩვენი ქვეყნის დამკვიდრებაზე საუბარია.

თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გუმინ, მართალია, ერთხელაც არ უსენებია და არ გაუკრტიკებია რუსეთი, მაგრამ ეს ნაადილი მიხედვით სააკაშვილს თურქეთის მოქალაქეობის ქვებით აინახაღურა. “ნაციონალური მოძრაობის” ლიდერის მტკიცებით, უახლოეს ათწლეულში თურქეთი აუცილებლად გახდება ევროკავშირის წევრი, რადგან მისი განვითარების ტემპები საკმაოდ შთაბეჭდვითა, ასეთი პროგრესი, თავის დროზე, “აზიურ ვეფხვებსაც” კი არ ჰქონიათ.

რაც შეეხება სოციალისტური პარტიის თავმჯდომარეს, მან ტრინიდად, ძირითადად, იმისთვის გამოიყენა, რომ სიმპოზიუმის მონაწილეებისთვის თავისი ე.წ. “ჯვარდინი კონცეფცია” გაეშარათ. **“დასავლეთ-აღმოს-**

სავლეთის ურთიერთობის ვექტორი ბოლო წლებში თანდათან ჩრდილოეთ-სამხრეთის ღრძობაც შეიცვალა” - კმაყოფილებით დაძისნა პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე.

სხვა გამოხატულებები, სააკაშვილსა და რჩეულიშვილისგან განსხვავებით, აპოლიტიკურები იყვნენ, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ თითოეული მათგანი - ქართველიც და უცხოელიც, თავს მოვალედ მიიჩნევდა, რომ საქართველოს პროზიდენტის პირიქული დამსახურებისთვის გაესევა ხაზი და აღენიშნა, რომ “აზრეთუმი გზის” აღდგენის იდეა სწორედ ედუარდ შევარდნაძეს ეკუთვნის.

სიმპოზიუმი 27 ივნისს დაასრულებს მუშაობას.

პუტინი ბრიტანეთის პანკიოზა საუბროს

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა ედინბურგში გამოსვლისას ისევ განაცხადა, რომ რუსეთი შუად არის, საქართველოს პანკიოს ხეობის პრობლემების გადაჭრაში დატანობის. პრეზიდენტის თქმით, მისკვირს და თბილისის ომშირე ურთიერთობებში გადაწყვეტილი პრობლემები არ არსებობს, ვინაიდან ერთიან - “საქართველოს ტერიტორიაზე დედმდე იმყოფება ბანდფორმირება, რომელსაც კავშირი აქვს ალ-ქაიდასთან”.

რუსეთი შუად არის, პანკიოს პრობლემის გადასაჭრად საქართველოს ფული, იარაღ მისცეს და რუსეთის არმიის სპეციალისტთა უშუალო მონაწილეობა შესთავაზოს, - განაცხადა პუტინმა

დღეს ედინბურგში შოტლანდიის სამეცნიერო საზოგადოებრივი და საქმიანი წრეების წარმომადგენლებთან შეხვედრაში.

მან ასევე აღნიშნა, რომ **“თუ ქართული მხარე ამ წინადადებაზე უარს ამბობს, მაშინ მან ეს პრობლემა დამოუკიდებლად უნდა გადაწყვიტოს”**. **“დამიანებს, რომლებმაც პანკიოს ხეობაში, საქართველოში გაიარეს მომზადება, პერიოდულად ევროპის ქვეყნებში - პარიზში, ბერლინსა და რომში იქყრენ, ხოლო თუ ამოუქვეყნა, ისინი შეიძლება გაერთიანებულ სამეფოში ვიპოვონ”**, - განაცხადა რუსეთის სახელმწიფოს მეთაურმა.

ინტერ-პრესი

მოკლედ

თბილისი. მოლაპარაკებები ქართველ და რუს ექსპერტებს შორის აფხაზეთის გავლით რკინიგზის აღდგენის თაობაზე 26 ივნისს თბილისში გაიმართება. **პრაიმ-ნიუსი**

თბილისი. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ქვედანაყოფები, რომლებმაც “წერთისსა და აღჭურვის” პროგრამის ფარგლებში მომზადება გაიარეს, შუად არიან ნებისმიერი რთული ამოცანის შესასრულებლად, მაგრამ ის, თუ კონკრეტულად რომელ ოპერაციებში მიიღებენ ისინი მონაწილეობას, საქართველოს მთავრობის საქმეა. **პრაიმ-ნიუსი**

თბილისი. “ლეიბორისტული (შრომის) პარტიის” ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა ოთხშაბათს, საქართველოში ერთდღიანი ვიზიტის მყოფი, აშშ-ს ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის პრეზიდენტი კენეტ ვოლექი მიიღო. **პრაიმ-ნიუსი**

თბილისი. სახალხო დამცველი ნანა დედეღარიანი თანამდებობიდან გადადგომას და 2 ნოემბერს დანიშნულ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღებას არ აპირებს. **პრაიმ-ნიუსი**

თბილისი - აშშ-ს სახელმწიფო მდივნის პირველი მოადგილე რიჩარდ არმეტიჯი ვაშინგტონში საქართველოს, უკრაინის, უზბეკეთის, აზერბაიჯანის და მოლდოვას ელჩებს შეხვდა, რომლებიც სუაუამ-ის წევრ ქვეყნებს წარმომადგენენ. **პრაიმ-ნიუსი**

თბილისი. პარლამენტის ფრაქცია “მრეწველებს” წევრი ვახტანგ ხმალავი მიიწინეს, რომ მინისტრთა კაბინეტის შემოღების საკითხი 2004 წლის ბოლოს დადგება დღის წესრიგში. **პრაიმ-ნიუსი**

თბილისი. ოპოზიციური პარტიების ერთ ბლოკად გაერთიანება წარმოუდგენელია, - მიიჩნევს პოლიტიკური გაერთიანება “ერთობის” თანამდებლობარე, პოლიტოლოგი ალექსანდრე ჭავჭავაძე. ოპოზიციური პარტიები საკუთარი მსოფლმხედველებით ძალანან განსხვავებულნი არიან და ერთადერთი, რაც მათ აერთიანებთ, არის “ვითამ პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის წინააღმდეგ ბრძოლა, რომელიც ისედაც მიდის”, - განაცხადა მან. **პრაიმ-ნიუსი**

რუსეთი. რუსთავეტი ოფიციალურად დაფუძნდა დედნოლა ახასამთავრობო ორგანიზაცია “სახანაზოლი”, რომლის დამფუძნებლებმა ქვემო ქართლის არასამთავრობო ორგანიზაციათა კოორდინატორთან პირველი სამუშაო შეხვედრა მოახყვეს. ორგანიზაციის მიზანში რუსეთის სხვადასხვა საერთო საცხოვრებლებში უკიდურესად მძიმე პირობებში მცხოვრები დევნილების სოციალური პრობლემის გაუჭურბოსება. **მედია-ნიუსი**

თბილისი. განსაკუთრებულ საქმიანო მინისტრ მალხაზ კაკაბაძისთვის გაუჭურბარია დღეს გაკრეცლებული ინფორმაცია, თითქოს რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბიროს ზედა პალატამ (ფედერაციის საბჭო) ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში მშვიდობისმოყვრელების მანდატი ზუთი დღით, ანუ 30 ივნისამდე გაუჭურბოლა. კაკაბაძის თქმით, მშვიდობისმოყვრელების მანდატი 1 ივლისს უწურებთა, ამიტომ, თუ სათათბიროს ზედა პალატამ ხმათა უმრავლესობით მანდატის ზუთი დღით გაგრძელება დაამტკიცა, შესაბამისად, საუბარი მის 6 ივლისამდე გაგრძელებაც უნდა იყოს. **მედია-ნიუსი**

ზუგდიდი. გუმინ ზუგდიდის მერს ნუგზარ ანთაღვას დახურულ კარს მიღმა შეხვდნენ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში რუსი მშვიდობისმოყვრელების სარდლის მოადგილეები ანდრეი ხაიროვი და ალექსანდრე კონდრატევი. შეხვედრის მიზანი იყო გაღის რაიონში დედენილთა დასაბურუნებლად მათი აღრცეცხვიანობის საკითხის განხილვა, ხოლო ინიციატიორი - თავდა რუსი მშვიდობისმოყვრელების სარდლი ალექსანდრე ვეჭევეი. **მედია-ნიუსი**

გორი. პოლიტიკური გაერთიანების “ერთობის” გაფართოებული კონფერენცია დღეს გორში გაიმართა. გაერთიანების ლიდერს ვუჭერებ პატაკიანის დეპუტატობის მაჟორიტარი კანდიდატი დღეს გორელებისთვის არ ნაწოდენია. **ინტერ-პრესი**

თბილისი. საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი ბათიაშვილი რუსეთის პრეზიდენტის მიერ პანკიოს ხეობისთან დაკავშირებით გაკრეცვულ განცხადებებს საქართველოსთვის პრეტენზიების წაყენების მორიგ საბაბად მიიჩნევს. **ინტერ-პრესი**



ისინი შუად არიან საქართველოს მთავრობის დავალებათა შესასრულებლად.

ლი ბატალიონის მომზადების მეთოდიცა და მიხედვის სხვადასხვაა.

მისი თქმით, ბატალიონ “კომანდოს”

წენ. მაგალითად, კახა თარგამაძე მინისტრობის პერიოდშიც კი არ მალავდა თავის საქმიანობას და ხმაამალა აცხადებდა - ზეპირად ვიცი, რომელი დეპუტატი რას ამბობს საკრის წინო. მსგავსი მომხდენები ფორდენ ინიჯასაც სჩვევია, - პარლამენტ-არ კობა დაჯიჯიანის არც კვიო პირთა მსმენებელ უწინის დიდ საფრთხეს, - პრინციპში, რასაც კერძო საუბრებში ვამბობ, მეორე დღეს ცენტრალურებულს ვაუწყებ. მისმინონ რა...”

თავისუფლების პრესკლებში შეხვედრაზე ყურადღება საკანონმდებლო ლავსუსებზე გამახვილეს. იურისტებმა აღნიშნეს, რომ ის საკანონმდებლო აქტები, რომლებიც კერძო ცხოვრების ხელშეწყობას უზრუნველყოფენ, ხშირად ერთ-

ყურადღება დაეთმო სამთო პრობლებში სპეციალური ოპერაციების ჩატარებას.

“შაენაბადას” ბატალიონს, რომელიც 560 სამხედრო მოსახლური არის და-კომპლექტებულია, განსაკუთრებული დანიშნულება არ გააჩნია.

მან თქვა, რომ ქვედანაყოფის მომზადებისას აქცენტი კეთდება საბატრულო ოპერაციებზე, ახლო მანძილზე და დასახლებულ მუქეტებში ბრძოლებზე.

“წერთისსა და აღჭურვის” პროგრამის ფარგლებში მომზადებული ქვედანაყოფები - ოთხი ბატალიონი და ერთი მექანიზირებული ასულეო - ერთ ბრიგადამო გაერთიანდებიან.

თითოეული ბატალიონი მიიღებს შესაბამის აღჭურვილობას: ფორმას, იარაღს - ძირითადად AKC და AKM სისტემის ავტომატებს, საბრძოლო მასალებს, კავშირგაბმულობის საშუალებებს, სანავის და სამშენებლო მასალებს.

კითხვაზე, რომელ იარაღს ანიჭებენ უპირატესობას ამერიკული ინსტრუქტორები, “შაენაბადას” ბატალიონის კურანტებშია ლიტერატურაზე ჯეიმს პატენმა აღნიშნა, რომ ქართველი სამხედროების მომზადებისას “კალაზნიკოვის” სისტემის ავტომატები გამოიყენება, რომლებიც ადვილი ასათვისებელია და მათი მომზარება მოსახერხებელია.

პრაიმ-ნიუსი

„კმარას“ ზმტივისტებს უშიშროებას უთვალთვალეს

პირველი ბკარდიან

გენელმა ლევან რამიშვილმა.

დღეს მოქმედი კანონის მიხედვით, თუკი ოპერატიული სამსახურების ხელში შემთხვევით მოხვდება ისეთი ინფორმაცია, რომელიც დანაშაულებრივ ქმედების არ უკავშირდება, იგი დაუყოვნებლო უნდა განადგურდეს. ამის შესახებ გენერალურს ან მის უფლებამოსილ მოადგილეს ცნობობს. როგორც გუმინდელ შეხვედრაზე აღნიშნა, საქართველოში მსგავსი ფაქტი ოფიციალურად არასოდეს დაფიქსირებულა.

“უშიშროების სამინისტრომაც, ამ უწყების დაუფინანსებლობის გამო, დიდ საფრთხეს ვერ ვგრძობ, მაგრამ არსებობენ მდიდარი დავჯგუფებები და პაროვნები, რომლებიც ძვირადღირებულ ტექნიკის ფლობენ და სხვათა საუბრებს იმე-

მანეთთან წინააღმდეგობაში მოდიან. კონსტიტუციური რეფორმების და არასამთავრობო სექტორის ცენტრს საკანონმდებლო ინიციატებით გამოვიდა. ცენტრის თანამშრომლებმა “პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ” კანონპროექტი წარმოადგინეს. სა

ნუ დეჰავთ მთავრობის სდომაზე!

პირველი გვირგვინი

მინისტრისა და თბილისის საკრებულოს ურთიერთობის საკითხი დარწმუნოვანი განხილვები ედუარდ შევარდნაძემ სამშაბათს გუბერნატორებს პირობა მისცა, რომ თბილისის სხდომაზე სერიოზულ განცხადებებს გააკეთებდა და გარკვეულ საკადრო გადაწყვეტილებებსაც მიიღებდა.

გუშინ გამოჩნდა, რომ საქართველოს პრეზიდენტი ამ პირობის იმ ფორმით აღსრულებას, როგორც ამას გუბერნატორები მოელოდნენ, ნამდვილად არ აპირებდა. მირიან გოგიაშვილის სხდომაზე არყოფნის მოტივით (რაც იმთავითვე ცნობილი იყო - ფინანსთა მინისტრს გუშინ სსფ-სთან ჰქონდა შეხვედრა), პრეზიდენტმა მინისტრებისა და გუბერნატორების დაპირისპირების საკითხის განხილვა, ფაქტობრივად, გადადო და კატეგორიული განცხადების ნაცვლად, მცირედი კომენტარით შემოიფარგლა:

ედუარდ შევარდნაძე ბიუჯეტების შემოსავლების ცენტრალურ ბიუჯეტში გადატანის პრობლემას შეეხო. განაცხადა, რომ **“ადგილობრივი ბიუჯეტები ადგილზე უნდა დარჩეს. ცენტრალური ბიუჯეტის შევსების ყველაზე მარტივი ხერხია რაიონებიდან თანხების მობილიზება, რაც ქალაქებისა და რაიონების ბიუჯეტებზე უარყოფითად აისახება”**.

აქვე მან აღნიშნა, რომ რეგიონის ხელმძღვანელთა და მინისტრების დაპირისპირების პრეცედენტი უნდა აღმოეფიქვინა და ამ თემაზე საგანგებოდ საუბარი იმ დროისთვის გადადო, როცა მთავრობა სრული შემადგენლობით შეიკრიბება, ანუ დაპირისპირების საკითხი ისევ ღიად დარჩა.

მიდასახელისუფლებო კომპრომისი

მთავრობის გუშინდელი სხდომის მთავარი საკითხი სიღარიბის დაძლევის პროგრამა გახლდათ, რომელიც მთავრობის გასულ სხდომაზე ანტიკორუფციული ბიუროს ხელმძღვანელის კატეგორიული პოზიციის გამო გადაიდო. ეს პოზიცია ანტიკორუფციული და სახელმწიფო მინისტრის შორის დაპირისპირების ერთ-ერთ საბაბად იქცა და მან გაგრძელდა მალე - უშიშროების სამსახურზე ჰპოვა, როცა ავთანდილ ჯორბენაძე და კახა უფულავა უკვე ფინანსური ლეგიონისთვის უფლებამოსილებების გაზრდის საკითხზე დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. თავად ეს დაპირისპირება კი სახელისუფლებო კულურებში იმთავითვე ფინანსთა და სახელმწიფო მინისტრის დაპირისპირების გამოძახილად იქნა აღქმული. ამ ფონზე შევარდნაძემ ისევ სიტუაციის დაბალანსება სცადა. სამშაბათს



ავთანდილ კობახიძე აცხადებს, რომ ადენი ბრალდების პირობებში მუშაობა შეუძლებელია.

ათს, მთავრობის სხდომის წინ სიღარიბის დაძლევის პროგრამის კოორდინატორის თემურ ბასილიას ოთახში კახა უფულავას მონაწილეობით გამართული რამდენიმე საათიანი კონსულტაციების შემდეგ, გადამწყდა პროგრამაში გათვალისწინებული პასუხისმგებლობის გადაბარების მომენტი (საუბარია ჯორბენაძის პასუხისმგებლობის ბასილიასთვის გადაბარებაზე) ამოღებულიყო, თუმცა აღმასრულებელი სტრუქტურების რეფორმირების საკითხი ისევ ამ პროგრამაში დარჩა და მისი შესრულების ვადა, 15-ის ნაცვლად, 2 წლით განისაზღვრა. მარტოვად ეს ნიშნავს, რომ ორივე მხარემ დათმო, ანუ კომპრომისი შედგა. ეს კი იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ანტიკორუფციული პროგრამაში გათვალისწინებული, 30 აპრილს “ვადაგასული” ხელისუფლების რეფორმირების გეგმა სახელმწიფო მინისტრის პასუხისმგებლობის დაყენების საფუძველად დღეს ვერ იქცევა, თუმცა მასზე მონიტორინგის უფლება, ანუ პასუხისმგებლობის საკითხის ნამოჭრის უფლება მაინც ანტიკორუფციულს რჩება.

“წყობიდან გამოსული” შევარდნაძე სსფ-ს ემუქრება

იმ ფონზე, როცა სახელისუფლებო ძალები (ცდილობენ, სსფ-ს მოთხოვნების შესრულებლობაზე პასუხისმგებლობა ერთმანეთს გადააბარონ და მართვის ბურჯებისთვის სამკვედრო-სასიცოცხლო ბრძოლაში არიან ჩართულნი, ედუარდ შევარდნაძე

ნაძე განსაკუთრებით გააღვიძანა ბოლო პერიოდში ატეხილი შიდასახელისუფლებო აჟიოტაჟის ერთ-ერთმა საფუძველთაგანმა - სსფ-ს მიერ პროგრამის შეწყვეტის მუქარამ და იმ პერსპექტივამ, რომელსაც ამ მუქარის აღსრულება ქვეყანას წინასაარჩევნოდ უქადის.

თუმცა, საქართველოს პრეზიდენტის სსფ-სთან დაკავშირებული გუშინდელი კომენტარი მაინც განსაკუთრებით მოულოდნელი და ალოგიკური გახლდათ. მან სიღარიბის დაძლევის პროგრამის განხილვისას, რატომღაც (ალბათ იმიტომ, რომ ამ პროგრამის დამტკიცება სსფ-ს ერთ-ერთი მოთხოვნა გახლდათ) განიხილა, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოს პროგრამების შეწყვეტით ემუქრება, სსფ-ს თითო დაუქნია და გაერო-ში დასმენითაც დაემუქრა:

“ათი წელი გვერდში გვედგა და ახლა აპირებს შუა გზაზე მითევნას, პროგრამების შეწყვეტას! პროგრამების დაწყება, რაღაც გარკვეულ დონემდე მიყვანა და მერე მისი შეწყვეტა ასე ადვილი არ უნდა იყოს. მე სექტემბერში გაერო-ში გამოვალ და იქ განაცხადებ ამის შესახებ...” - ასეთი ტონი და გაეროსა და სსფ-ს ურთიერთდაკავშირების საკითხი, საგარეოდ, კიდევ კარგა ხანს დარჩება პოლიტიკურ და ეკონომიკურ ანალიტიკოსთა თავსატეხად.

ამ გაუგებარი განცხადებების გარდა, ედუარდ შევარდნაძემ სსფ-ზე საუბრისას გააკეთა ერთი მინიშნება, რომელიც ვის-ვის და, ავთანდილ



სულხან მოლაშვილის მიერ სალექი რეზინის ხსენებამ სახელმწიფო მინისტრს წონისწონობა დააკარგვინა.

ჯორბენაძეს აშკარად არ გამოჰპარვია. ყოველ შემთხვევაში, ვფიქრობთ, სწორედ ამითაც უნდა აიხსნას ის განცხადება, რომელიც სახელმწიფო მინისტრმა ცოტა მოგვიანებით - სულხან მოლაშვილის გამოსვლის დროს გამოამჟღავნა.

“საფინანსო ორგანიზაციების წინაშე, შესაძლოა, ქართული მხარე რალცაში დამნაშავეა, მაგრამ ამის გამო შეიძლება მთავრობა დავიხზოვო?! აქ ქვეყანასთან ურთიერთობის განწყობა არაფერ შუაშია...”

... - განაცხადა გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა, რაც ნათელყოფს, რომ საჭიროების შემთხვევაში (ასეთი საჭიროება კი საქართველოს პრეზიდენტს, შესაძლოა, სსფ-ს მისი ვიზიტის დასრულებისთანავე დაუდგეს, შესაძლოა - არჩევნები წინ), ედუარდ შევარდნაძე მზადაა, ქვეყანაში შექმნილ სიტუაციაზე პასუხისმგებლობას მთელი მთავრობა გადააყოლოს, რა თქმა უნდა, სახელმწიფო მინისტრის მეთაურობით.

სულხან მოლაშვილი ავთანდილ კობახიძეს მოთმინებას აკარგვინებს

ის, რომ სახელმწიფო მინისტრს “ძველი და ახალი ცოდებები”, შესაძლოა, მალე წამოაძახონ, კონტროლის პალატის თავმჯდომარის სულხან მოლაშვილის გუშინდელმა გამოცხადებულმა დაადასტურა. კონტროლის პალატის და სახელმწიფო მინისტრის დაპირისპირება უშუალოდ სხდომაზე ასე ვითარდებოდა:

მთავრობის სხდომაზე შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ამირან გამყრელიძე მოხსენებით წარდგა კონტროლის პალატის მიერ სამინისტროს შემოწმებისთანა დაკავშირებით, რის შემდეგაც ავთანდილ ჯორბენაძემ კონტროლის პალატის დღევანდელი მუშაობა საბჭოთა პერიოდის “სახალხო კონტროლის” მუშაობის მეთოდებს შეადარა. სულხან მოლაშვილმა საპასუხოდ განაცხადა, რომ **“პრეზიდენტის გარდა, აღმასრულებელი ხელისუფლების არც ერთ წარმომადგენელს არა აქვს კონტროლის პალატის მუშაობის შეფასების უფლება, მით უფრო - ოფიციალურ სხდომაზე”**.

ამასთან, სულხან მოლაშვილის თქმით, კონტროლის პალატას რომ სახალხო კონტროლის მეთოდებით ემუშავა, **“საღვე რეზინებთან დაკავშირებულ საქმეს ბოლოდღე მიყვანდა”**.

მისი თქმით, **“ჯანდაცვის სამინისტროს 1996 წლიდან სალექ რეზინებს, მათ შორის - “დიროლს”, ფარმაცევტულ პროდუქციად არეგისტრირებს და ამით საბაჟო გადასახადი 5 პროცენტამდე მცირდება, მაშინ, როდესაც ეს პროდუქცია ჩვეულებრივ 35-პროცენტთან საბაჟო გადასახადით უნდა იბეგრებოდეს”**.

დასკვნის სახით კი მოლაშვილმა ისიც განაცხადა, რომ ამ საქმის ბოლომდე არმიყვანა მისი პასუხისმგებლობაა, თუმცა კონტროლის პალატის ეფექტური მუშაობისთვის **“სათანადო გარემო არ არის”**.

კონტროლის პალატის თავმჯდომარის ამ მინიშნებამ ავთანდილ ჯორბენაძეს მოთმინება დააკარგვინა:

“შეისწავლეთ ჩემი კავშირი სალექ რეზინების ბიზნესთან... შეისწავლეთ ჩემი კავშირი ყბადაღებულ შეთქმულების საკითხთან... ასეთი პასუხგაუცემელი, გახშირებული ბრალდებების პირობებში მე შემდგომი მუშაობა გამიჭირდება...” - ამბობდა გუშინ აშკარად გაღვიძრებული ჯორბენაძე, რომელმაც ედუარდ შევარდნაძეს ისიც შეახსენა, რომ იგი **“მოქალაქეთა კავშირის”** ხელმძღვანელია, ანუ მის იმიჯზე სახელისუფლებო ძალის წარმატებაცაა დაკავშირებული.

საინტერესო დეტალი - ამ დაპირისპირების კომენტარებისას საქართველოს პრეზიდენტი ორპირიანი და განსაკუთრებულად ირონიული გახლდათ.

მან განაცხადა, რომ **“კამათი სასარგებლო გამოდგა”**.

აღნიშნა, რომ არ სჯერა ჯორბენაძის მეთოდების, თუმცა, თუ საჭიროა, ეს საკითხი კიდევ ერთხელ უნდა იქნას გამოიძიებო.

მიზანშეწონილად ჩათვალა სახელმწიფო მინისტრის და კონტროლის პალატის თავმჯდომარის მონაწილეობით ერთობლივი კომისიის შექმნა, რომელიც სალექი რეზინის ბიზნესის საკითხს შეისწავლის.

ედუარდ შევარდნაძემ ასევე განაცხადა, რომ მთავრობის სხდომაზე **“ყველა რეზინს ლეჯა”** და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებს მისი თანდასწრებით რეზინის ლეჯისგან თავის შეკავება ურჩია.

მთავრობას კარგად არ ესმის, რა ხდება

პირველი გვირგვინი

კონსულტაციები, რომელსაც ფონდი ყველა ქვეყანასთან ატარებს. მეორე კი ის გახლავთ, რომ მისია, ძირითადად, თებერვალ-მარტის მემორანდუმის შესრულების განსახილველად ჩამოვიდა. აქ მთავარია მონეტარული პრობლემები, ეკონომიკის ფისკალური ნაწილი, შემოსავლები და ხარჯები, სადაც არასახარბიელო მდგომარეობაა. მთავრობა, მარტის თვიდან მოყოლებული, რეგულარულად აცხადებს, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის პარამეტრები და მოთხოვნები შესრულებულია, ან მცირედით არის გარღვეული; რომ აჭარბში ეს ფული აკრფილია, მაგრამ ბიუჯეტში არ არის გადმორიცხული და ა.შ. უკანასკნელ პერიოდში ხელისუფლებაში დამკვიდრებული ტენდენციებით კი კარგად ჩანს, რომ შემოსავლები მხოლოდ ქალაქადეა აკრფილი. მნიშვნელოვანია დაცული მსხვილი, რომელიც არასოდეს ყოფილა ასეთი მასშტაბებით დაუფინანსებელი. დღეისათვის მისი სახელფასო ვალდებულებების ნახევარიც კი არ არის გასტუმრებული, რომ აღარაფერი ვთქვათ სხვა სოციალურ ვალდებულებებზე. დავალიანებების მოცულობა შემცირების სახაცვლოდ, სამუხაროდ, იზრდება.

სავალუტო ფონდის თებერვალ-მარტის მემორანდუმში, რომელსაც მთავრობა ეთანხმება, სახელმწიფო ბიუჯეტის სახარჯო ნაწილის 71 მილიონი ლარით შემცირების მოთხოვნა და 40-45 მილიონი ლარით დამატებითი შემოსავლების მოძიებისთვის დასახული გეგმების დაფინანსების პირობაა დადებული, მაგრამ სავალუტო ფონდის წინაშე რეალური გეგმა უნდა წარდგენილიყო, რაც არ გაკეთდა და ამიტომ დღეს არარეალისტური ბიუჯეტის პირობებში გვიწევს ცხოვრება.

სტრუქტურული პრობებიდან ერთი მნიშვნელოვანი პირობა შესრულებულია - მიღებულია საბიუჯეტო სისტემის ახალი კანონი, რომელიც მოსახლეობის ხალხი აწინიდან შევა ძალაში. რაც შეეხება ენერგეტიკული სტრუქტურის პირობას, რომელიც ნაღდი ფუნდის ამოღების გაზრდას და ელექტროენერჯის

ტარიფის რეალური უზრუნველყოფას ითვალისწინებს, აქ მთავრობის მხრიდან, ისევე როგორც ბევრ სხვა შემთხვევაში, ადვილი აქვს თამაშს. ამის მაგალითია თუნდაც ის ფაქტი, რომ მალევა ნათელაშვილის მთავრობამ საშუალება მისცა, საკმაოდ ორკესტრიულად გაემარჯვა საკონსტიტუციო სასამართლოში და ამით პრობლემები შეექმნა ქვეყნისათვის. შედეგად, ენერგეტიკაში საკმაოდ მძიმე საინვესტიციო გარემო შეიქმნა.

შემდეგ სტრუქტურული პრობა ხაზინის რეფორმას ეხება, რომელიც თავისი შინაარსით ძალიან მნიშვნელოვანია და ითვალისწინებს ეროვნული ბანკიდან ხაზინაში შემოსავლების აღრიცხვის გადმოტანას, ერთიანი ანგარიშის შექმნას. წინასწარი გადახდების ხაზინაში გადმოტანით გამჭვირვალე ინფორმაციული მექანიზმი იქმნება. წინასწარი გადახდები კი აზრს კარგავს მსხვილი კომპანებისათვის. მაგრამ მისი განხორციელება დაგვიანდა და არა მგონია, რომ მთავრობა (დღევანდელი მისი მიდგომებითა და საგადასახადო შემოსავლების მოძიებისთვის მექანიზმებით) დაინტერესებულ იყოს ხაზინის რეფორმის განხორციელებაში.

ასევე მნიშვნელოვანია, როგორ შევსაბებს სავალუტო ფონდი სამი მსხვილი საწარმოს - “საქართველოს რკინიგზის”, “ფოთის პორტისა” და “მადნეულის” აუდიტს. ამ მხრივ განსაკუთრებული ნაბიჯები არ გადადგმულა.

- რა მოხდება მაშინ, თუკი სავალუტო ფონდი უარყოფით დასკვნებს წაიღებს საქართველოდან?



ზურაბ ნოლიძე: “დღევანდელ მთავრობას წარმოედგინა არა აქვს როგორ გამოასწოროს მდგომარეობა”

კვეა, ანუ, პრაქტიკულად, საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ურთიერთობის წულღიდან დაწყება მოგვიწევს. მეორე, რომელიც ნაკლებად მოსალაგებელია: მთავრობა შეძლებს ფონდთან მოლაპარაკებას ახალ, უფრო მკაცრ მემორანდუმზე, რომელიც იქნებოდა, რადგან ბიუჯეტის შესწორება დაახლოებით 150 მილიონი ლარით თავიდან აგვაცილებდა დანაკარგებს, რომელმაც წლის ბოლოს შეიძლება 290 მილიონ ლარს მიანდოს. მაგრამ არ მგონია, მთავრობამ ამ კუთხით წარმართოს მოლაპარაკებები, რადგან ასეთ შემთხვევაში უნდა მოითხოვოს დრო სექტემბერი-ოქტომბრამდე მაინც, რათა მიმდინარე წელს სავალუტო ფონდმა შეძლოს დირექტორთა საბჭოს მოწვევა და საქართველოსათვის სავალუტო ფონდის პროგრამის აღდგენა. თუ ეს არ მოხდა, შედეგები ცნობილია - საქართველოს ეროვნული ბანკი ვერ მიიღებს 30 მილიონი დოლარის ოდენობის სესხს, რომელიც გამოყენებული უნდა იყოს ქვეყნის რეზერვების განსამტკიცებლად და საგარეო ვალდებულების დასაფარად.

ეს საკმაოდ სერიოზული მსჯელობის საგანი უნდა გახდეს, უნდა დავდგეს მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხი და გაირკვეს - რატომ არ მოხდა შეთანხმებული მემორანდუმის რეალიზება. ამაზე პრეზიდენტმა და მთავრობამ პასუხი უნდა აგონ.

რატომ უნდა მივიყვანო ქვეყანას არგადამხდელი იარლიყი? რატომ უნდა იყოს ქვეყანა დეფოლტის

მდგომარეობაში? რატომ უნდა გაუარესდეს საინვესტიციო გარემო და ქვეყნის ქმედითუნარიანობა? ნუთუ მხოლოდ იმიტომ, რომ მთავრობის დღევანდელ ნეერებს სურთ თანამდებობების შენარჩუნება და ელემენტარული უნარი არა აქვთ, უხელმძღვანელო ქვეყანას?!

დღევანდელ მთავრობას კარგად არ ესმის, რა ხდება და წარმოდგენა არ აქვს, როგორ გამოასწოროს მდგომარეობა. თუნდაც ერთი მაგალითი: სავალუტო ფონდის მისი ჩამოსვლამდე ერთი კვირით ადრე კონტროლის პარლამენტში განსახილველად შედის 2003 წლის ბიუჯეტში შესწორების პროექტი, რომელსაც არაფერი აქვს საერთო პროგრამასთან, თუმცა კონტროლის პალატის და ბიუჯეტის რეალისტანთან მიახლოებასთან. მსგავსი უპასუხისმგებლო დოკუმენტი უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში არ მინახავს. კერძოდ, პროექტის მიხედვით, ადგილობრივ ბიუჯეტებს ეძლევა უფლება, კომერციული ბანკებისაგან აიღოს მოკლევადიანი სესხები სახელმწიფო ვალდებულებების დასაფარად. ეს გაუგონარი უპასუხისმგებლობაა, რადგან, პირველ რიგში, ასეთი ქმედება კანონით აკრძალულია, მეორეც, წელს არსებულ 40-მილიონიან პრობლემას მომავალ წელს დამატება სესხით სარგებლობა და მოსახლეობის პროცენტები და დასაბრუნებელი თანხაც ერთიორად გაიზრდება. სამაგიეროდ, ჩაივლის არჩევნები და პრობლემა, უზარალოდ, მომავალ წელს გადაინაცვლებს. მთავრობის არ უნდა ჰქონდეს იმის ილუზია, რომ ასეთი ქმედება პასუხისმგებლობით ხასიათდება. ერთი რამ ნათელია - ქვეყანა ბოლო ათი წლის განმავლობაში ყველაზე უარესი მდგომარეობაშია და დასაბრუნებელი თანხაც ერთიორად გაიზრდება. ამას უნდა შევხედოთ. ის მხოლოდ საქართველოზე და ჩვენზე არ ნიშნავს არც გამინტონში, არც მოსკოვში და არც სხვაგან. ის მხოლოდ საქართველოზე და ჩვენზე მოქმედებზეა დამოკიდებული. საერთაშორისო სავალუტო ფონდთან მოლაპარაკებების წარმართვის გეგმა კი, რომელიც ჩემი მინისტრობის

დროს ყოველთვის წინასწარ იყო შეთანხმებული და განერილი, დღეს არ არსებობს.

ხომ არ კეთდება ეს ხელოვნურად?

ფონდი ვერ განაცხადებს, რომ საქართველოში აღარ ჩამოვა, რადგან იგი თავისი მანდატით ვალდებულია, აქ იმუშაოს. მაგრამ თუ ფონდს არ ექნება კონკრეტული პროგრამა მოსახლეობისათვის ეს ნიშნავს, რომ იგი საქართველოში არ მუშაობს. მთავრობისთვის კი შედეგები სავალუტო იქნება. საქართველო დასავლურ სამყაროსთან დაკავშირებული საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა და ევროსაბჭოს მეშვეობით. მთავრობას კი ამ დღეებში სურს, განწყობის ეს კავშირები და ეს, გააზრებულად თუ გაუზრებულად, საქართველოს ორიენტაციის შესაცვლელად კეთდება.

ოპოზიცია, რა თქმა უნდა, მთავრობის სისუსტეს თავის სასარგებლოდ გამოიყენებს, მაგრამ მანაც ყველაფერი უნდა გააკეთოს ამ კავშირების შესანარჩუნებლად. მთავრობას კი, რომელიც ასეთ პრობლემებს უმზადებს ქვეყანას, არანაირი უფლება არა აქვს არც მთავრობის ყოფნის და არც არჩევნებში გამარჯვების.

- არსებობს თუ არა დღევანდელ საქართველოში პოლიტიკური ძალა, რომელსაც შეუძლია, გაუქმლავდეს ქვეყნის ეკონომიკურ პრობლემებს?

- მიჭირს პასუხის გაცემა. ყოველ შემთხვევაში, არც კონკრეტული გეგმა ჩანს და არც ამის სურვილი. როდესაც ხუთი თვის ბიუჯეტში ასეთი პრობლემებია, ლოგიკური იქნებოდა, რომ რომელიმე ოპოზიციურ პოლიტიკურ ძალას (თუნდაც, სარეალისტო კამპანიის გამო) გამოეყენებინა ეს ვითარება. საქართველოს პრობლემები რთული არ არის. ყველა პრობლემა მთავრობის მიერ არის შექმნილი. უზარალოდ, საჭიროა შემუშავდეს მოქმედების გეგმა, რაც დღევანდელ ხელისუფლებას არ გააჩნია. მოსახლეობა ელის ცვლილებებს და პრობლემების გასაღები არის ის, რომ გვეყრდნობა მთავრობა, რომელიც მხოლოდ საკუთარი პრობლემების მოგვარებით არ იქნება დაკავებული.

"უნივერსალ სტუდიოს" ახალი მფლობელის ვინაობა ორ კვირაში გაირკვევა

ადამ მკაფლიძე

ვალეში ჩავერდინი ფრანგული მედია-გვიანტი "ვივენდი" ორი კვირის ვადაში გადაწყვეტს "უნივერსალის" ბედს. "ვივენდი" დიდი ხანია განზრახა ვალეშის დასაფარავად ჰოლივუდის ამ ერთ-ერთი უდიდესი კინოსტუდიისა და ხმის ჩამწერი ფირმის გაყიდვა, რომელიც ამ სამი წლის წინ ჩაიგდო ხელში, როცა "სიგრემის" ჯგუფი შეისყიდა.

"უნივერსალის" შესყიდვა მრავალ სახელოვან კორპორაციასა და მაგნატს სურს. სპეციალისტთა შეფასებით, მისი გაყიდვის "ვივენდი" დაახლოებით 10 მილიარდ დოლარს მიიღებს. განაცხადების მიღება "უნივერსალის" შესყიდვის თაობაზე ორშაბათს, ღამით დასრულდა. ფრანგული კომპანიის განცხადებით, ჰოლივუდის სტუდიის ხელში ჩაგდება 6 სუბიექტს სურს. როგორც ვარაუდობენ, მათ შორის არიან ამერიკელი მენეჯერები მდგინდ დევისი, სტუდიის ყოფილი მენეჯერი ედვარდ ბრონფმანი, მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი კომპანია "ჯენერალ ელექტრიკი", ჰოლივუდის კინოკომპანია "მეტრო-გოლდვინ მაიერისი", "ლიბერტი მედია" და ამერიკული მედია - ჯგუფი "ვაიაკომი".

თუმცა, ეს უკანასკნელი, ალბათ, ბრძოლას გამოითმება მას შემდეგ, რაც "ვივენდი" განაცხადა, რომ იგი ყიდის არა მხოლოდ ჰოლივუდის სტუდიას, არამედ საერთოდ "უნივერსალის" თერტიმენტს. ეს უკანასკნელი, სტუდიის გარდა, ხმის ჩამწერ ფირმასაც მოიცავს, რაც ფასს კიდევ უფრო ზრდის.

მოკლედ

თბილისი. გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა ხელი მოაწერა სიღარიბის დაძლევის 15-წლიან პროგრამას. პროგრამის დამტკიცება სახელმწიფო კომისიის წინა სხდომაზე ანტიკორუფციული საბჭოს მდივნის კახა უგულავის წინააღმდეგობის გამო ვერ მოხერხდა. მან განაცხადა, რომ პროგრამის იმ მუხლებზე, რომელიც მთავრობის რეორგანიზაციას ითვალისწინებს, მონიტორინგი უნდა განახორციელოს არა სახელმწიფო კანცელარიაში, არამედ ანტიკორუფციულმა საბჭომ. **მედია-ნიუსი**

თბილისი. გუშინ, დაახლოებით 18.30 საათზე დაზინდა მაღალი ძაბვის 500-კილოვოლტიანი გადატვირთვა ხაზი "ქართლი-2", რის შედეგადაც მთლიანად გაითიშა აღმოსავლეთ საქართველო. დაზინების მიზეზი უცნობია. აგარიის მიზეზის დასადგენად ადგილზე მამინე გავიდა სამუშაო ჯგუფი. რამდენიმე საათში ჩართეს პარალელური ელექტროგადამცემი ხაზები, რომელთა მეშვეობით თბილისის ნაწილობრივ აღუდგა 220-კილოვოლტის მიწოდება. **მედია-ნიუსი**

თბილისი. 28 ივნისს, მოსკოვში დაიწყო კავშირგაბმულობის რეგიონული თანამშრომლობის ორგანიზაციის მორიგი შეხვედრა. ამ შეხვედრაში მონაწილეობას საქართველოს დელეგაციაც მიიღებს, რომელსაც მინისტრის მოადგილე გიორგი კაკუბერი უხელმძღვანელებს. მოსკოვის შეხვედრას დაესწრება შპს "საქართველოს ტელეკომის" პრეზიდენტი ოთარ ზუმბურდიძეც. **მედია-ნიუსი**

თბილისი. დღეს, თბილისში, რუსეთ-საქართველოს დამაკავშირებელი რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთის აღდგენის პერსპექტივების განსახილველად ჩამოვა რუსეთის რკინიგზელთა დელეგაცია რუსეთის ფედერაციის მიმოსვლის განათვის მინისტრის მოადგილის ვლადიმერ საზონოვის ხელმძღვანელობით. **ინტერ-პრესი**

თბილისი. აუქციონზე შექმნილი მინის ნაკვეთების ოცამდე მფლობელმა სახელმწიფო კანცელარიის შენობის წინ ოთხშაბათს საპროტესტო აქცია გამართა და დედაქალაქის საკრებულოს თავმჯდომარე მიხეილ სააკაშვილი თანხების მითვისების მცდელობაში დაადანაშაულა. **პრაიმ-ნიუსი**

მონიტორინგი

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება

ოპერატიული ინფორმაცია 25 ივნისისთვის მილიონ ლარებში

დასახელება	აქვსი თვის პროცენტი	შესრულება	%	24 ივნისი
სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები	529.80	402.24	76%	3.30
ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლები და გრანტები	385.09	287.66	75%	2.52
საგადასახადო შემოსავლები	310.64	248.11	80%	2.49
სოციალური ფონდი	116.81	97.47	83%	0.45
საგზაო ფონდი	24.05	17.33	72%	0.32
დეფიციტის დაფინანსება	118.66	88.77	75%	0.00

სახაზინო ვალდებულებათა განთავსება

თარიღი: 25.06.03

აუქციონის N	25
ემისიის ვადა	140 დღე
ემისიის ოდენობა	5,600,000
მოთხოვნა	5,265,900
დისკონტის პროცენტი	45.00%-198.77%
ბიუჯეტის შემოსავალი	56.49%
დასაფარი თანხა	4,328,084
ბალანსი	4,500,000

სს "დანიონი, პარკალიონი, ნოლიდელი და ძაბარაძე" საგარეოვაჭრები, სერვისი და გართობის კომპლექსები

- სახელმწიფო შესყიდვების და ხარჯების მონიტორინგის პროექტის ფარგლებში წყნე კომპანიაში ახალი და კომპანიაში შეყიდვითი უწყვეტად მუშაობა გრძელდება 24 საათი.
- გთავაზობთ კვალიფიკაციის კონსულტაციებს სავაჭროდ და სხვა საკომპლექსური და წინამხედველობის სახელმწიფო არქაივებთან ურთიერთობის.
- გთავაზობთ კვალიფიკაციის კონსულტაციებს სავაჭროდ და სხვა საკომპლექსური და წინამხედველობის სახელმწიფო არქაივებთან ურთიერთობის.

www.dvnk.ge

მთავრობას იხიდი აქვს, რომ სავალუტო ფონდი პროგრამას აღადგინს

პირველი გვარდიანა

რაც შეეხება ფინანსთა სამინისტროში გამართულ შეხვედრას, პაოლო ნუჰაუსის განცხადებით, მან მოისმინა ფინანსთა მინისტრის ანგარიში სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ. ისაუბრეს აგრეთვე ხარჯების განევაში ნარმოქნილ პრობლემებზე და ენერჯეტიკის საკითხებზე. სავალუტო ფონდის მისიის ხელმძღვანელი აცხადებს, რომ ჯერჯერობით ვერ დაასახელებს ზუსტ ციფრებს, თუ რამდენი მილიონით გახდება საჭირო ბიუჯეტის სექცესტრის მისი თქმით, ფონდი ამ საკითხს მთელი რიგი ტექნიკური ხასიათის შეხვედრების გამართვის შემდეგ გადაწყვეტს. **"ჩვენ ხარჯების შემცირებაზე არ გვისაუბრია. ალბათ, ვიზიტის ბოლოს დავადგენთ, თუ რამდენი უნდა მოხდეს ბიუჯეტის შეკვეცა,"** - აცხადებს პაოლო ნუჰაუსი.

ფინანსთა მინისტრის ინფორმაციით, ჯერჯერობით, მხოლოდ ხარჯების 85 მილიონი ლარით შეკვეცის გეგმა განიხილება. მირიან გოგიაშვილის განცხადებით, საგადასახადო შემოსავლების კუთხით, გარდა აჭარისადმი გადმოურიცხავი თანხებისა, პრობლემა არ არსებობს. **"პრობლემა იქნება დავალიანებების დაფარვის საკითხი. წლის ბოლომდე ფონდის სახელმწიფო და საჯარო დავალიანებების დაფარვის ზუსტად განკარგვის გეგმა უნდა წარუდგინოთ,"** - აცხადებს გოგიაშვილი. სახელმწიფო მინისტრთან გამართული შეხვედრის შემდეგ ფინანსთა მინისტრი საკმაოდ ოპტიმისტურად გახლდათ განწყობილი. მისი თქმით, **"გაცილებით უფრო მეტ დამაბულობას მოველო-**



სავალუტო ფონდის მისია ფინანსთა სამინისტროში.

დით, მაგრამ შეხვედრა ძალიან საქმიანი იყო და მათ შეეცდნენ ჩვენი არგუმენტები საკმაოდ დამაჯერებელი აღმოჩნდა." გოგიაშვილის ინფორმაციით, სავალუტო ფონდის ამ მისიის ტრადიციულად მოჰყვება სამახსოვრო მემორანდუმი, ხოლო პროგრამის აღდგენის საკითხს კიდ-

რეცტორთა საბჭო მხოლოდ სექტემბერში განიხილავს. სახელმწიფო მინისტრთან გამართული შეხვედრით არანაკლებ კმაყოფილი ჩანდა სათბობ-ენერჯეტიკის მინისტრი დავით მირცხულავა. სავალუტო ფონდი გაეცნო ენერჯეტიკის ტარიფთან დაკავშირებულ საკითხებს. მირცხულავას თქმით, ფონდის მისი უწყების მიმართ პრეტენზიები და შენიშვნები არ გამოუთქვამს. ამის გარდა, მირცხულავამ საზგასამთ მითითა, რომ სავალუტო ფონდი მხარს უჭერს გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანიის მიერ რევიზიების გათიშვის პროგრამას.

"მილსადენის მხენებლობაზე დასაქმება 300-500 დოლარი ღირს"

გაია მონიაშვილი სოფიკო მხანაშვილი

"ალორძინების" რუსთავის ორგანიზაციის თავმჯდომარე ალექსანდრე აბაშიძემ, რომელიც, ანადროულად, რუსთავის საკრებულოს იურისდიქციულ კომისიასაც ხელმძღვანელობს, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის მთავარი მშენებელი კომპანია "სპი პეტროვაკი" შრომის ქართული კანონმდებლობის დარღვევასა და ადგილობრივი მოსახლეობისაგან ქრთამის აღებაში დაადანაშაულა. აბაშიძემ, დაახლოებით ერთი თვის წინ, მილსადენზე დასაქმების რუსთავის კოორდინატორის თანამდებობა დატოვა. ამის მიზეზი, მისი თქმით, უცხოელების მხრიდან ადგილობრივი მუშახელის ინტერესების შელახვა გახდა. **"რუსთავში შეიქმნა დასაქმების ცენტრი, რომელსაც ერთი დღეც არ უშუშავია. უამრავი მსურველიდან 150 კაცი გაურყვეველი პირობებით შეარჩიეს. წარდგენილი სიიდან უცხოელებმა აირჩიეს ისინი, ვისგანაც მეტი დანიტრესება უკნია,"** - აცხადებს აბაშიძე. მისი ინფორმაციით, ადამიანებმა მილსადენის მშენებლობაზე მუშაობა 300-500

დოლარის საფასურად დაიწყეს. ასეთი სერიოზული ბრალდების ფონზე, ქრთამის მიცემის ან აღების კონკრეტული ფაქტები "ალორძინების" წარმომადგენლებს არ დაუსახელებია. **"სასტიკად ირღვევა შრომის კანონმდებლობაც. ხალხი დღეში 12 ცაათის განმავლობაში და ასევე შაბათ-კვირასაც მუშაობს. მიუღებელია ისიც, რომ მინის საკომპენსაციო თანხები ძალიან დაბალია იმ რაიონებში, სადაც ხალხი ნაკლებად ინფორმირებულია და პოლიტიკურად აქტიური არ არის,"** - ამბობს აბაშიძე, რომელიც "ბი-პი"-ს იმავით ადვანაშაულებს, რომ დანაპირებ სოციალურ პროექტებს ისინი, ფაქტობრივად, არ ახორციელებენ. **"არის ასეთი ქვეკონტრაქტორი ქართული კომპანია "ინჟინერი", რომლის მეშვეობით უცხოელებმა ადამიანთა გარკვეული ჯგუფი სა-მუშაოზე აიყვანეს და მერე დაუსაქმებლად სახლებში გაუშვეს. ალბათ, იმ ფულს, რომელიც მუშებს უნდა მისცენ, ვიბოძო იდებენ,"** - ამბობს ამტკიცებს, რომ მისი ყოველი ბრალდება დოკუმენტურად არის დადასტურებული. **"მინდა მოეწოდოთ იმ ადამიანებს, რომლებიც ძირითად სიაში ვერ**

ფეროშენადნობთა ქარხანას ავსტრიელები ეპატრონებიან

სოფიკო მხანაშვილი

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის აქციათა საკონტროლო პაკეტის (51 პროცენტი) მფლობელი, სავაჭრო დელეგაციის ფირმა DCM-ის შვილობილი კომპანია "DK Ferro" AG გახდება. საკონტროლო პაკეტი შეიძინა მილიონ ასი ათას დოლარად შეფასებული. საწარმოს პირდაპირი მფლობელი ფორმით პრივატიზების თაობაზე ავსტრიელი ფირმის განაცხადი და პრობები სატენდერო კომისიამ საშუაბათს, საღამოს განიხილა. კომისიის თავმჯდომარეა ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრი გიორგი გაჩეჩილაძე. საწარმოს პირდაპირი მფლობელი ფორმით პრივატიზების თაობაზე მხოლოდ ერთი განაცხადი იყო. მუდმივქმედმა კომისიამ დადებითად შეაფასა "DK Ferro" AG-ის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცი-

ა და საწარმოს აქციათა პაკეტის პრივატიზების სქემაც, რაზეც შესაბამისი ოქმი შედგა. ოქმი კომპანიის პირობების განხილვის შემდეგ, სამშაბათზე გაეგზავნა პრეზიდენტ შევარდნაძეს. ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით, "ავსტრიული კომპანიის ბიზნესგეგმა ითვალისწინებს შრომის ნაყოფიერების ზრდას და საწარმოში მომუშავე პერსონალის პირობების გაუმჯობესებას; მაღალტექნოლოგიური აირგამმწმენდი სავენტილაციო სისტემების მონტაჟს და გარემოსდაცვითი ღონისძიებების გატარებას; ასევე საერეგო ლუმენების რენოვაციის შედეგად სასაქონლო პროდუქციის წარმოების ზრდას. კერძოდ, დაეგეგმება სილიკონგანაწარმის 2004 წლისათვის 60 000 მ/ტ-მდე გაზრდა, 2005 წლამდე - 80 000 მ/ტ-მდე და 2006 წლამდე 100 000 მ/ტ-მდე გაზრდა. ბიზნესგეგმის თანახმად, ასევე გათვალისწინებულია

აზერბაიჯანი საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარს ამკაცრებს

და მოხდეს საერთაშორისო ტვირთების ტრანსპორტირების მოთხოვნების შესაბამისად. რაც შეეხება მგზავრების ხელშეწყობას და ტვირთებს, მათი ტრანსპორტირება უნდა განხორციელდეს ავტოსატრანსპორტო (ავტობუსების) საშუალებების არაიანხმლები ხელშეწყობის და ტვირთების ტრანსპორტირება უნ-

ფეროშენადნობის სასაქონლო პროდუქციის ზრდა 2005 წლისათვის 12 000 მ/ტ-მდე და 2006 წლისათვის - 17 000 მ/ტ-მდე. ბიზნესგეგმა ასევე ითვალისწინებს, ქარხნის ენერგოსისტემაში ელექტრონული სისტემების დახერხებას, სატრანსპორტო ტექნიკური საშუალებების გადაიარაღებას, ყოველწლიურად წარმოების ზრდის მიხედვით ხელფასების ზრდას, საკრედიტო დავალიანების მომსახურებას, ჭიათურის მაღანთან ერთად ავსტრიული მადნის იმპორტირებას." კომპანიამ, ბიზნესგეგმასთან ერთად, კომისიას საფინანსო უზრუნველყოფის დოკუმენტებიც (კორპორატიული გარანტიებიც) წარუდგინა. ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს შეფასებით, აღნიშნული ღონისძიებების გატარება საშუალებას იძლევა, საწარმოში სრულად ამოქმედოს თავისი პოტენციალი. ამასთანავე, ფეროშენადნობთა ქარხნის და სს "ჭიათურმან-

ერაყში ბრიტანელ ჯარისკაცებს კლავენ

ლევან ღირსიაშვილი

გუშინ დიდი ბრიტანეთის ხელი-სუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება ერაყში დამატებითი რამდენიმე ათასი სამხედრო მოსამსახურის გაგზავნის შესახებ. ამის თაობაზე დიდი ბრიტანეთის თავდაცვის მინისტრმა ჯეფ ჰუნმა განაცხადა. ლონდონის ეს ნაბიჯი გუშინდელი ერაყის ქალაქ ამარას მახლობლად, ბასრადან 160 კილომეტრის დაშორებით, ექვსი ბრიტანელი სამხედრო მოსამსახურის მკვლელობამ განაპირობა. ამ ფაქტმა დიდი ბრიტანეთის საზოგადოების და ხელისუფლების უკიდურესი აღშფოთება გამოიწვია.

ამჟამად თავდაცვის სამინისტრო დეტალურად აანალიზებს ერაყში ბრიტანეთის სამხედრო კონტინგენტის რაოდენობის, სამოქმედო ტაქტიკის და ტექნიკური აღჭურვილობის საკითხებს. ამასთანავე, აქტიურად მიმდინარეობს ბრიტანელი ჯარისკაცების მკვლელების ძებნა.

მოკლული ჯარისკაცები სამშაბათს საღამოს იმ საპოლიციო უბანზე აღმოაჩინეს, სადაც ისინი ერაყელ ოფიცრებს წვრილდნენ.

სააგენტო "როიტერმა" გაავრცელა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც ბრიტანელი ჯარისკაცები ერაყის მშვიდობიანმა მოქალაქეებმა მოკლეს, რომლებიც ბრიტანელების მიერ სოფლებში იარაღის ძებნაში გააღიზიანა. ანალოგიური ინფორმაცია, ოღონდ სხვა მოტივით, სხვა წყაროდანაც დასტურდება. კერძოდ, სააგენტო "ასოშეიტედ პრესის" თანახმად, ბრიტანელი ჯარისკაცები მშვიდობიანმა მცხოვრებლებმა მოკლეს, რომლებმაც, იმავე დღეს საპროტესტო დემონსტრაციის დროს ბრიტანელებს დასაჯეს.



ბრიტანელი სამხედროები მკვლელობის ადგილას.

ნელი სამხედროების მიერ თითქმის ყოველი დახვრეტის გამო, შური იძიეს. დიდი ბრიტანეთის სამხედრო მოსამსახურეებზე თავდასხმები მხოლოდ ამ ინციდენტით არ ამორჩურულა. იმავე დღეს, შვიდმა ბრიტანელმა ჯარისკაცმა მიმიეჭრობები მიიღო, როდესაც მათი ვერტმფრენი მარცხენა

სივრცულ ცეცხლის ქვეშ მოჰყვა. ორი სამხედრო მოსამსახურის ჯანმრთელობად მდგომარეობა კრიტიკულია. როგორც გაირკვა, ბრიტანული ვერტმფრენი ცეცხლის ქვეშ მოყოლილი ორი ბრიტანული სამხედრო ავტომანქანის საშველად მიემართებოდა. დაუდგენელი პირების მიერ

ჯეფ ჰაქისტანს 3 მილიარდი დოლარი შესთავაზა



აშშ-სა და პაკისტანის პრეზიდენტები - ბუში და მუშარაფი.

გუშინ პრეზიდენტმა ბუშმა პაკისტანს, დახმარების სახით, 3 მილიარდი ამერიკული დოლარი შესთავაზა. არადა, ჯერ კიდევ ორი წლის წინ, ბირთვული იარაღის შექმნის გამო, ვაშინგტონმა ისლამაბადის წინააღმდეგ სანქციები დაწესა.

ადმინისტრაციის წარმომადგენლების თქმით, პრეზიდენტ მუშარაფთან შეხვედრისას ამერიკის პრეზიდენტმა პირდაპირ მიანიშნა გენერალს, რომ ახალი დახმარების პაკეტის გამოყოფა ტერიტორიის წინააღმდეგ ბრძოლაში უპირობო თანამშრომლობას და ჩრდილოეთ კორეისათვის ბირთვული შეიარაღების სფეროში დახმარების შეწყვეტაზე გამოიხატა.

გენერალმა მუშარაფმა საჯაროდ უარყო, რომ მისი ქვეყანა ჩრდილოეთ კორეას ურანის გამამდიდრებელი საწარმოების აშენებაში დაეხმარა. მან ამერიკის პრეზიდენტთან შეხვედრისას აღნიშნა, რომ კარგად გმის, სამხედრო საკითხებში ჩრდილოეთ კორეასთან ნებისმიერი ფორმით თანამშრომლობას ძალზე ცუდი შედეგი მოჰყვება, - იუწყება "ნიუ-იორკ ტაიმსი".

გენერალმა მუშარაფმა განაცხადა, რომ პაკისტანში უსამა ბინ ლადენის ძებნა გრძელდება. თავის მხრივ, ამერიკის პრეზიდენტმა დასძინა, რომ ბინ ლადენსა და სადამ ჰუსეინს "აუცილებლად იპოვებ". "ეს მხოლოდ დროის საკითხია", - განაცხადა ჯორჯ ბუშმა.

ბუშმა გენერალი მუშარაფი შეაქო "თანამედროვე პაკისტანის შექმნისათვის", რომელიც "ტოლერანტული და აყვავებული სახელმწიფოა". გენერალმა მუშარაფმა ხელისუფლება 1999 წელს მონყო ბილი სამხედრო გადატრიალების შედეგად მოიოვა. ამერიკის პრეზიდენტის თბილი სიტყვები მუშარაფის პოლიტიკის შედეგია, რომელმაც 11 სექტემბრის შემდეგ ვაშინგტონთან მჭიდრო თანამშრომლობა დაიწყო და მვერთვებული შტაბების მართ-

ლმსაჯულებას აღ-ქაიდას 500-მდე წვერი გადასცა.

ბუშისა და მისი მრჩეველების აზრით, პაკისტანის ბირთვული იარაღი უკვე რეალურად, რომელსაც ველარ შეცვლია. ახლა ვაშინგტონი ცდილობს, რომ გრანტებისა და ხელსაყრელი საფაქრო პირობების შემოქმედით გენერალ მუშარაფს დაეხმაროს, რათა მან ფუნდამენტალისტების შეკავება შეძლოს. წინააღმდეგ შემთხვევაში პაკისტანი ბირთვული იარაღის მქონე პირველი ფუნდამენტალისტური სახელმწიფო გახდება, რაც შეერთებული შტატებისათვის დიდი საფრთხე იქნება.

ეს პრობლემა ემთხვევა, როდესაც ვაშინგტონი გრძელადიან დახმარების გამოყოფა კონგრესმა უნდა დაამტკიცოს, სადაც, როგორც წესი, ზემდგომი განცხადებით პროექტებს უჭერენ მხარს.

ვაშინგტონში შემოთავაზებული არიან, რომ მუშარაფის მიერ დაბრუნებული დემოკრატიული რეჟიმები პაკისტანში წელიტეში მიმდინარეობს, ხოლო მის მიმართ ლეგიტიმური მხარდაჭერა თანდათან კლებულობს.

"ეს ქვეყანა ჩვენ ძალიან ვაპოვებთ, რადგან პაკისტანი ერთადერთი ბირთვული სახელმწიფოა, რომელსაც ცუდ ხელში მოხვედრის საფრთხე ემუქრება", - აღნიშნა ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა. პრაქტიკულად, დემოკრატიის მიუხედავად, ისლამაბადს 71 ცალი F-16 ტიპის გამანადგურებლის მიყიდვაზე კვლავ უარი უთხრა. ის ამერიკელების თქმით, ამგვარი შეთანხმება ინდოეთს ძალიან გააღიზიანებს. ადმინისტრაცია სამხედრო დამხმარების განხილვის ფრთხილობას, რათა მაღალტექნოლოგიური შეიარაღება საბოლოოდ ვაშინგტონის მოწინააღმდეგეთა ხელში არ აღმოჩნდეს.

„ჰამასმა“ ისრაელის სახალხმოს არსებობა აღიარა

გუშინ, "ჯერუსალიმ პოსტმა" გაავრცელა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, პალესტინის რადიკალურმა დაჯგუფებამ "ჰამასმა" ისრაელის სახელმწიფოს არსებობა სცნო და ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მზადყოფნაც გამოხატა. ვაზეთის ამის შესახებ ქალაქ ლაზაში "ჰამასის" ერთ-ერთმა ლიდერმა აბუ შეჰაბმა განუცხადა. "რა აზრი აქვს რიტორიკულ საბურბებს?"

მოდი, გულახდილად ვლიაროთ, რომ ჩვენ ისრაელის განადგურება არ შეგვიძლია. ჩვენი პრაქტიკული მიზან ისრაელის გვერდით პალესტინის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნაში მდგომარეობს", - აბუ შეჰაბის აზრით, პალესტინის სახელმწიფომ ისრაელზე შეტევა არ უნდა განახორციელოს და მის გვერდით მშვიდობიანად უნდა იცხოვროს, რადგან-

აც ისრაელის წინააღმდეგ ფართომასშტაბიან ომში პალესტინის დამარცხება გარდაუვალი იქნება. "როდესაც პალესტინის სახელმწიფოს შექმნით, ჩვენ მეზობლები აღარ დავგეჭვდებთ და ისრაელზე ყოველგვარი თავდასხმები შეწყდება. ყველაფერი სამოქალაქო ცხოვრების რელსებზე გადავა", - განაცხადა "ჰამასის" ლიდერმა.

კითხვაზე - გააკეთებს თუ არა ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე "ჰამასი" ლია განცხადებას - მან უპასუხა, რომ ორგანიზაციის ასეთი პოლიტიკის გაკეთება ჩაფიქრებული აქვს, თუკი ამის საშუალებას ისრაელი მისცემს.

გუშინვე, ლაზაში ისრაელის სამხედრო პირებმა "ჰამასის" ორი აქტივისტი მოკლეს.

დემოკრატი რუსულად

პირველი გვარდია

წყნარად მიმდინარეობს "ტექნიკური" სამუშაო, რომელიც არც პოლიტიკოსებს და არც ხალხს არ აინტერესებს. მისი შედეგების შესახებ უკანასკნელი რევიონული არჩევნებიდან გამომდინარე შეგვიძლია ვიმსჯელოთ.

თუ სულ ახლახან რუსეთში იყო დემოკრატია, რომელსაც ერთდროულად რამდენიმე ცენტრი ჰქონდა, დღეს იგი მონოცენტრულ ქვეყნად იქცა, რამაც, ბუნებრივია, საარჩევნო თამაშის წესებიც შეცვალა. ცვლილებები შეეხო თითქმის ყველა უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტს:

საარჩევნო კომისიები

უფრო დაბალი რანგის საარჩევნო კომისიებზე ცენტრალური საარჩევნო კომისიის გაგუნება სულ უფრო იზრდება. ცესკო იქცა "არჩევნების სამინისტროდ", რომელიც თვითონ ქმნის თამაშის წესებს, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში ძალზე ბუნდოვანია, და თვითონვე უზრუნველყოფს მათ განხორციელებას. არასრულყოფილი კანონმდებლობა ცესკოს საშუალებას აძლევს, ძალზე იოლად და სრულიად კანონიერად, ამოიღოს საარჩევნო სივლიანი, პრაქტიკულად, ნებისმიერი კანდიდატი (საბანო ათავსავარია: კამპანიის წესების დარღვევა, ხარჯების მაქსიმალური ზღვრის გადაჭარბება და ა.შ.) და დასაჯოს ნებისმიერი ტელევიზია ან გაზეთი. ახალი კანონის თანახმად, ცესკოს უფლება აქვს დაითხოვოს ნებისმიერი რევიონული კომისია (რაც გააკეთა კიდევ კრასნოიარსკი).

სასამართლოები

1999 წლის დუმის არჩევნებიდან მოყოლებული, არჩევნების ბედი წყდება არა საარჩევნო ურბებთან, არამედ საარჩევნო კომისიებში და სასამართლოში. კურსში, სარატოვსა და როსტოვში სასამართლოებმა არჩევნებიდან მოხსნეს მთავარი პრეტენდენტები, ერთ შემთხვევაში - გუბერნატორი, დანარჩენებში - ოპოზიციის კანდიდატები. სამივე მათგანი მიუღწეველი იყო კონსტიტუციის. მას შემდეგ, რაც მოსკოვმა ორგორც სასამართლოებზე, ისე პროკურატურაზე სრული კონტროლი დაამყარა, სასამართლოების საარჩევნო მიზნებით გამოყენება გახშირდა.

სასამართლოები

1999 წლის დუმის არჩევნებიდან მოყოლებული, არჩევნების ბედი წყდება არა საარჩევნო ურბებთან, არამედ საარჩევნო კომისიებში და სასამართლოში. კურსში, სარატოვსა და როსტოვში სასამართლოებმა არჩევნებიდან მოხსნეს მთავარი პრეტენდენტები, ერთ შემთხვევაში - გუბერნატორი, დანარჩენებში - ოპოზიციის კანდიდატები. სამივე მათგანი მიუღწეველი იყო კონსტიტუციის. მას შემდეგ, რაც მოსკოვმა ორგორც სასამართლოებზე, ისე პროკურატურაზე სრული კონტროლი დაამყარა, სასამართლოების საარჩევნო მიზნებით გამოყენება გახშირდა.

სამართალდამცავი ორგანოები

სამართალდამცავები საარჩევნო თამაშის ყველაზე მნიშვნელოვანი მონაწილეები არიან. მათ ფუნქციებში შედის ოპონენტების დამინება და იმგვარი ინფორმაციის გავრცელება, რომელმაც არჩევნების შედეგებზე შეიძლება გავლენა იქონიოს. აქ უნდა აღინიშნოს, რომ ბოლოხანს რევიონულ სამართალდამცავ ორგანოებზე მოსკოვის გავლენა შესამჩნევად გაიზარდა. პუტინის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, შსს-სა და ფსბ-ს რევიონულ სამსახურებში გენერლების ორი მესამედი შეცვალეს.

გარდა ამისა, შს მინისტრი გრიზოლოვი, ამავე დროს, სახელისუფლო პარტიის თავმჯდომარეცაა. მილიციელები და "უფესბუშნიკები" ერთმანეთის მიყრდნობით ნეკრიანდებიან "ერთიანი რუსეთის" მხარდამჭერთა კლუბებში.

პოლიტიკური ოფისები

პრეზიდენტის ფედერალურ წარმომადგენლობებთან გაიხსნა ე.წ. პოლიტიკური ოფისები, სადაც მისი პროპაგანდისტული მუშაობისა და გუბერნატორების ზურგსუკან პროცედურის ელიტიზმთან კავშირების დამყარებისათვის. ქვეყანაში სამი ათასი ასეთი ოფისი შეიქმნა და მათში ახი ათასი ადამიანი მუშაობს. მიღებულია გადაწყვეტილება, რომ ამ ოფისების მართვა მალე "ერთიან რუსეთს" გადაეცემა.

საარჩევნო ოლქები

საარჩევნო ოლქების მოხაზულობა მალე შეიცვლება. რამდენადაც 2002 წლის აღწერის შედეგები არც არსებული ანალოგიური მონაცემებისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება, ოლქების გეოგრაფიაც შეიცვლება. ეს საუკეთესო გზა არასასურველი დამუტატების თავიდან მოსაშორებლად.

ამ ხუთიდან პირველი სამი ელემენტი წინა არჩევნებშიც მნიშვნელოვან როლს თამაშობდა, მაგრამ პოლიტიკურ ძალებს შორის მაშინ გარკვეული ნონანსორება არსებობდა. ახლა კი, პოლიტიკური ძალები უკვე ცენტრალიზაციასთან ერთ-

ად, მათმა ერთობლიობამ შეიძლება პოლიტიკური სისტემის კარდინალური ცვლილება გამოიწვიოს. ერთობლივად, საარჩევნო კომისიებს, სასამართლოსა და სამართალდამცავ ორგანოებს შეუძლიათ, არჩევნების შედეგებზე უზარმაზარი გავლენა იქონიონ.

ცვლილებები შეეხება არა იმდენად პროპორციული, რამდენადაც მაჟორიტარული წესით არჩეულ დეპუტატებს, რომლებიც დუმის ნახევარს შეადგენს. კრემლი მნიშვნელოვნად გაზარდეს მაჟორიტარებს შორის თავის მხარდამჭერთა ხვედრით წილს. არ არის აუცილებელი სხვა დეპუტატის არჩევა, ახალ პირობებში ბევრმა ყოფილმა ოპოზიციონერმა შეიძლება პოლიტიკური სიმპათიები შეიცვალოს.

დუმში მაჟორიტათა ნახევარი კრემლის აქტიური მხარდამჭერია, ახალი არჩევნების შემდეგ, მათი რიცხვი გაიზარდება. მიუხედავად იმისა, რომ რეიტინგი, "ერთიანი რუსეთი" ჩამორჩება კომუნისტურ პარტიას, კრემლის სურვილი, ფლობდეს დუმში "საკონტროლო" პაკეტს, სულაც არ არის მიუღწეველი.

საკითხებია, ასეთ ვითარებაში, რამდენ ანუხლებს კრემლს ასე ძალიან მომავალი არჩევნები?

ჯერ ერთი, არჩევნებს მაინც ესაჭიროება ამომრჩეველი. მართლაც დემოკრატიის ძირითადი პრობლემა მდგომარეობს იმაში, როგორ უნდა დაარწმუნო ხალხი, რომ არჩევნებზე მოვიდეს, მაშინ, როდესაც მან იცის, რომ ამით არაფრის შეცვლა არ შეუძლია.

ერთ-ერთი გამოსავალი პოლიტიკური ბრძოლის სიმულირებაში მდგომარეობს. ამ მიზნით, "ერთიანი რუსეთი" ყველაზე ძვირფას სასტუმროებში მართავს ცხარე საჯარო დისკუსიებს პოლიტიკური ლიდერებისა და ცნობილი ინტელექტუალების მონაწილეობით (სხვა პარტიებიც წელნელა ბაძავენ მის მაგალითს), იპარაფს სხვა პარტიების იდეებს და შემდეგ მათი "განხორციელებისათვის" იბრძვის. პოლიტიკური ბრძოლის სიმულირების განუწყვეტელი კრიტიკაა.

კანონის თანახმად, თუ დუმის არჩევნებში მოსახლეობის 25 პროცენტმა მაინც არ მიიღო მონაწილეობა, მისი შედეგები უაქმაობაა. მართლაც, ამ ზღვრის გადალახვა არც თუ ისე ძნელია, მაგრამ ხელისუფლები კრემლის მაინც მიშინველიანია, რომ სტატისტიკური რაც შეიძლება მეტმა ადამიანმა მიიღოს მონაწილეობა,

რადგან ჯერ ერთი, ეს ხელისუფლების ლეგიტიმურობას ზრდის და მეორეც, რაც უფრო ცოტა ხალხი მივა არჩევნებზე, მით უფრო მეტ ხმას მიიღებს ოპოზიცია. ამიტომაც, კრემლის ზენოლით, დუმამ არჩევნები 14-დან 7 დეკემბრისათვის გადმოიტანა (12, 13 და 14 დეკემბრის დღეებია).

კრემლის მომხრეთა ბანაკი სინამდვილეში ძალზე ჭრულია. ოლიგარქები, გუბერნატორები და კრემლის დაჯგუფებები განუწყვეტელი ქმნიან კოალიციებსა და ებრძვიან ერთმანეთს. ახალი კანონის თანახმად, ფრაქციის შექმნისათვის აუცილებელია 12 მანდატი (აღრე საჭირო იყო 35). ეს კი რუსეთის დუმის "უკრიანო-ზაცისა" ნიშნავს, ანუ ყველა მეტ-ნაკლებად ძლიერ საფინანსო-საბრუნველო ჯგუფს საკუთარი ფრაქცია ეყოლება.

მომავალი არჩევნები იდეოლოგიისაგან თავისუფალი იქნება, მხოლოდ შინაარსით და არა ფორმით. პარტიების თავისუფლების ხარისხი დღითიდღე მცირდება, თუმცა მათი დროშები, ემბლემები და ლოზუნგები კვლავინდებურად ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეგვხვდება. მაგრამ, ეს მხოლოდ საარჩევნო დეკორაციაა. თავიანთი დამოუკიდებლობა პარტიებმა არჩევნების შემდეგ უნდა დააშტკიცონ.

ახლახან ნორილსკში ჩატარებულმა მერის არჩევნებმა დაადასტურა, რომ "მართლაც დემოკრატიაა" აქვს საზღვარი. მიუხედავად ხელისუფლებისა და ბიზნესის ერთობლივი მცდელობისა, ამომრჩეველთა 30 პროცენტმა შემოხაზა "ყველას წინააღმდეგ". ეს საბჭოთა დროიდან შემორჩენილი ჩვევაა, რომელიც თანამედროვე რუსეთში ახალ სიცოცხლეს იძენს.

საპარლამენტო არჩევნების ახლანდელი მოდელი სულ უფრო ემსაგება "ამერიკულ ჭიდაობას" - მთავარია ფორმა და არა შინაარსი. მაგრამ ფარმა უკვე თავისი თავი ამორჩავს და საჭიროა რაღაც ახალი. "მართლაც დემოკრატია" სამართავად მხოლოდ ფული და ადმინისტრაციული რესურსები არ არის საკმარისი, საჭიროა ახალი პოლიტიკური ტექნიკა და ახალი ტალანტი, კრემლს კი ერთიც აკლია და მეორეც. აქედან ყველაზე ხაინტრეკსო კითხვა, რომელიც არჩევნებთან დაკავშირებით ჩნდება: შეიძლება კი კრემლის მიერ თავსამხედრო "მართავად დემოკრატია" დიდი ხნით მოერგოს საზოგადოებას, რომელმაც მონაწილეობა მიიღო რუსეთის საოცარი უნარი გამოამჟღავნა?

როგორ მოულოდნელად გავიწყდა

როგორც ბრიტანელი გაზეთი "გარდიანი" იუწყება, ორმაგის საღამოს ნიუ-იორკში გამართულ მხოლოდ ერთ ნვეულებზე ბუშმა თავისი პარტიის საარჩევნო კამპანიისათვის სარეკლამო თანხა - 4 მილიონი დოლარი შეაგროვა.

მანქნეტზე გამართული წვეულებას 1000 სტუმარი ჰყავდა. შესვლისათვის თითოეულმა 2000 დოლარი გადაიხდა, პრეზიდენტთან სურათის გადაღება 20 ათასი დოლარი ღირდა. წვეულებას უოლ-სტრიტის თითქმის ყველა "ლომი" დაესწრო.

თავისი პარტიისათვის ერთ კვირში 1,6 მილიონი შეაგროვა ვიცე-პრეზიდენტმა დიკ ჩენიმ.

1999 წლის საპრეზიდენტო კამპანია ბუშს 100 მილიონი დოლარი დაუჯდა.

ავსტრალია

ავსტრალია სოლომონის კუნძულებზე წესრიგის აღსადგენად სამხედრო საპოლიციო ძალების გაგზავნას ფიქრობს. ავსტრალიის პრემიერ-მინისტრის ჯონ ჰოუვარდის თქმით, ეს ერთადერთი საშუალებაა, რათა სოლომონის კუნძულებზე ტერორისტთა თავშესაფრად არ გადაიქცეს.

ჰოუვარდის თქმით, მთავრობა სოლომონის კუნძულებზე ეთნიკური სისხლისღვრისა და უკანონობის ძალისმიერი მეთოდებით შეჩერების შესაძლებლობას განიხილავს. პრემიერ-მინისტრის ინფორმაციით, ავსტრალია წყნარ ოკეანეში მდებარე სოლომონის კუნძულებზე ინტერვენციას, სავარაუდოდ, ახალ ზელანდიასთან ერთად განახორციელებს.

სოლომონის კუნძულებზე ცენტრალურ ხელისუფლებასა და არაფორმალურ ხაზმებს შორის სისხლისმღვრელი ომი ძალუფლების მოსაპოვებლად მიმდინარეობს.

ჰოუვარდის თქმით, სამხედრო ინტერვენცია რეგიონში ავსტრალიის საგარეო პოლიტიკაში ძირეული ცვლილებების გამოხატულებას იქნება. დღემდე იგი ცდილობდა, წყნარ ოკეანის რეგიონის პატიარ სახელმწიფოების შიდა საქმეებში არ ჩარეულიყო. "ავსტრალიის ინტერესებში არ შედის, რომ წყნარი ოკეანის რეგიონში არმედგარი სახელმწიფოების წყება შეიქმნას", - განაცხადა ჰოუვარდმა პარლამენტის წინაშე გამოსვლისას. პრემიერ-მინისტრის თქმით, ნებისმიერ სამხედრო ინტერვენციის ფინანსური დახმარება უნდა ახლდეს თან.

მომავალში ამგვარი სახელმწიფოები ნარკოტიკებით მიჯარჭობის, ფულის გათხრებისა და აჯარითაშორისო ტერორიზმის ბუდედ გადაიქცევა... ამ პრობლემებთან გამკლავება მომავალში ჩვენ მაინც მოგიწევს, ოღონდ მაშინ ყველაფერი გა-

დამსახურებული სიტომ



თინა ჭიკვაშილი და ელენე სურგულაძე მილოცვებს იღებენ.

თამარ ღვალაძე

გუშინ სამი ღვაწლმოსილი პედაგოგი საკუთარი კოლეგებისა და მოსწავლეებისაგან იმ თბილ სიტყვებს ისმენდა, რაც თავიანთი 50-წლიანი მოღვაწეობის განმავლობაში დაიმსახურეს. ელენე სურგულაძეს, გუგული ქერქაძეს და თინა ჯაფარიძეს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტში ყოფილმა მოსწავლეებმა და კოლეგებმა საღამო მოუწყვეს.

ქალბატონი ელენე 1952 წლიდან ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელია. საქართველოში არ დარჩენილა წელიწადი, რომელიც ქალბატონი ელენეს არ დაემსახურებინოს. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა გოგონას მუშაობა გაუთა 84-ე სკოლაში დაუწყია. აქედან დაიწყო მისი აღარება და ნარმატივები და დღემდე ასე რქმულდება. ქალბატონი ელენე 34 წელია, 123-ე სკოლის პედაგოგი. იგი დღესაც ამაყობს, რომ მისი გაკვეთილიდან არც ერთი კლასი "შატალოზე" არ წასულა. ახლა ჩემს ცხოვრებაში დამდამსკლის ხანა იწყება და უბედნიერესი აღამიანი

არასრულწლოვანი და დანაშაული

ლელა მარგინი

საქართველოს განათლების სამინისტრომ ჩატარდა ერთდღიანი კონფერენცია თემაზე "არასრულწლოვანი და დანაშაული. რეალობა და პერსპექტივები". კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ ბავშვთა უფლებებზე მომუშავე სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები. კონფერენციაზე გამოხატულ იქნა ერთგვარად აღნიშნული, რომ ბავშვთა უფლებებზე მომუშავე სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები ერთდროულად ახლოს უნდა იყოს არასრულწლოვანთა დანაშაულის ფაქტების შიდა, თბილისის შს სამსახურის მთავარი სამმართველოს უფროსმა ლევან მაისურაძემ თქვა, რომ წილელს "116 მოზარდმა 79 დანაშაული ჩაიდინა", რომ მათგან ჩამოყალიბდა 52 დანაშაული. რივი ჯგუფი, რომლებზეც კრიმინალური სამყაროც ახდენს ზეგავლენას. "სამწუხაროდ, მოზარდებისთვის მიმზიდველია ენ. "ქურდების ინსტიტუტი", აღნიშნა მაისურაძემ.

შეთანხმებული პროექტის ვარიანტი კანცელარიის გზას ადგას

უნარშეზღუდლებმა მიმშვილობა შეწყვიტეს

მაკა ჭანიანი

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა შიმშილობის აქცია, რომელიც ექვსი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა პარლამენტთან, გუშინ შეწყდა. "ხელისუფლება დაგვიპირდა, რომ პარლამენტში ჩვენს პროექტს პარასკევიდან განიხილავდნენ. იმედი ვიქონიოთ, რომ პირობა შესრულდებოდა. თუ ასე არ მოხდება, ორშაბათიდან ჩვენი აქცია პოლიტიკურ ხასიათს მიიღებს. ახლა კი ყველას დიდი მადლობა თანადგომისთვის", - მოშიმშილეები დღის სამი საათისთვის ამ სიტყვებით დაიშალნენ. მათი მონაცემებით, ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებული პროექტის ვარიანტი კანცელარიის გზას ადგას.



ხელისუფალთა დაპირებამ მოშიმშილეებს სულზე მიუსწრო.

გუშინ დილით ექიმები უკვე აცხადებდნენ, რომ მოშიმშილეთა მდგომარეობა უკიდურესად დამძიმდა. შეიძლება ითქვას, ხელისუფალთა დაპირებამ მათ სულზე მიუსწრო. რომ არა აქციის შეწყვეტა, არაფერი იცის, როგორ განვითარდებოდა მოვლენები. გამოირიცხული არ არის, რომ მთავრობასთან შეთანხმების მიღწევა ამანაც დააჩქარა. არის მეორე მომენტები - საჯარულ ფონდის მაღალი სტუმრების წინაშე მტკიცებას, - არც ისეთი ცუდები ვართ, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს, - ამგვარი ფონი არ მოუხდებოდა.

ასეა თუ ისე, მოშიმშილეები დაარწმუნეს, - ყველაფერი კარგად იქნება, შესაბამის დოკუმენტაციას მოვამზადებთ და თქვენს ინიციატივას, ოთხთვიანი ექსპერიმენტის სახით, თბილისის მასშტაბით განვახორციელებთ. ამ გზით, 6000-ის ნაცვლად, მხოლოდ 1000 უნარშეზღუდული დასაქმდება, თუმცა ამ ადამიანებს იმედი აქვთ, რომ ყველაფერი კარგად იქნება და ხელისუფლება მათ ინიციატივას მიუღებენ. უარეს შემთხვევაში კი - აღარ შემოიტანენ. საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ასეთი შემთხვევებისა ჩამნაცვლებული ყოველთვის მოიძებნება, მაგრამ ჩვენთან ამაზე საუბარსაც კი ერიდებიან. მეტიც, უმაღლესი ხე-

ხელისუფლებულ ფაქტორებზეც ალაპარაკდნენ. მაგალითად, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ზოგიერთ ნარმომადგენელს მიაჩნია, რომ სანავაზებ ასეთი მონიტორინგს იმპორტირები ბოიკოტს გამოუცხადებენ: ბენზინს, უკეთეს შემთხვევაში, გააძვირებენ, უარეს შემთხვევაში კი - აღარ შემოიტანენ. საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ასეთი შემთხვევებისა ჩამნაცვლებული ყოველთვის მოიძებნება, მაგრამ ჩვენთან ამაზე საუბარსაც კი ერიდებიან. მეტიც, უმაღლესი ხე-

ქართულ მომხმარებელს დამსჯელი ბაზარი

ნანა ქადაგიშვილი

მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ კანონი, რომელიც 1997 წელს შევიდა ძალაში და საკომუნიკაციო საშუალებების მომხმარებელთა უფლებების დაცვასაც ითვალისწინებს, 6 წლის განმავლობაში არ ამოქმედებულა. ახალ წლის აპრილამდე არ არსებობდა სტრუქტურა, რომელიც ამ კანონს განახორციელებდა. აპრილიდან კი ეს ფუნქცია კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამსახურმა და არასამთავრობო ორგანიზაცია "21-ე საუკუნე" ითავებს. "საქართველოში მომხმარებელთა მონაწილეობა, როცა ნებისმიერ განვითარებულ ქვეყანაში კომპანია, უპირველესად, მის ინტერესებს ითვალისწინებს. ჩვენ გვინდა ქართველი მომხმარებელი მონობის განვიხილოთ", - აცხადებს სამსახურის ხელმძღვანელი ლია მუხამაგია.

მომხმარებელთა უფლებების დამცველი სამსახურისთვის, შექმნილია სამი თვის მანძილზე, უკვე საკმაოდ ბევრ დაზარალებულს მიუკითხავს. მომხმარებელს, ძირითადად, "ელექტროკავშირს" უჩივიან. მუხამაგიაჩემმა მაგალითისთვის ერთი ფაქტი მოიყვანა. 1995 წელს მოქალაქე თოდუას "ელექტროკავშირმა" საკუთარი ინიციატივით გაუყვანა სატრანზიტო ხაზი და 100-ლარიანი ტარიფის გადახდა მოსთხოვა. მომხმარებელმა გააპროტესტა, რის გამოც მას ტელეფონი გაუთიშეს. საქმეში მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამსახური ჩაერია და თოდუას 100 ლარის გადახდა აღარ მოუხდა. როგორც მუხამაგია ამბობს, მომხმარებლები, უმთავრესად, "ელექტროკავშირს" გადასახადის რაოდენობის გაზრდის გამო

უჩივიან. თუმცა, სამსახურისთვის თაღლითებისა და უსინდისო მეზობლების მიერ დაზარალებულ მომხმარებელსაც არაერთხელ მიუკითხავს. ბოლო დროს განსაკუთრებით გახშირდა მობილური ტელეფონის მფლობელთა მოტყუება. თაღლითები მათთან რეკავენ, ეუბნებიან, რომ პირი მთავარი და ახლადშენილი სასაუბრო ბარათის კოდს სტყუებენ. მსგავსი ზარები ოჯახებშიც გახშირდა. თაღლითების ანკესს არაერთი მოხუცი წამოგვია. გარეთ გაყვანილი სატელეფონო ხაზის მფლობელებს კი ხშირად მეზობლები აზარალებენ. მათ ხაზზე ერთვებიან და თვის ბოლოს ამ მოკალაქეებს, უსინდისო მეზობლის წყალობით, საკმაოდ სოლიდური ოდენობის საფასურის გადახდა უნებოთ. თაღლითების როლში, არცთუ იშვიათად, ტელეკომპანიებიც გვევლინებიან. "ზოგიერთ ტელეკომპანიაში, ისეთ ფილმებს უშვებენ, რომლის პრე-

ზენტაცია არ შემდგარა", - აცხადებს მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამსახური და არც მსგავსი ფაქტების უყურადღებოდ დატოვებას აპირებს. ასე რომ, საკომუნიკაციო საშუალებების მომხმარებელს, თაღლითი კომპანიებისა თუ თანამოქალაქეების წყალობით, პრობლემები არ აქვია. როგორც, მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამსახური ირწმუნება, დაზარალებისთვის მასთან მივსვალს აზრი ნამდვილად აქვს. "ჩვენი სამსახური პრობლემის გადაწყვეტას დაპირებული ცდილობს, ხოლო თუ ამით არაფერი გამოდის, არასამთავრობო ორგანიზაცია "21-ე საუკუნე" სარჩელის სასამართლოში შესატანად საჭირო დოკუმენტაციასა და სასამართლოში პროცესის მოგებაზე ზრუნავს", - აცხადებს ლია მუხამაგია.

„ბაღკვიძო“ კონფლიქტოლოგია სეზონი დასურა

გუშინ კლუბ "სარდაფში" გაიმართა სეზონის ბოლო აპოლიტიკური ოთხშაბათი, რომლის სტუმარი ვახლდათ მამუკა არეშიძე. მიუხედავად იმისა, რომ ოთხშაბათის შეხვედრებზე პოლიტიკოსებს სტუდენტები ხვდებიან, გუშინდელ შეხვედრას უფროსი თაობის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. "ბუღკვიძო" ბავშვი ვიყავი, სკოლაშიც კარგად ვსწავლობდი და ასევე წარჩინებით დავამთავრე სახელმწიფო უნივერსიტეტი", - ეს იყო სულ, რაც მამუკა არეშიძემ საკუთარ ბავშვობასა და ახალგაზრდობაზე მოგვიყვია. მას საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს ჟურნალისტიკის სფეროში და მიჩინებს, რომ მასმედია დღეს თავისუფალია. მამუკა არეშიძის პოლიტიკური პროგნოზით მას არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების არ სჯერა, თუმცა აცხადებს, რომ ერთ წელიწადში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა გადანაცვლები იქნება, ხოლო სასიკეთოდ თუ სავეალოდ, ამას არ აკონკრეტებს. გუშინდელი შეხვედრით დასრულდა "აპოლიტიკური ოთხშაბათობების" პირველი სეზონი. შეხვედრები კლუბ "სარდაფში" პოლიტიკოსებსა და სტუდენტებს შორის სექტემბრიდან კვლავ განახლდება.

24 საათი
მოკლედ

თბილისი. დედაქალაქის ერთადერთი არასრულწლოვანთა მიღების, პროფილაქტიკისა და ორიენტაციის ცენტრში ბოლო ათი თვის განმავლობაში წარდგენილი 149 მოზარდიდან 32 თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეა. ამასთან, ოუსტიკის სამინისტროს სასაგანმანათლებლო დეპარტამენტის მე-5 იზოლატორში წინასწარ პატიმრობაშია თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების 58 მოსწავლე, ხოლო 19 აფხაზის არასრულწლოვანთა აღმზრდელითი დახვებულულებში იზღის სასჯელს. მედია-ნიუსი

თბილისი. მერიამ და ასოციაცია "კათარისის" ხელმძღვანელობამ დღეს შეთანხმების მიღწიეს. მერიისგან იმის გარანტიის მიღების შემთხვევაში, რომ 5-10 წლის შემდეგ შენობა არ გაიყვანოს, "კათარისის" ხელმძღვანელებმა თანახმა, 49 წლის განმავლობაში შენობა უზურფრუქტის წესით მიიღოს. ინტერ-პრესი

MBG-ბანკი

MICROFINANCE BANK OF GEORGIA

საქართველოს მიხროსაფინანსო ბანკი

საშუალო სესხი:

თანხა: \$10.000-50.000

ინვესტ სესხი:

თანხა: \$50.000-დან

წლიური 18%-დან

წლიური 16%-დან

საბურთაქოს ოფისი 0112 თბილისი თბილისი, თბილისის რაიონი, 18 ტელ: (995 32) 77-06-16 ფაქსი: (995 32) 77-06-11 Email: central@mbg.com.ge	საბურთაქოს ბანკის ოფისი 0179 თბილისი თბილისი, 8 ტელ: (995 32) 85-88-06 ფაქსი: (995 32) 85-88-07 Email: vaka@mbg.com.ge
საბურთაქოს ბანკის ოფისი 0112 თბილისი თბილისი, თბილისის რაიონი, 3/32 ტელ: (995 32) 77-06-16 ფაქსი: (995 32) 77-06-11 Email: stationsquare@mbg.com.ge	საბურთაქოს ბანკის ოფისი 0167 თბილისი თბილისი, ხაჩიაშვილის ქ. 1 ტელ: (995 32) 57-01-01 ფაქსი: (995 32) 57-01-01 Email: gidani@mbg.com.ge
ბორჯომის ოფისი 1400 გურია ქაქუცაძის ქ. 10 ტელ: (995 270) 2-16-09 ფაქსი: (995 32) 33-46-78; 33-46-58 Email: pcr@mbg.com.ge	საბურთაქოს ბანკის ოფისი 0177 თბილისი თბილისი, თბილისის რაიონი, 46 ტელ: (995 32) 80-17-17 ფაქსი: (995 32) 80-17-18 Email: saburtaia@mbg.com.ge
მთიანეთის ბანკის ოფისი 3000 მთიანეთი ჩხარტიკის ქ. 3 ტელ: (995 257) 2-16-00; 2-16-50 ფაქსი: (995 22) 94-31-36 Email: mameti@mbg.com.ge	საბურთაქოს ბანკის ოფისი 0182 თბილისი თბილისი, 19-ე რაიონი ტელ: (995 32) 76-44-82 ფაქსი: (995 32) 76-44-81 Email: vashid@mbg.com.ge
ფოთის ოფისი 4400 ფოთი ბ. აღმაშენებლის ქ. 23 ტელ: (995 293) 26-28-5; 26-28-3 ფაქსი: (995 293) 26-28-4 33-46-58 Email: pot@mbg.com.ge	თბილისის ბანკის ოფისი 0115 თბილისი თბილისი, თბილისის რაიონი, 112 ტელ: (995 32) 77-06-35 ფაქსი: (995 32) 77-06-36 Email: ilo@mbg.com.ge
ქუთაისის ბანკის ოფისი 0801 ქუთაისი ბ. აღმაშენებლის ქ. 2 ტელ: (995 236) 66-430 ფაქსი: (995 236) 66-430 Email: kutaisi@mbg.com.ge	თბილისის ბანკის ოფისი 4600 თბილისი თბილისი, თბილისის რაიონი, 85 ტელ: (995 231) 4-14-14 ფაქსი: (995 231) 4-51-64 Email: kutaisi@mbg.com.ge
ბათუმის ოფისი 6000 ბათუმი თბილისის რაიონი, 18 ტელ: (995 88 222) 7-24-80 ფაქსი: (995 88 222) 7-19-54 Email: batumi@mbg.com.ge	საბურთაქოს ბანკის ოფისი 0182 თბილისი თბილისი, თბილისის რაიონი, 112 ტელ: (995 32) 77-06-35 ფაქსი: (995 32) 77-06-36 Email: ilo@mbg.com.ge
ბათუმის ბანკის ოფისი 6000 ბათუმი ქაქუცაძის ქ. 10 ტელ: (995 88 222) 7-24-19 ფაქსი: (995 88 222) 7-24-19 Email: batumioutlet@mbg.com.ge	საბურთაქოს ბანკის ოფისი 2100 ზუგდიდი თბილისის რაიონი, 1 ტელ: (995 815) 5-11-23 ფაქსი: (995 32) 93-43-74 Email: Zugdidi@mbg.com.ge

www.mbg.com.ge

ნომრის პერსონა

საქართველო დემოკრატიის ბუნებრივი ლაბორატორიაა

ეგებ ამერიკელები გაცხდით ის ამშარტავანი ხალხი, ვინც გარესამყაროს საკუთარი ჭეშმარიტებით აღიქვამს...

მაია ჭალაბანიძე



უიინ დ. ფილდზი

რა ჯობია ქვეყნის განვითარებისთვის - იყო ძველი დემოკრატიისა და ახალგაზრდა კულტურის თუ ახალგაზრდა დემოკრატიისა და ძველი კულტურის ქვეყანა... სხვათა შორის, ორივე ამ ტიპის სახელმწიფოს ბევრი პარალელური პრობლემა აქვს - როგორ თანაირსებონ მშვიდობიანად და სად არის თითოეული ადამიანის ადგილი არსებულ სამყაროში... ამგვარი საუკუნეობრივი საკითხები ისეთ ქვეყანაშიც კი თავსატეხს წარმოადგენს, როგორც ამერიკა. ოლონდ, „მცირე“ განსხვავებით - ეს ფილოსოფიური კითხვები ამერიკას მხოლოდ ორი საუკუნეა აწუხებს. ჩვენ კი - 30 საუკუნე და ახლახან აღმოჩნდა, რომ შეიძლება 31 საუკუნის წინაც კი სახელმწიფო გვექონდა...

ჩვენი დღევანდელი სტუმრები „ამერიკა-კავკასიის სტრატეგიული და კულტუროლოგიური კვლევების ინსტიტუტის“ ამერიკელი წარმომადგენლები - სენტ ლუისის ვაშინგტონის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორები, ფსიქოლოგი ჯეიმზ ვ. უერნი და მწერალი უიინ დ. ფილდზი არიან. პროფესორი უერნი, ამ უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის ხელმძღვანელია, ხოლო პროფესორი ფილდზი ამერიკული კულტურის შემსწავლელ პროგრამის ხელმძღვანელობს.

- რამ გამოიწვია თქვენი საქართველოში დაინტერესება?
ჯეიმზ ვ. უერნი: პირადად მაინტერესებდა ბევრი რამ, რაც ყოფილ საბჭოთა კავშირს შეეხებოდა და გამოწვეული იყო ბატონ თედო ჯაფარიძისთან ჩემი ძველი მეგობრობით. 1975-76 წლებში ჩვენ ერთად ვცხოვრობდით მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელში. შედეგად დიდი ხნით დაგვირგვინ კონტაქტი და მაშინ აღვადგინეთ, როცა იგი აშშ-ში ელჩად ჩამოვიდა. ბატონ თედოს ჩვენი პროექტები ვეპატივებოდით და ჩვენც დავეინყეთ საქართველოში ვიზიტები.

დემოკრატიზაციისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების თვალსაზრისით, საქართველო ძალზე საინტერესო ქვეყანაა. ჩვენი ინტერესის იმიტიც არის გამოწვეული, რომ საქართველოს შესწავლით საკუთარი თავის შესახებაც ბევრ რამეს ვარკვევთ.

- კერძოდ, რა აღმოაჩინეთ ისეთი, რაც არ იცოდით?
- შტატებში სხვადასხვა ჯგუფების - რელიგიური, ეთნიკური თუ რასობრივის - ერთმანეთთან თანაარსებობის პრობლემა. თქვენ სხვაგვარი პრობლემები გაქვთ, მაგრამ სხვადასხვა რეგიონული თუ რელიგიური ჯგუფების თანაარსებობის პრობლემებიც არსებობს. როცა ამ ჯგუფების თანაარსებობის შესახებ თქვენს დისკუსიებს ვუსმენთ, ამავე დროს იმაზეც ვფიქრობთ, თუ როგორ უნდა ვითარდებოდეს პროცესები ამერიკის შეერთებულ შტატებში...

- გეთანხმებით, ამ მხრივ, ბევრი საუბრეა საქართველოში. საინტერესოა, რა სახის გამოცდილებას იძენს აშშ ჩვენი პრობლემების დაკვირვებით?

- საქართველო დემოკრატიის განვითარებისთვის ბუნებრივი ლაბორატორიაა. თქვენ ძალზე სერიოზული პრობლემები გაქვთ. მეორეს მხრივ კი, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა თქვენში არსებულმა ადამიანურმა რესურსმა. გვაჯობს საკმაოდ განათლებული და მოახერხებელი ხალხი, მთელი ენერჯით და გრძობებით რომ არის ჩართული თავის საქმეში.

ორ ქვეყანას შორის განსხვავება ის არის, რამდენად ახერხებენ რესურსების მობილუბებას კონკრეტული დადებითი შედეგების მისაღებად. გზა, რომლითაც ძალების მობილუბებასა და გაერთიანებას მოახერხებთ, შეიძლება იყოს სვეციფიკური, თქვენელი და ეს არ იქნება აშშ-ს გზის გამორჩევა. არავინ აპირებს ისეთი გზის შემოთავაზებას, რომლითაც ამერიკულად იცხოვრობთ.

პრობლემების გადაჭრის თქვენი გზა, საბოლოო ჯამში, შეიძლება, ჩვენთვისაც საინტერესო გახდეს.

- თქვენ მწერალი ხართ. ინსტიტუტის მიზანია კულტურული, საგანმანათლებლო და მეცნიერების დარგში თანამშრომლობა. არის ეს

მეორე რიგის პრობლემა პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობების შემდეგ?

უიინ დ. ფილდზი: იმდენად ერთმანეთზეა გადაჯაჭვული, რომ ამ მიმართულებებს ვერ გამოვიყვანებთ. არ შეიძლება, მწერალი იზოლირებული იყოს, პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა არ მიიღოს. კარგი მწერლის დაწინაურება ისიცაა, რომ ყველა ეს მიმართულება ერთ მთლიან პრობლემად მოიაზროს.

- გადაწყვეტი მომენტის დადგომისას, საქართველოში ყველა მწერალი არ ცდილობს პოზიციის ხმადალა გამოხატვას და ეს ზოგჯერ ცუდი არ არის...

- ეს ამერიკაშიც შეიმჩნევა. არიან ისეთი ავტორები (მაგალითად, ნორმან მეილერი), ვინც ძალზე მონდობილია, რომ საზოგადოებრივ პრობლემებზე უფრო აქტიურად ილაპარაკოს. თუმცა, არიან სხვა მწერლებიც (და ისინი უმრავლესობას წარმოადგენენ), ვისაც მოვლენების გააზრებისთვის გარკვეული დრო სჭირდება. ისინი საკითხებს თავისი მწერლობით უნებურად გამოძინებენ უდავოდ და არა იმ ადამიანების პოზიციიდან, რომელთა მოღვაწეობაც პირდაპირ პოლიტიკურ საქმიანობასთან არის დაკავშირებული. როცა საქმე კონკრეტულ პოლიტიკურ სიტუაციას ეხება, მწერლის მიდგომა ბევრად არ განსხვავდება ჩვეულებრივი მოქალაქის მიდგომისგან, რადგან ის პროფესიონალი პოლიტიკოსი არ არის და თავისი სუსტი და ძლიერი მხარეები გააჩნია.

- მაგარ, გადაწყვეტი მომენტში მათი აზრი მეთხველება, უბრალო ადამიანზე ზემოქმედებისთვის ძალზე მნიშვნელოვანია...

- ასეთი რამ უფრო ლათინოამერიკული ქვეყნების მწერლებზე შეიძლება ითქვას, სადაც მათ უფრო მეტი დატვირთვა აქვთ, ვიდრე - მწერლებს არ საქმიანობა. ამერიკაში მწერალთა საზოგადოებრივი აქტივობა უფრო შიდა ლიტერატურული დიალოგით გამოიხატება. დამწყები დემოკრატიის ქვეყნებში უფრო ხშირად შეხვედებით მწერლებს, რომლებიც აქტიურად ერთვებიან საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

- თქვენი ინსტიტუტის მიერ გამოცემულ ჟურნალში „კავკასიის კონტექსტი“ წერთ, რომ ქართველთა თვისება, დაყრდნობა კოლექტიურ მესხიერებას და საკუთარ თავში გარკვევისთვის წარსული გაისინონ, სახიფათოა... რა საფრთხეს გულისხმობთ?

ჯეიმზ ვ. უერნი: პოტენციური საფრთხე იგივეა, რაც ყველა სხვა ერში. ნებისმიერი სხვა ერის შემთხვევაში, კოლექტიური მეხიერება ორ ძირეულ სიუჟეტურ ელემენტად შეიყვანება. ეს არის ან მსხვერპლად დაინერგვის ერის ამავე (რომ ის დაინერგა და რაღაცას მსხვერპლად შექნიდა),

ან პირიქით - დაიდა გამარჯვების მქონე ერის ამავე.

თუმცა, არიან ისეთი ერებიც, რომელთა ისტორიაშიც ორივე ეს სიუჟეტი ერთმანეთზეა გადაბმული. მაგალითად - რუსები. როდესაც კოლექტიურ მესხიერებაში ძირითად სიუჟეტურ სქემას მსხვერპლური ყოფა წარმოადგენს, ადვილი შესაძლებელია, მოხდეს იმ ტიპის გაერთიანება, რომელშიც ისიცაა, რომ ყველა წიტილერმა მოახერხა. ხოლო, თუკი ერს საორიენტაციოდ გამარჯვებასა და წარმატებაზე აგებული სიუჟეტი აქვს, მაშინ ადვილი შესაძლებელია, ამატრატუნება მიეცეს და აკეთოს ის, რაც მიაჩნია მართებულად და ასე აღიქვას გარესამყარო.

- ფიქრობთ, რომ ქართველებში საღი აზრი გაიმარჯვებს და ამ ორ სიუჟეტს შორის უკეთესს აირჩევს?

- საქართველოს შესახებ ჩემი ცოდნა იმის თქმის საშუალებას მაძლევს, რომ თქვენს წარსულთან დაკავშირებული რამდენიმე შესაძლებელი სიუჟეტის გამოყენება შეგიძლიათ. ერთ-ერთი სიუჟეტი - ქართველები ყოველთვის შემწყნარებელი, ტოლერანტი ერი იყავით. თქვენთან სხვადასხვა რელიგიისა და ეროვნების ხალხი ცხოვრობდა. ამავე დროს გაქვთ მეორე სიუჟეტიც - საქართველოს კაცობრიობის ისტორიაში გააჩნია უნიკალური როლი, რომელიც ჯერ კიდევ არ განუხორცილებია.

- კონკრეტულად?
- მაგალითად, დანარჩენი მსოფლიოს დასახლებულ ქვეყნებში მარტო-მარტო დიდებლობა. დედა იმის შესახებ, თუ რა არის წარსული, რომელსაც უნდა დაეყრდნო, ტოლერანტობა თუ მსოფლიოსთვის ქვემარტი მართლმადიდებლობის დემონსტრირება?! ეს თემები ძალზე ხშირად განგვიხილავს ინსტიტუტში და აზრთა სხვადასხვაზეა ჩვენთვის საინტერესო იყო. ეს თემა იმპერატორ გეორგიუს საქმიანობის, რომლის შესახებაც შეხვედრებზე ვსაუბრობდით. ერთ-ერთი ასეთი პროექტი იქნება დისკუსია იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ვასწავლოთ სკოლებში საქართველოს ისტორია. ეს ღრმა პოლიტიკური თემაა, რომელსაც ეროვნული იდენტურობის პრობლემებთან აქვს კავშირი. თქვენ ამის შესახებ საკუთარი ვერსია გაქვთ, ჩვენც ამერიკაში ვსწავლობთ ამ პრობლემას...

- თუ დაასკვნით ამ დისკუსიებისას - ვინ ხართ თქვენ, ამერიკელები?
- ჯერ უნდა გაირკვეს, თუ ვინ არიან ისინი, ვინც ცდილობს, საბოლოოდ, გაიმარჯვოს და გაბატონდეს წარსულზე. დასკვნები შეიძლება გაკეთდეს მხოლოდ იმ პროექტების საშუალებით, რომლის შესახებაც შეხვედრებზე ვსაუბრობდით. ერთ-ერთი ასეთი პროექტი იქნება დისკუსია იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ვასწავლოთ სკოლებში საქართველოს ისტორია. ეს ღრმა პოლიტიკური თემაა, რომელსაც ეროვნული იდენტურობის პრობლემებთან აქვს კავშირი. თქვენ ამის შესახებ საკუთარი ვერსია გაქვთ, ჩვენც ამერიკაში ვსწავლობთ ამ პრობლემას...

- რამდენად ხელსაყრელია ხელისუფლებისთვის, მართოს წარსული წაბლაჭეული და მომავალი ვერგარკვეული საზოგადოება?
უიინ დ. ფილდზი: ეს დემოკრატიის ერთ-ერთი მთავარი სირთულეა. შეიძლება ერი მისსავე გამოგონილ წარსულში ცხოვრობდეს, მაგრამ დემოკრატიულ საზოგადოებაში ყოველთვის გინდა იმ წარსულის დღევანდლობასთან მისადაგება. საქმე ის არის, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში სხვა წარსულებზეც შეიძლება იყოს დასაყრდენი და მუდმივ კონფლიქტში გიხდება ყოფნა.

ისეთ ძველ დემოკრატიებში, როგორც აშშ-შია, შეიძლება მოხდეს ისე, რომ წარსული მცხოვრები და დღევანდლობის შიშით შეპყრობილი ადამიანთა ჯგუფი თავის მიერ გამოგონილ წარსულში შეიყუფოს და ამით დემოკრატიული საზოგადოების მოთხოვნებს დაემკობოს.

- დღევანდელ საქართველოში თუ ხდება მსგავსი სიმპტომები და რამდენად ადეკვატურია ჩვენი დღევანდელი ხელისუფლება არსებულ საზოგადოებისა?
- საქართველოს ასე ღრმად არ ვიცნობ, მაგრამ ეს პრობლემები სხვა ერებსაც გააჩნიათ. ეს დამოკიდებულია იმ კონკრეტულ ისტორიულ-პოლიტიკურ მომენტზე, რომელმაც შეიძლება სიმპტომები გაამძაფროს. თქვენ ახლა გაქვთ ასეთი პოლიტიკური მომენტი და ხდება კიდევ ისე, როგორც ამერიკაში 11 სექტემბრის შემდეგ მოხდა: ხალხმა ერთ ჯოგად გაერთიანება და იმის თქმა მოინდომა, რომ უნდა არსებობდეს მხოლოდ ერთი კონკრეტული ამავე, ერთი მხედრულმა წარსულის შესახებ და ამის გარშემო უნდა გაერთიანდეთ... ასეთ დროს იმის საშიშროება არსებობს, რომ ეგრე არავითარ ალტერნატიულ აზრთან დიალოგი არ მოინდომოს.

- არის თუ არა დიდი განსხვავება ქართველი პოლიტიკურ და კულტურულ განვითარებას შორის?
ჯეიმზ ვ. უერნი: როგორც თქვენ ჯაფარიძე იტყვის ხოლმე - ამერიკა არის ძველი დემოკრატია და ახალგაზრდა კულტურა, ხოლო საქართველო - ძველი კულტურა და ახალგაზრდა დემოკრატია...

რაც მთავარია, გაქვთ გარკვეულად ჩამოყალიბებული კულტურული სქემები. პოლიტიკური თამაშები კი თქვენთან ახლა იწყება.

ზოგჯერ წარსულის შესახებ სიმართლის თქმა ძალზე მნიშვნელოვანია. მაგრამ, დედა მომენტი, როდესაც წარსულის შესახებ ამომწურავი სიმართლის თქმა აუცილებელი არ არის. მაგალითად: ესაბნეთო, ფრანკოს შემდგომ პერიოდში, ერთგვარი საზოგადოებრივი შეთანხმება მოხდა, რომ არ ღირდა საუბარი იმის შესახებ, ფრანკოს დიქტატურის დროს ვინ რომელ მხარეს იდგა. თქვენ წარმოიდგინეთ, მაშინდელმა ძალზე პოპულარულმა პრეზიდენტმა ფილიპე გონსალესმა, რომელიც არჩევნებში მონაწილეობდა და

ბდა და ხმებს კარგავდა, ქულების ჩასანერად იმის გარკვევა დაიწყო, თუ ვინ სად დგა ფრანკოს დროს, მაგრამ ეს საკუთარი პარტიის წევრებმაც კი კატეგორიულად აუკრძალეს. მავანი იტყვის, რომ ეს იყო სიმართლე წარსულის შესახებ, მაგრამ იმ შემთხვევაში - გაუმართლებელი...

- დგას თუ არა საქართველოში მესხიერების დაკარგვის მომენტი?
- ამას ვერ გეტყვით, ეს ქართველების გადასწყვეტია, მაგრამ მაინც არსებობს ისეთი მომენტი, როდესაც საზოგადოება წარსულის გარკვეული ნაწილის დღის წესრიგიდან მოხსნაზე უნდა შეთანხმდეს. მაგალითად ისე, როგორც სხვა ქვეყნებში, თქვენც გადასწყვეტი გაქვთ, გახსნათ თუ არა „კაგებეს“ არქივები დღეს, თუ 125 წლით გადადით. უნდა გადაწყვიტოთ, რა იქნება საზოგადოებისთვის პროდუქტიული...

- აშშ-კავკასიის ინსტიტუტის ერთ-ერთი ამოცანა საქართველოში მესხიერების ცხოვრების წესის გარკვეული პრეზენტაცია-დანერგვაა. ისიც გეტყვით, რომ საზოგადოების ნაწილი მონონტიზმს არ ხვდება ამერიკანიზაციის პროცესს. როგორ აპირებთ მოქმედებას?

უიინ დ. ფილდზი: ამ ბოლო დროს „სი-ენ-ენ“-ს თუ უყურებდით, დარწმუნდებოდით, რომ თავად ამერიკელების დიდი ნაწილი არ არის კმაყოფილი ამერიკანიზაციის პროცესით. პირადი ინტერესი მაქვს, სხვა რომელი ტერიტორიის ამერიკანიზაცია არ მოახდინო... ჩემთვისაც გაუგებარია, რას ნიშნავს ამერიკანიზაცია... ამ შემთხვევაში, ჩემთვის მთავარია არა ამერიკანიზაცია, არამედ დემოკრატიული ღირებულებების დღევანდელ და განვითარება - როგორ თანაარსებობენ განსხვავებული ჯგუფები, რამდენად უწყობენ ერთმანეთს ხელს იმაში, რომ ერთად იარსებონ.

და მაშინ, ეს ჩვენი უმცროსი დამამოკრატები ძალზე საინტერესო ინდივიდუალური ადამიანები არიან. არავინ თავზე მოხვევას არ ვაპირებ... შეიძლება პირიქითაც მოხდეს და უმცროსი დემოკრატიისგან ჩვენც რაღაც ვისწავლოთ. მაგალითად, დემოკრატიზაციის შემდგომი პერსპექტივის სურათი დაგინახოთ, ანუ რამდენად შეიძლება ეს პროცესი ისე განვითარდეს, რომ მოსახლეობის უფრო დიდი ნაწილი მოიცვას. დაგინახოთ, საით შეიძლება წავიდეთ თავისუფლება და თავისუფალი საზოგადოება...

- კავკასია მხოლოდ აზერბაიჯანი, სომხეთი და საქართველო არ არის. როგორ აპირებთ რელიგიურად, კულტურულად და სოციალურად განსხვავებულ ერებთან ურთიერთობას?
ჯეიმზ ვ. უერნი: მხოლოდ საქართველო უამრავი საშუალება ამაზე მეტი იქნება საქართველო-აზერბაიჯანსა და საქართველო-აზერბაიჯან-



ჯეიმზ ვ. უერნი

სომხეთთან... ისეც საკმარისია.

- რა არის ის, რაც არ იცით საქართველოს შესახებ და რასაც ვერასდროს გაიცემთ?

- ჩემთვის ყველაზე დიდი გამოცანა შემდეგია: ერთის მხრივ, ვხედავ ძალზე დიდ ადამიანურ რესურსს და მეორეს მხრივ, სერიოზული პოლიტიკური დისკუსიის ორგანიზებას ვერ ახერხებთ. ეს დროის ამავე და თანდათან დალაგდება. თქვენ ამ თამაშში მხოლოდ სანაყის ეტაპზე ხართ.

მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ჩვენთვის თქვენს ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის გამო სასონარკვევთას მიეცემა ხოლმე, საქართველო სამხრეთ კავკასიაში ერთადერთი ქვეყანაა, სადაც ასეთი ფართო დისკუსიები მიმდინარეობს... ზოგჯერ ხუმრობითაც ვამბობ - როგორ შეიძლება, ზომაცე მეტი დემოკრატია გქონდეს...

- ახ „ხედმეტი დემოკრატიის“ მიუხედავად, დასავლეთი, თქვენი თანამშრომელი პოლიტიკოსები საქართველოში დემოკრატიისთვის საშიშ პროცესებს ხედავენ.

- ამ პრობლემებს ჩვენც ვაწყობდით... ორი მომენტის შეჯერება უნდა მოხდეს: ყველას თავისი ინდივიდუალური ხმა აქვს, მთავარია ამ ხმების გაერთიანება და ქვეყნის სასიკეთოდ წარმართვა მოახერხო...

უიინ დ. ფილდზი: რაც ყველაზე უფრო მაკვირვებს საქართველოში, ეს არის დემოკრატიის ახალგაზრდაობა. ამერიკის წარსული გავისწავლოთ - ჩვენ დემოკრატიის მშენებლობას ისეთ ადგილებში ვინყებდით, სადაც სულ ახალი ჩასულები იყვნენ ჩვენი ოჯახები... ჩავდიოდით და ცდილობდით, ჩვენთვის და ჩვენს ირგვლივ დემოკრატიული სახლი აგვეშენებინა. ამავე დროს გვეშურდა იმ ხალხის, ვინც უფრო ღრმად ფესვგადგმულნი და მკვიდრი იყვნენ... მაინტერესებდა, როგორ ახერხებთ თქვენი წარსულის შენარჩუნებას და დემოკრატიის აშენებას. ეს ხომ, უპირატეს ყოფილა, რომელსაც ამერიკა შექიანა...

- ერთნაირი პრობლემები გვქონია...

- დიას... ვერ გეტყვით, რამდენად გავარკვევ ვეღვაფერ, მაგრამ ეს მოგაზრებას შეეძინა - ცდილობ, სხვისი მემკვიდრეობით შეიცნო საკუთარი თავი. ყოველი ჩვენგანის სიცოცხლე ხომ ბრძოლაა თვითშემეცნებისთვის...

ჯაზ-ფესტივალი

ბანტიროვის დღე "აჭარა მიუზიკ ჰოლში"

პირა ნაფარიძე

თბილისის ჯაზ-ფესტივალის მე-ოთხე დღე დანარჩენებისაგან, ძირითადად, ემოციების ნაკლებობით გამოირჩეოდა. კონცერტი შეგიძლია ფესტივალის განტვირთვის დღედ ჩავთვალოთ. "ინკონტოსა" და კენი გარეტის კონცერტებზე სიმოვნებები განა დააღლილი მსმენელი "აჭარა მიუზიკ ჰოლში" "ქართულ ჯაზზე" ძალ-ღონეს იკრებდა - მეორე დღეს ხომ მას მსოფლიოში სახელგანთქმულ Take 6-თან შეხვედრა ელოდა.

მე თუ მკითხავთ, ორივე მოსაზრებაში არის სიმაღლის მარცვლები. კონცერტი ოთარ მაღრაძის "თბილისის დიქსილენდმა" გახსნა. ეს კოლექტივი მაყურებლის ყურადღებას უფრო თავისი შემადგენლობით იქცევდა. ვალერი ფილოძე (დასარტყამი ინსტრუმენტი), კაკო ვაშალომიძე (ბანჯო), ვალერი ფილოძე-ანი (საყვირი) და თავად ოთარ მაღრაძე (ფორტეპიანო), - ეს სახელები ქართველი მსმენელისთვის საკმაოდ ნაცნობია, ისევე როგორც მათ მიერ შესრულებული პროგრამა; რეპერტუარი ძველი, 30-40-იანი წლების ინსტრუმენტული ჯაზის განწყობას ქმნიდა. „თბილისის დიქსილენდის“ გამოსვლამ ჯაზის მოყვარულებს ძველებური მუსიკის ნოსტალგია მოჰგვარა. ფესტივალზე მსმენელის განტვირთვა დინი ვირსალაძის კონცერტმა გააგრძელა (შემადგენლობა: პაპუა კვაჭაძე, დავით მასტერანოვი, დათო ჯაფარიძე, ვალერი ფილოძე). ჯგუფის უღერადობამ აშკარად გამოაცხადა მსმენელი, თუმცა ამ მხრივ, ყველაფერი ჯერ კიდევ წინ იყო. ყველა განსაკუთრებით ელოდა ფესტივალის დებიუტანტებს, მაგრამ ის, რაც "ეთნო 10"-მა წარმოადგინა, მაინც ყველას მოლოდინს აჭარბებდა.



დინი ვირსალაძის ჯგუფი მსმენლის განტვირთვაზე მუშაობს

ყველაზე თვალშისაცემი და სასიამოვნო, რაც შეიძლება ითქვას ამ კოლექტივზე, ესაა მისი საკმაოდ ახალგაზრდული შემადგენლობა. როგორც მოგვიანებით ჯგუფის გამოსვლამ დაგვანახა, მისი წევრების ასაკი „ეთნო 10-ის“ მუსიკას საკმაოდ დადებით კვალს ატოვებს. ეს არის ენერგიული, კარგად შესრულებული მუსიკა. სამწუხაროდ, "აჭარა მიუზიკ ჰოლი" არ აღმოჩნდა ჯაზის მოსასვენებელი ადგილი; თანაც, თუ ტექნიკურ ხარვეზს გავითვალისწინებთ, ჯგუფის ვოკალისტსა და ლიდერს ირინე ებრაძისას სასცენო დებიუტის კვალობაზე არც ისე გაუმართლა, - მომღერალს ცოტა ხნით გამოირთული მიკროფონით მოუწინა გამოსვლა. მაგრამ საბოლოო ჯამში, ჯგუფმა ისე იმუშავა სცენაზე, რომ კლუბის სტუმრებს მის მიმართ აშკარა სიმპათიები გაუჩნდა. ერთი სიტყვით, საღამოს კარგი ფინალი ჰქონდა, რამაც თავისი წვლილი შეიტანეს ცნობილმა მუსიკოსმა მერაბ სანოძემ და დი-ჯეი ედგარ სებისამა. ამ დუეტმა ცნობილი ჯაზის თემების საკულტო ინტერპრეტაცია და მიქსები შემოგვთავაზა. "ჯაზ-ჰაუს პროექტმა" კი ფესტივალის კიდევ ერთი დღე დაასრულა.

პაპუა კვაჭაძის ფორტეპიანო

აკაპელას ბაკვეთილი ფილარმონიაში

Take 6 თბილისის მეშვიდე საერთაშორისო ჯაზ-ფესტივალის ბოლო აქორდი



Take 6-მა ფესტივალის ეფექტურად დახურა



პაპუა კვაჭაძის ფორტეპიანო

პირველი გავრცობა
Take 6-ის ჩამოყვანა ერთ-ერთი ძვირადღირებული და საპასუხისმგებლო პროექტია არამხოლოდ ქართველი პრომოუტერებისთვის. არა იმიტომ, რომ მათზე უკეთესი (პროფესიული თვალსაზრისით) მუსიკალურ სამყაროში არ არსებობს; ამის მიზეზი უფრო სექსტეტის გადატვირთული გრაფიკია. უბრალოდ, მათ საკონცერტო გამოსვლებს ჩვეულებრივი საკონცერტო დარბაზების გარდა კარგა ხანია ოფიციალური მიწებიც უნდა უკავიათ. Take 6-ით ხომ ხშირად უმასპინძლებდნენ საპატიო სტუმრებს "ეთერ სახლში". ამიტომ არცაა გასაკვირი, რომ სექსტეტის წევრები ყოველთვის პირველი კლასის მომსახურებით სარგებლობენ. ერთი სიტყვით, ამ მსოფლიოში ნომერ პირველი უაზრად ჯაზ-კოლექტივის არა მხოლოდ აშშ-ში უფრთხილდებიან. ამის მიზეზი მათი უნიკალურობაა.

რია დანელი, ბევრს საუბრობენ, მაგრამ ეს მართლა ის შემთხვევაა, როდესაც ათასჯერ გავიწყობს, ჯობს თავად მოუსმინო. სწორედ ამის საშუალება მოგვცა გუშინ თბილისის ჯაზ-ფესტივალის ფინალურ ღონისძიებაზე, რომელიც ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა. მე თვითონ ძნელად წარმომიდგენია Take 6-ის ჩანაწერების მოსმენა; ალბათ, მათაც, ვინც არ ვიყავი, სოულზე და თუკი მაინცდამაინც ხმების გაშლაზე მიდგება საქმე, ურჩევნია მშობლიური პოლიფონიურობით დატკბეს. მაგრამ, ის, რითაც Take 6 განუთქმობს, ჩვეულებრივ მრავალხმიანობაზე მეტია. ამერიკული სექსტეტის წევრები, პირველი რიგში, ვოკალური შესაძლებლობების უსაზღვრობაში გვიანმსუენებენ. ამ ექვს მამაკაცს უფლება წარმოადგინოს რამდენიმე მუსიკალური მიმდინარეობა ისე, რომ არცერთი ინსტრუმენტი არ გამოიყენოს, თვით რიითის ჩათვლით (რიითალი გუშინდელ კონცერტზე ერთადერთი ინსტრუმენტი იყო, რომელსაც მუსიკოსები აკომპანირებისთვის იყენებდნენ). და ამას ისე ახერხებენ, რომ მსმენელი არცერთი ინსტრუმენტის, არც საყვირის, არც ტრომბონის, საქსაფონის, დასარტყამი ინსტრუმენტის, ფორტეპიანოსა თუ კონტრაბასის ხმას არ მოისაკლეს. ყველაზე მთამბეჭდავი მაინც ელვინ ჩის იმიტირებულობაა-გიტარა იყო - თითქმის მთელი საათისხვედრის განმავლობაში მუსიკოსი მთელი სიზუსტითა და ეფექტურობით გამოსცემდა ამ ინსტრუმენტის უღერადობას.

ეს ყველაფერი ნიჭისა და გულმოდგინე მუშაობის გარდა, ალბათ, კიდევ ერთ რამეს მოითხოვს - ფიზიკურ ფორმაში ყოფნას, რასაც მუსიკოსები უპირობოდ ასრულებენ. ამაში გუშინ ჯერ კიდევ "შერატონ-მეტრი პალასში" გამართულ პრესკონფერენციაზე დავერწმუნეთ, როდესაც საკონცერტო ოთახის კარს, მუსიკოსებისა და ჟურნალისტების შეხვედრის დაწყებამდე "ისტერნ პრომოუშენის" წარმომადგენელი

გულმოდგინედ ხურავდა. როგორც გავარკვიე, ორგანიზატორები ცდილობდნენ დარბაზში სიგარეტის კვამლს არ შეეღწია. No Smoking, - გაუფრთხილება მასპინძლები Take 6-ის მენეჯერს. მუსიკოსები რომ მშვენიერ ფიზიკურ ფორმაში არიან, ეს მათი ერთი თვალის შევლელისაა ჩანს. ალბათ, ამიტომაც ისინი არც ისე დაღლილები ჩანდნენ საკმაოდ ხანგრძლივი მგზავრობის შემდეგ (Take 6 თბილისში აშშ-დან პარიზი-ფრანკფურტის გავლით ჩამოფრინდნენ). "მუსიკოსები მშვენიერ ხასიათზე არიან და არაჩვეულებრივ საღამოს გვერდებიან", - გვითხრა პრესკონფერენციის დაწყებამდე "ისტერნ პრომოუშენის" დირექტორმა მიმა გიორგაძემ. სექსტეტის წევრებმა მშვენიერი განწყობა იქვე გადმოგვცეს - ისინი ნებისმიერ შეკითხვას საკმაოდ ხალისიანად და გულწრფელად უპასუხებდნენ. მუსიკოსები განსაკუთრებით ხშირად იმეორებენ, რომ ისინი ღრმადმორწმუნე ქრისტიანები

არიან და ჯგუფის ყოველი წარმატების საიდუმლოსაც საკუთარ რწმენას უკავშირებენ. როდესაც თბილისში ჰკითხეს, რა არის ამ ხნის განმავლობაში მათი ერთიანობის შენარჩუნების ძირითადი საიდუმლო თუ მიზეზი, უპასუხეს: "პირველ რიგში, ძალიან დიდ პატივს ვცემთ ერთმანეთს. ამდენი წლის განმავლობაში გავხდით ძალიან კარგი მეგობრები. ჩვენ ქრისტიანები ვართ და ეს რწმენა გვეხმარება იმაში, რომ ჩვენი პერსონალური ამბიციები უკანა პლანზე გადავიწიოთ და ვიმუშაოთ ერთად, ჯგუფის წარმატებისთვის. ჩვენ ყველანი გავიხარდეთ ქრისტიანულ, ძალიან ძლიერი რწმენის ოჯახებში, ეს ჩვენი ცხოვრების ნაწილია, ამიტომ როდესაც ვნერთ მუსიკას, ეს ყველაფერი თავს იჩენს ჩვენს ტექსტებში. ეს არის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, თუ რატომ არ დავიშალა დღემდე ჯგუფი. ჩვენ გვჯერა, რომ Take 6-ს პასუხობდნენ. მუსიკოსები განსაკუთრებით ხშირად იმეორებენ, რომ ისინი ღრმადმორწმუნე ქრისტიანები

Take 6 კონცერტი თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ გარკვეული შოუა, სანახაობა, სადაც მუსიკოსებთან ერთად მაყურებელიცაა "ჩათრეული". მუსიკოსები საკმაოდ წარმატებით ახერხებენ მსმენელისთვის მცირედი აკაპელის უსუნაულას. კონცერტზე Take 6 ბოლო დროს ტრადიციული რეპერტუარით გამოვიდა. მუსიკოსებმა ერთ-ორი ნაშუაგარი მათი ბოლო, შარშანდელი ალბომიდანაც შეასრულეს. ეს ჩანანერი (Beautiful World) იმითიცაა მნიშვნელოვანი, რომ მასზე სექსტეტის წევრებთან ერთად ცნობილმა მუსიკოსმა მარკუს მილერმა იმუშავა. რაც შეეხება, ჯგუფის მორიგ ალბომს, მასზე მუშაობა უკვე დაიწყო მუსიკოსების ხელში. "ჩვენ მოგვონს კიდევ, რომ არ ვართ შეზღუდვები გარკვეული ჩარჩოებით. თუმცა, ზუსტად ვიცით, რომ შემდეგი ალბომი აკაპელა იქნება", - გვითხრეს Take 6-ის წევრებმა.

პრეპენტაცია

ქართული ფილოსოფია დასავლეთის კვლადაკვალ

ნანა ბასილაშვილი
გუშინ, დიუმას ცენტრის საგამოფენო დარბაზში ქართული ფილოსოფიის სკოლის რამდენიმე თაობის წარმომადგენელმა მოიყარა თავი. ილია ჭავჭავაძის სახელობის დასავლური ენისა და კულტურის უნივერსიტეტის, ფილოსოფიური და სოციალური მეცნიერების ფაკულტეტმა, ისინი ახალი ჟურნალისა და წიგნის პრეზენტაციაზე მოიწვიეს. სულ რაღაც ორი წლის წინათ დაარსებულმა ფილოსოფიისა და სოციალური მეცნიერების ფაკულტეტმა, უკვე რამდენიმე ფილოსოფიური კრებული გამოსცა და ახლა უკვე საზოგადოებას პირველი წიგნი წარმოუდგინა. გუშინდელი შეხვედრა მთლიანად ფაკულტეტის გამოცემებს მიძღვნილი ფაკულტეტის დეკანმა მამუკა ბერიაშვილმა და მისი კოლეგამ ემზარ ჯგერენაიამ საზოგადოებას, მათ მიერ აქამდე გამოცემული სხვა კრებულებიც წარმოუდგინეს. საგანგებო პრეზენტაცია კი გერმანელი ფილოსოფოსის, დიტრის ფრაიბერგელის "ტრაქტატი ნეტარი ჭვრეტის შესახებ" და "ფილოსოფიურ განაზრებას" მოუწვევს. ეს უკანასკნელი, სადაც დაბეჭდილია როგორც ქართული, ისე გერმანული ფილოსოფოსების ორიგინალი შრომები, სამეცნიერო საზოგადოებამ პროფესორ გურამ თევზაძის 70 წლის იუბილეს მიუძღვნა. დიტრის ფრაიბერგელის "ტრაქტატი ნეტარი ჭვრეტის შესახებ", რომელიც ლათინურ-გერმანულ ენებზეა, პროფესორმა ბურგარდ მიოზიშმა თარგმნა. მისი წყალობით ფილოსოფიის ფაკულტეტი გამომცემლობა "შერიდიანთან" ერთად, ამ წიგნის გამოცემის ექსკლუზიური უფლებით სარგებლობს.

მული სხვა კრებულებიც წარმოუდგინეს. საგანგებო პრეზენტაცია კი გერმანელი ფილოსოფოსის, დიტრის ფრაიბერგელის "ტრაქტატი ნეტარი ჭვრეტის შესახებ" და "ფილოსოფიურ განაზრებას" მოუწვევს. ეს უკანასკნელი, სადაც დაბეჭდილია როგორც ქართული, ისე გერმანული ფილოსოფოსების ორიგინალი შრომები, სამეცნიერო საზოგადოებამ პროფესორ გურამ თევზაძის 70 წლის იუბილეს მიუძღვნა. დიტრის ფრაიბერგელის "ტრაქტატი ნეტარი ჭვრეტის შესახებ", რომელიც ლათინურ-გერმანულ ენებზეა, პროფესორმა ბურგარდ მიოზიშმა თარგმნა. მისი წყალობით ფილოსოფიის ფაკულტეტი გამომცემლობა "შერიდიანთან" ერთად, ამ წიგნის გამოცემის ექსკლუზიური უფლებით სარგებლობს.



მკითხველი ფილოსოფიურ ლიტერატურას ეგებნება

პროფესორ-მასწავლებლების მონაწილეობა, გერმანული ფორმა "ფოლ-სკვანისა" და გამომცემლობა "შერიდიანის" კეთილი ნება. გერმანელი ფილოსოფოსის, დიტრის ფრაიბერგელის "ტრაქტატი ნეტარი ჭვრეტის შესახებ" და "ფილოსოფიურ განაზრებას" მოუწვევს. ეს უკანასკნელი, სადაც დაბეჭდილია როგორც ქართული, ისე გერმანული ფილოსოფოსების ორიგინალი შრომები, სამეცნიერო საზოგადოებამ პროფესორ გურამ თევზაძის 70 წლის იუბილეს მიუძღვნა. დიტრის ფრაიბერგელის "ტრაქტატი ნეტარი ჭვრეტის შესახებ", რომელიც ლათინურ-გერმანულ ენებზეა, პროფესორმა ბურგარდ მიოზიშმა თარგმნა. მისი წყალობით ფილოსოფიის ფაკულტეტი გამომცემლობა "შერიდიანთან" ერთად, ამ წიგნის გამოცემის ექსკლუზიური უფლებით სარგებლობს.

პროფესორ-მასწავლებლების მონაწილეობა, გერმანული ფორმა "ფოლ-სკვანისა" და გამომცემლობა "შერიდიანის" კეთილი ნება. გერმანელი ფილოსოფოსის, დიტრის ფრაიბერგელის "ტრაქტატი ნეტარი ჭვრეტის შესახებ" და "ფილოსოფიურ განაზრებას" მოუწვევს. ეს უკანასკნელი, სადაც დაბეჭდილია როგორც ქართული, ისე გერმანული ფილოსოფოსების ორიგინალი შრომები, სამეცნიერო საზოგადოებამ პროფესორ გურამ თევზაძის 70 წლის იუბილეს მიუძღვნა. დიტრის ფრაიბერგელის "ტრაქტატი ნეტარი ჭვრეტის შესახებ", რომელიც ლათინურ-გერმანულ ენებზეა, პროფესორმა ბურგარდ მიოზიშმა თარგმნა. მისი წყალობით ფილოსოფიის ფაკულტეტი გამომცემლობა "შერიდიანთან" ერთად, ამ წიგნის გამოცემის ექსკლუზიური უფლებით სარგებლობს.

ინფორმაცია

იხილეთ

მაისტან შედარებით საქართველოს ნაკრები ფიფას მიერ გუშინ გამოქვეყნებულ იქნის რეიტინგში სამი საფეხური დაკვირვდა და ახლა 87-ე ადგილზეა. ერთი ადგილით ქვემოთაა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში ჩვენი მეტოქე ალბანეთის ნაკრები. რაც შეეხება დანარჩენებს, საუკეთესო მაჩვენებელი აქვს ირლანდიის ნაკრებს - მე-14 ადგილი, რუსეთის ნაკრები 30-ე, შვეიცარია კი - მე-40.

ვიარონი „მანჩესტერში, ხოლომდე დარჩება“

არგენტინელი ფეხბურთელის ხუან სებასტიან ვერონის აგენტის, ფერნანდო იდალგოს თქმით, ვერონი „მანჩესტერში“ კონტრაქტის ბოლომდე დარჩება და ხმები ნახევარმცველის იტალიურ კლუბში გადასვლის თაობაზე ჭორია. „ვერონის არასდროს უთქვამს, რომ კლუბის დატოვებას აპირებს. ის „მანჩესტერში“ თავს კომფორტულად გრძნობს და კონტრაქტის დასრულებამდე არსად წასვლას არ აპირებს“, - აღნიშნა იდალგომ. კონტრაქტი კი არგენტინელ ნახევარმცველს სამი წლის შემდეგ უმთავრდება.

ასეთი ხმების გავრცელება გამოიწვია ვერონის ამასწინანდელმა განცხადებამ, რომელშიც ის არ გამოირცხვავდა კარიერის იტალიაში გაგრძელებას. როგორც ფეხბურთელის აგენტმა განაცხადა, იტალიაში ვერონის გამგზავრება მხოლოდ საკონტრაქტო ვადის დასრულების შემდეგაა შესაძლებელი: „წურნალისტებმა ფრანკ კონტექსტიდან ამოავდეს. სწორედ ამის გამო მოხდა გაუგებრობა. ასე რომ, გასარკვევი არაფერია, ვერონი „მანჩესტერში“ რჩება“.

ფეხბურთი. მოსკოვის „სპარტაკის“ ახლად დანიშნულმა მთავარმა მწვრთნელმა ანდრეი ჩერნიშოვმა გუშინ ჟურნალისტებთან შეხვედრისას განაცხადა, რომ კლუბის ხელმძღვანელობა, შემადგენლობის გაძლიერების მიზნით, დაახლოებით შვიდი ახალი ფეხბურთელის ყიდვას აპირებს. მათი გვარები ჩერნიშოვს არ დაუგონებია, მაგრამ, რუსული სააგენტოების ცნობით, ხუთი მათგანი ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდანაა.

ფეხბურთი. ესპანური „Marca“-ს ინფორმაციით, „ვალენსია“ მზად არის, გაყიდოს გუნდის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი პაბლო აიმარი, თუ მის სახაცვლოდ 25 მილიონ გირვანქას მიიღებს. 23 წლის ნახევარმცველის გადაბირება „ბარსელონას“ სურს, „ვალენსიას“ კი ფინანსური მდგომარეობა აქვს გამოსასწორებელი. ასე რომ, ადვილი შესაძლებელია, გარიგება ორ ესპანურ კლუბს შორის ახლო მომავალში შედგეს.

ფეხბურთი. პრიმერა დივიზიონიდან გავარდნილმა „რაიო ვალეკანომ“ ახალი მწვრთნელის ვიზაობა დაასახელა. მადრიდულ კლუბს ამერიიდან ყოფილი მეკარე ზულიენ ლოპეტეგი განზრთინს. 36 წლის ლოპეტეგს თავის დროზე „ბარსელონასა“ და „რაიო ვალეკანოში“ უთამაშია. ფეხბურთელის კარიერა მარშან დაასრულა და ნაკრებში მეკარეთა მწვრთნელად მუშაობდა.

ფეხბურთი. მადრიდის „რეალს“ პორტუგალიელი კარლოს კეირუში განვიარებს. პორტუგალიისა და საბერტო აფრიკის ნაკრებების ყოფილმა მწვრთნელმა, რომელიც დღემდე „მანჩესტერში“ ალექს ფერგიუსონის თანაშემწედ მუშაობდა, ორწლიან კონტრაქტს მოაწვდის ხელი.

ფეხბურთი. დიდი ცვლილებებია ბილბაოს „ატლეტიკში“. კლუბის ახალმა პრეზიდენტმა იგნასიო უგარტეჩემ გერმანულ „შალკეში“ წასული იუპ ჰაინკესის ნაცვლად მწვრთნელად ერნესტო ვალვერედ მიიწვია. ვალვერედი აქამდე „ატლეტიკის“ მეორე შემადგენლობას წვრთნიდა და პრეზიდენტის წინადადებას უშალ დათანხმდა.

ფეხბურთი. ლონდონის „არსენალის“ ფეხბურთელმა ფრედერიკ ლიუნგბერგმა არ მიიღო მილანის „ინტერის“ წინადადება იტალიურ კლუბში გადასვლისთან დაკავშირებით. ფეხბურთელის განცხადებით, ქვეყნის ჩემპიონატში განცდილი ფიასკოს მიუხედავად, კონტრაქტის ვადის გასვლამდე „არსენალიდან“ წასვლას არ აპირებს.

ფორმულა 1. კოლუმბიელ პილოტს ხუან პაბლო მონტიიას საფრანგეთის პოლიციამ მართვის მოწმობა ჩამოართვა და საფრანგეთის გზებზე მანქანის მართვა აუკრძალა. პოლიციის ასეთი გადაწყვეტილების მიზეზად იქცა ის, რომ პილოტმა სიჩქარეს გადააჭარბა – იმ გზაზე, რომელზეც დასაშვებია სიჩქარე 90 კმ/სთ იყო, მონტიოა მანქანას 204 კმ/სთ სიჩქარით მართავდა.

ფორმულა 1. სეზონის ნახევარი მიილია და Bridgestone-ის მარკის საბურავებით მოასპარეზებმა რვა რბოლიდან ხუთი მოიგეს. ასეთი შედეგის მიუხედავად, არაოფიციალურ, ვერტო ნოდებულ „საბურავთა ჩათვლაში“ იაპონური კომპანია მნიშვნელოვნად ჩამორჩება თავის კონკურენტ Michelin-ს. „მალიან უკმაყოფილო ვარ. შედეგები არ ასახავს ჩვენი საბურავების პოტენციულს. ჩვენ არა ვართ დამნაშავენი, რომ სხვა გუნდები, რომლებიც ჩვენს საბურავებს იყენებენ, ვერ აღწევენ ისეთ წარმატებას, როგორსაც „ფერარი“. იმისთვის, რომ კომპანიამ თითოეული გუნდისთვის ინდივიდუალურად შეარჩიოს საბურავები, ორმხრივი თანამშრომლობა საჭირო, გუნდები კი ჩვენგან, უბრალოდ, კარგ საბურავებს ითხოვენ“, - ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა Bridgestone-ის ტექნიკურმა დირექტორმა ჰისაო შუგანუმა.

კრიკი. ვიტალი კლიჩკის ჯერ ლუისისგან მიყენებული ტრავმები არ მოუშუშებია და უკვე მატჩ-რევეანსისთვის ინჟესს კამპანიაში. „შე მატჩ-რევეანსს მოვიტხოვ და დარწმუნებული იყოს ყველა, რომ ლუისისთვის ის გაცილებით მნიშვნელოვანი იქნება, ვიდრე რთი ჯონსთან ბრძოლა“, - განაცხადა უკრაინელმა. თავად ლუისი ამასთან დაკავშირებით ოფიციალურად არაფერს ამბობს, თუმცა, არაოფიციალურად ცნობილია, რომ ის ამ წინადადებაზე ყაზუსაა.

კრიკი. გუშინ ცნობილი გახდა ვლადიმირ კლიჩკოს რინგზე დაბრუნების თარიღი. კარგა ხნის წინ კორი სანდერსთან განცდილი სენსაციური მარცხის შემდეგ უმცროს კლიჩკოს არავისთვის უჩხუბია. მისი მომავალი მეტოქე არც ამჯერადაა ცნობილი, მას მოგვიანებით დასახელებენ. სამაგიეროდ დადგენილია მომავალი ბრძოლის თარიღი და ადგილი - 30 აგვისტოს უკრაინელი მოკრივე მიუნხენში იჩხუბებს. ახლა უმცროსი კლიჩკოს ანგარიშზე 40 მოგება (37 ნოკაუტით) და 2 წაგებაა.

კრიკი. თავისი საჩემპიონო ქამრის დაცვის შემდეგ ლენოქს ლუისმა პირველად აღიარა, რომ ისეთ ფორმაში აღარ არის, როგორმც ორი წლის წინ იყო. ის დაეთანხმა ალის თეორიას, რომლის მიხედვითაც 36 წლის შემდეგ მძიმე წონის მოკრივეებს რეგრესი ეწყებათ. ყველაფრის მიუხედავად, ლუისმა განაცხადა: 70%-ით არის დარწმუნებული, რომ რინგს დაუბრუნდება, როდესაც, მისი თქმით, ის 70% საკმარისია იმ მოკრივეთა დასამარცხებლად, რომელთაც მისთვის ტიტულის წართმევა სურთ.

კალათბურთი. კომპანია „ნაიკმა“ სარეკლამო კონტრაქტი გააფორმა „ლეიკერსის“ ლიდერთან, კობი ბრაიანტთან, რომელიც პარალელურად ანალოგიურ წინადადებას განიხილავდა „აიდიასისგან“. საკონტრაქტო თანხა არ ზუსტდება, თუმცა, როგორც ამერიკელები აცხადებენ, ორი წლის განმავლობაში კომპანიის პროდუქციის რეკლამისთვის ბრაიანტი სამ მილიონამდე დოლარს მიიღებს.

მიხილეთ ახირობილი

თბილისის „დინამო“ გერმანიის ქალაქ რუიტში, ბუნდესნაკრების ცნობილ სანერთელ ბაზაზე და ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპისთვის ემზადება. გუნდს უკვე შეუერთდა მთავარი მწვრთნელი იგო შუშაკი, რომელმაც ბევრი სხვა შეთავაზება უარყო და ამ ერთი კვირის წინ „დინამოსთან“ კონტრაქტი კიდევ ერთი წლით გააგრძელა. შუშაკი უკვე რუიტშია. ბრაზილიელ კარლოს და როჩას კი, რომელიც ახლა სამშობლოშია, დღე-დღეზე ელოან.

შეკრებაზე 20 დინამოელი უნდა გამგზავრებულიყო, რომელთა რიგებში რატი ალექსიძეც ირიცხებოდა, მაგრამ სულ ბოლო მომენტში მას ზურგის ძველმა ტრავმამ შეახსენა თავი და, ექიმების რეკომენდაციით, რამდენიმე დღით თბილისში დარჩა. თუმცა, როგორც „დინამოს“ პრესატაქმე, ლევან სალუქვაძემ განაცხობა, ტრავმა სერიოზული არ არის, ალექსიძე მცირე სარეაბილიტაციო კურსს გაივლის და შაბათს, 28 ივლისს, გერმანიაში გაემგზავრება.

„დინამო“ სხვა ფეხბურთელებსაც ელის. რატისთან ერთად რუიტში გაემგზავრება საქართველოს ნაკრების მცველი, ქუთაისის „ტორპედოს“ ყოფილი ფეხბურთელი, რევაზ ქემოკლიძე. მან სეზონი თურქეთის კლუბ „ქიჯაფიასპორში“ ჩაათმავრა. ამ გუნდმა თურქეთის უმაღლეს დივიზიონში ადგილი ვერ შეინარჩუნა და ქემოკლიძეც აღ სამშობლოში დაბრუნება გადაწყვიტა. „დინამო“ უცხოელებსაც ელის. რუიტში ჩავა ოგოსლაფიელი თავდამსხმელი ლაკირი, რომელიც ცოტა ხნის წინ რუსული პრემიერლიგის კლუბ „კრილია სოვეტოში“ ირიცხებოდა. შუშაკი მას ტესტ-მატჩებში გამოცდის



დინამო ჩემპიონთა ტურისთვის ემზადება

და ამის შემდეგ გადაწყდება, გააფორმებს თუ არა „დინამო“ მასთან კონტრაქტს. ხორვატი სხვა უცხოელების განივივასაც გეგმავს, მაგრამ მათ სახელებს ჯერ არ ანბაურებს. „დინამო“ ამ შეკრებაზე ორჯერად ვარჯიშებს ატარებს, დღეს კი ტესტ-მატჩს შეიღმატჩიან სერბის „ველას ვიბლინგენთან“ შეხვედრით გახსნის. ეს გუნდი ბადენ ბურტენბერგის მხარის (ამ მხარეში მდებარეობს რუიტცი, - მ.ა.) სამოყვარულო რეგიონალურადი ასპარეზობს. შესაბამისად, ამ მატჩის

შედეგის პროგნოზირება ძნელი არ არის, თუმცა, ლევან სალუქვაძის თქმით, შუშაკმა სპეციალურად შეარჩია რამდენიმე სუსტი მეტოქე და მათთან შეხვედრებში სხვადასხვა სათამაშო სქემისა და ტაქტიკური მონახსნის გამოცდას აპირებს. მატჩი თბილისის დროით 22 საათზე დაიწყება. „დინამო“ ამავე რეგიონალური კიდევ სამ გუნდს გაეჯიბრება. 29 ივნისს - „ნიკერპაუნენს“, 6 ივლისს - „ფრიდენბოშს“, 10 ივლისს - „მეინგემს“. „დინამოს“ მზადების დონის განმ-

საზღვრელი მთავარი სპარინგ-შეხვედრები ჩვენს გუნდს 1, 5 და 8 ივლისს ელის. 1-ში მეტოქედ მიერ ბუნდესლიგის კლუბი „ულში“ ეყოლება, ხოლო 8-ში ავსტრიაში გადაინაცვლებენ და ავსტრიის მეორე ბუნდესლიგის „ლუშტენაუს“ დაუპირისპირდებიან. ყველაზე მნიშვნელოვანი მატჩი „დინამოს 5 ივლისს ელის. ამ დღეს მას საშუალება ექნება გაეჯიბოს მონახსნის პირველი ბუნდესლიგის ძველი ზინდარი, ევროპაში დიდი ავტორიტეტის მქონე მიუნხენური კლუბი „მიუნხენ 1860“.

სამეფო აჯანყება, ანუ „რეალში“ ბუნდია

ფაქტია: მადრიდის „რეალში“ ის განწყობა აღარ არის, რომელიც სამეფო კლუბისთვის ვინცნებ დელ ბოსკის ნაცვლამდე სუფევდა. დელ ბოსკის სამეფო კლუბიდან წასვლა და მონასტრის არევა ერთი იყო. ყოველ შემთხვევაში, ესპანურ გაზეთ „El Pais“-ზე დაყრდნობით, „რეალის“ ფეხბურთელებმა ბუნტი მოაწყვეს. ბუნტი, რომელიც რის ვაი-ვაგლახით ჩაახშო კლუბის პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა. მას შემდეგ, რაც „რეალს“ 29-ე დადგენილი ესპანეთის ჩემპიონის ტიტულს, ფეხბურთელებმა, პროტესტის ნიშნად, მოედანს მხოლოდ ერთხელ შემოუარეს საბატიო წრე. დაურუბელი მეორე ნესტაც ითხოვდა, მაგრამ ფეხბურთელებმა იუარეს. გარდა ამისა, მათ არ ისურვეს, სადღესასწაულო ზეიმში მიეღოთ მონაწილეობა. ამის შემდეგ კი ცხვირჩამოშვებულები გაემართნენ გასახდელისკენ. ჟურნალისტთა მცდელობის მიუხედავად, მომხდართან დაკავშირებით არც ერთ ფეხბურთელს სიტყვა არ დასცდენია. კლუბის ხელმძღვანელობა ამაოდ ცდილობდა, გუნდი მოედანზე გამოეყვანა. მაგრამ, ეს კიდევ არაფერი. პრობლემები უფრო თვალმისაცემი გახდა მეორე დღეს, როდესაც ფეხბურთელებმა მერიამი წასვლაზე უარს განაცხადეს. მართალია, კლუბის პრეზიდენტმა ყველა ღონე იმბარა, რომ საკუთარი სახელი დაეყოლიებინა, მაგრამ მერიამი მისულთ სახეზე ეწერათ, რომ იქ ძალით, საკუთარი ნების წინააღმდეგ მობრძანდნენ. თუმცა, რანალდომ და მაქსანამანამ ამ ღონისძიებისგან თავის დაღერება, უფრო სწორად, გაპარვა მაინც მოახერხეს. მეტოქე მოიხილური ტელეფონები გამოართეს და მათი ადგილამყოფელის დადგენა შეუძლებელი გახდა. და მაინც, რა მოხდა? ესპანური გაზეთის მიხედვით, ფეხბურთელთა უკმაყოფილების მიზეზი ის არის, რომ მათ ტრადიციული რომულის განხორციელებაში ხელი შეუშალეს. კერძოდ, ამა თუ იმ წარმატების მიღწევის შემთხვევაში, ფეხბურთელთა ერთგვარ მადლიერებას მოედან სტუმრებსზე აღმართულ ნაყოფიერების ქალღმერთ



მადრიდში ხერვები ახყედათ. ბექშიტი კი ახიურ ტურნეშია

ფორმულა 1

შუმასერი ტაქნიკურ პარსონალს ართობს

მბა პარსონალი

მშფოთვარე, ჩქაროსნული სამყაროს მოყვარულთა მზერა ნიურბურგრინგის კენა მიუყრბილი. ვიდრე ფორმულა 1-ის გულშემატკივრები გრან-პრისზე ბოლიდთა გამოჩინაობის შესუსტებამდე აბალოლოებულ კავალდას თვალს გააყოლებენ, ფერარის“ გერმანული პილოტი, მიხაელ შუმასერი, იტალიური საჯარბოს ტექნიკურ პერსონალითან ერთად კარტინგით ვადის მოთვალავს. თუმცა, გონებით მაინც ნიურბურგრინგის ტრასისკენა და მის თითოეულ მოსახვევს ვირტუალურად ამშუავებს.

გერმანულ ტრასას არაერთი სულისმემძვრელი ქრონოსთვის უმასპინძლია. აქ 1927 წლიდან ეწყობა ასპარეზობები, მარშან სულაც საიბილეთი - 75 წლისთავი აღიწინა. ტრასის სახელი კი ძნელი გამოსაცნობი არ უნდა იყოს. გერმანელებმა ქალაქის სახელი და რინგი, რაც ნოვოლის ნიშნავს, ერთმანეთში გაათამაგეს და ნიურბურგრინგიც მიიღეს. ქალაქი XII-XIII საუკუნეებშია გაშენებული და ტურისტებს ხალხი იზიდავს. თუმცა, მის ღირსშესანიშნავებში ყველაზე გამორჩეული მაინც, ალბათა, ნიურბურგრინგის ცნობილი ტრასაა. ქალაქის

მცხოვრებლებიც საკუთარ ბიზნესს, მეტნაკლებად, ავტოსპორტს უკავშირებენ. კაფე-ბარები თუ წახანემსებელი ადგილები სპორტის ამ სახეობისთვის დამახასიათებელი ატრიბუტიკითაა გადაპრანჭული. რაც შეეხება თავად საასპარეზო არენას, იგი თავიდან არცთუ კარგი რეპუტაციით სარგებლობდა. ნიურბურგრინგის ტრასა ბევრი პრობლემა შეუქმნია როგორც მსოფლიოსთვის, ისე მანქანებისთვისაც. სწორედ აქ განიცადა ნიკი ლაუდამ თითქმის ფატალური კატასტროფა. მოგვიანებით გადაწყდა, რომ ნიურბურგრინგზე გრან-პრის მოწყობისგან თავი შეეკავებინათ. ამიტომაც 80-იანი წლების დასაწყისში იქვე ბევრად უფრო საიმედო და გაუმჯობესებული ტრასა ააგეს. საფორმულე რბოლები კი ნიურბურგრინგს პირველად 1984 წელს ეწვია. ერთი წლის შემდეგ ამ ტრასაზე გერმანიის ბოლო გრან-პრი გაიმართა. მთლიანობაში მთლიურდგრინგს გერმანიის 24, ევროპის 5 და ლუქსემბურგის 2 გრან-პრისთვის შეუღლა ალყაფი.

პილოტთა შორის ნიურბურგრინგის ყველაზე წარმატებული მოჯარიმთის რეპუტაციით მიახლო შუმასერი სარგებლობს. ის, რომ აქამდე ამ ტრასაზე სამჯერ (1995, 2000 და 2001 წლებში) გაუმარჯვია, ალბათ, იმის დასახსურებელია, რომ ჯერ კიდევ საფორმულე კარიერამდე ის და ჰაინც ჰარალდ ფრმცენი სპორტოლოტიკების ჩემპიონ

ნატებზე ამ ტრასაზე დაქროდნენ. მართალია, მას შემდეგ ტრასამ საგრძობლად იცვალა სახე, მაგრამ ატმოსფერო და ადგილობრივი გულშემატკივრები არსად წასულან. ნაცნობი ადგილი, ნაცნობი გულშემატკივრები ამჯერადაც მიხაელის მოლოდინში არიან და სჯერათ, რომ კვირას მათი კერძი გამარჯვებულს კვარცხლბეკზე ავა. მორიგი წარმატების მოლოდინშია თავად შუმასერიც და აცხადებს, რომ მისთვის სამშობლოში პირვედ რბოლას (სულ გერმანია გრან-პრის ორ ეტაპს მასპინძლობს - 29 ივნისს ევროპის გრან-პრის, რომელიც ფორმულა 1-ის მექცესე ეტაპია და მე-12 ეტაპს, ანუ გერმანიის გრან-პრის პოკენაშუმზე, 3 აგვისტოს. - რედ.) განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს: „ძნელია განსაზღვრო, თუ რითი განსხვავდება შინაურ კედლებში ასპარეზობა დანარჩენი შეჯიბრებებისგან. ალბათ, განსაკუთრებული მოტივაციით. შეუძლებელია, სიტყვებით გადმოვიცე ის განცდა, რასაც აქ, შინაურ კედლებში მხარდაჭერისგან ვგრძნობ. ამის მხოლოდ შეგრძნება შეიძლება“.

ბევრს მაინც, რომ სამშობლოში ასპარეზობა დიდი წინების ქვეშ მიმდინარეობს, მაგრამ პირადად ჩემზე ასეთი რამ არ მოქმედებს. პირიქით, როდესაც დიდ მხარდაჭერას ვგრძნობ, ცდილობ, რაც შეიძლება, უკეთ გამოვიყურებოდე. ახლაც მოვიმდენა დედი ნიურბურგრინგის ეტაპს. რაც



მები მიხაელ და რალდ შუმასერები

შეხება შედგეს, ვიცი და იმედოვ მიქვს, რომ, სულ ცოტა, გამარჯვებისთვის ვიზრძობლე. ჩემი სარბოლო კარიერაც ხომ ნიურბურგრინგზე დაიწყო. სწორედ ამიტომაც, რომ ამ ტრასას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩემთვის“.

ტრადიციამებრ, ევროპის გრან-პრის წინ, ოთხი დღით ადრე, მიხაელ შუმასერი „ფერარის“ ტექნიკური პერსონალისთვის წვეულებას მართავს. მდდარულ წვეულებაში კი კარპენში, კარტინგის ტრასაზე, მათთვის შეჯიბრებას აწყობს, რასაც ერთგვარ ვალდებულებადაც კი მიიჩნევენ: „მთელი გუნდი, ინჟინრები, მექანიკოსები და მზარეულები, მთელი წლის განმავლობაში მუხლანაზრებლად მუშაობენ ჩემთვის. მინდა, მათი მიმართ მეც გამოვიჩინო ყურადღება. საოცრებაა, უფრო, თუ როგორ ერთობიან“.

„ფერარის“ თანამშრომლებთან დროსტარების შემდეგ იტალიური საჯარბოს მიხაელ შუმასერის თავკაცობით ვიზრძობადას აიკრავს და ნიურბურგისკენ გაუმურება. ასევე, ტრადიციისამებრ, ოთხგანსკვლავიან სასტუმრო „დორინტში“ ნომერს იღებს. მაგრამ ამ სასტუმროთა მარტო მიხაელი რომ სარგებლობს, გერმანული პილოტის მსგავსად, აქვე არიან მისი სხვა კოლეგები თუ მეტოქეები. მათ შორის, მიხაელის ძმა როლიფიც, ახლა ყველა მათგანი სწორედ იქ არის და მორიგი საკვირაო რბოლისთვის ემზადება.

როგორღე

ტაი-ბრეიკის მსხვერპლი



ენდი როდიკი

გუშინდელი დღის უმთავრესი მოვლენა როდიკ-რუსედსკის დამარცხება იყო. უიმბლდონის ცენტრალური კორტზე ერთმანეთს. საბოლოო ჯამში გრეგ რუსედსკი ტაი-ბრეიკების მსხვერპლი გახდა. 20 წლის როდიკმა უიმბლდონის სამეფო კორტები მეორედ დაატარა (მარშან ის შესამე წრიდან გამოეთიშა ასპარეზობას).

გრეგ რუსედსკისთვის დამატებით არგუმენტად მისი ინგლისელობა ითვლებოდა (ინგლისელებს ხომ დიდი ხანია უიმბლდონის მოგების დრო დაუდგათ). ენდი როდიკის არგუმენტი კი მძლავრი მოწოდება იყო. თამაშის დაწყებთანავე ნათელი გახდა, რომ როდიკი შეუდარებელია ხაზზე თამაშის დროს, რუსედსკი კი - ბადესთან აქტიური მოქმედებისას. საკმარისია

ითქვას, რომ ამერიკელი ენდი როდიკი პირველ სეტში სამჯერ გავიდა ბადესთან და სამჯერ რუსედსკის ფორბენების ტყვეობაში აღმოჩნდა. როდიკი მიხვდა, რომ ბადესთან თამაშის მისი უმთავრესი ფაქტორი სწორედ ამ წყვილში გამოჩვენდა იქნებოდა.

რუსედსკი კი პირიქით, ბადესთან გასვლას ცდილობდა, მაგრამ როდიკი იმდენად ძლიერად ურტყამდა, რომ მტოქეს ბადესთან მიხალოების საშუალებას არ აძლევდა. ამიტომ პირველი სეტი თანაბარ ბრძოლაში წარიმართა. მეტოქეებმა თავიანთი მონადეგები უმთავრესი ფაქტორი სწორედ ამ წყვილში გამოჩვენდა იქნებოდა.

გრეგ რუსედსკისთვის დამატებით არგუმენტად მისი ინგლისელობა ითვლებოდა (ინგლისელებს ხომ დიდი ხანია უიმბლდონის მოგების დრო დაუდგათ). ენდი როდიკის არგუმენტი კი მძლავრი მოწოდება იყო. თამაშის დაწყებთანავე ნათელი გახდა, რომ როდიკი შეუდარებელია ხაზზე თამაშის დროს, რუსედსკი კი - ბადესთან აქტიური მოქმედებისას. საკმარისია



გრეგ რუსედსკი

გებლოდ. შედეგმა რუსედსკი უაღრესად გააღიზიანა და ამ გაღიზიანების ფონზე კორტის მასპინძელი, თითქოს ძალა მიემატა, ენერგიულად ათამაშდა და დებიუტში სოლიდურ წარმატებას მიაღწია. 3:0 - რუსედსკი დანიშნულად დაეპყრობა, მაგრამ ეს უკანასკნელი წარმატება იყო, რომელიც ინგლისელმა უიმბლდონის წლებადღეს ტურნირზე მოიპოვა. ცოტა ხანში მეტოქეებმა გემები გაცვალეს. შემდეგ კი როდიკმა ზედიზედ ხუთი გემი და, ამასთან, მატჩიც მოიგო.

„ძალიან რთული მატჩი გამოვიდა. ურიგოდ არ მითამაშია, მაგრამ როდიკი ამჯერად აშკარად უკეთესად გამოიყურებოდა. არ მეგონა, თუ ასე შეუპოვრად ითამაშებდა. განსაკუთრებით მესამე სეტში“, - განაცხადა რუსედსკიმ. როდიკმა კი აღნიშნა, რომ, თავისი ასაკის მიუხედავად და იმის გათვალისწინებით, რომ რუსედსკი ტრავმის შემდეგ ახლანდელად დაუბრუნდა კორტებს, „ის შესანიშნავად გამოიყურება“.

სხვა მხრივ, გუშინ უიმბლდონის კორტებზე ოდნავ მოსახყენი სიმღვი-

დე იყო. განსაკუთრებული ცესნაცია არ მომხდარა. მესამე სეტში იოლად გააღწია ტურნირის კიდევ ერთმა ფავორიტმა, მეოთხე ნომრად განთესილმა შვეიცარიელმა როჟე ფედერერმა. მან სამ სეტში მოუგო ავსტრიელი შტეფან კუბეკს. ასპარეზობას გამოეთიშნენ ტურნირის მე-16 და მე-17 ნომრები - რუსი მიხაილ იუჟინი და ბრაზილიელი გუსტაო კუერტენი. ისინი, შესაბამისად, ესპანელმა ფელიციანო ლოპესმა და ამერიკელმა ტოდ მარტინმა დაამარცხეს.

ქალთა ნახევარში კარგა ხანია სიმშვიდე არ დარღვეულა. ვინუს უილიამსი, ლინდს დევინორტი, კიმ კლისტერსი და ჩანდა რუბინი ჯერ-ჯერობით ხელშეუხებელი არიან. ყველა ფავორიტმა ორ-ორ სეტში მოათავა საქმე. რაც შეეხება სიორი-რიტებს, ასეთად შეგვიძლია მივიჩნიოთ ტურნირის მე-17 ნომრის, სამხრეთაფრიკელი ამანდა კეტცერის მარცხი იტალიელ ფრანჩესკა სკიავეონესთან. კეტცერის ბუდი გაიზარეს ესპანელმა მეგი სერნამ (24) და ჩეხმა დენიზა პლადკოვამ (30).

უიბლდონი. იხტორი. "დიდი სკოპი" ტურნირი. ბალხანი. ბარკანდელი ჩემპიონატი: ვაჟები - ლიბონი ჰიუიტი (ავსტრალია), კალაბი - სკანა უილიამსი (აშშ). ბიორა წრა.

Table with tennis results for Wimbledon, Davis Cup, and other tournaments. Columns include tournament name, player names, and scores.

კრივი


ლენოქს ლუისი „დედიკოს ბიჭი“, ყოფილა

ნიწო ჰირკვალი

გაგვიკვირდათ? არ ელოდით, თუ თანამედროვე კრივის ეს სუპერგარსკვლავი მორჩილი შვილი იქნებოდა? არადა, სწორედ ასე გახლავთ. ბრიტანელი მოკრივე დიდი პატივის სცემს დედას და ცდილობს, ყოველთვის შესარულოს მისი ყველა სურვილი, მაშინაც კი, როცა დედიკო შეუძლებელს ითხოვს.

ვაიოლეტ ლუისს უკვე დიდი ხანია მოუხერხდა თავისი საფიციური შვილის სპორტული წარმატებები. აღარ შემიძლია, ყოველი ჩხუბის დროს ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ლენოქსს ხელახლა ვაჩვენო, - ნუ შენებს დედიკო და შაკანთან გიგანტს სთხოვს, გეყოფა ამდენი ცემატყება, დაანებე თავი ამ წყეულ კრივსო. არც გაემტყუნება ქალბატონ ლუისის, ბოლოს და ბოლოს, როგორია წელიწადში რამდენჯერმე მშობიარობა და ამხელა ახმახის ხელახლა ვაჩენა? ბოლო ხანებში შვილის ამქვეყნად მოვლინების პროცესი სულ უფრო რთული ხდება ვაიოლეტ ლუისისთვის. 21 ივნისს კი სულაც კრახი იყო მოსალოდნელი. ვიტალი კლიჩკოს გადაამკიდე, მსოფლიო ჩემპიონი შაბათ საღამოს ლოს ანჯელესში კინალამ მკვდარი დაიბადა, სულ ცოტა დააკლდა სიცოცხლის ძაფის განყვეტამდე, მაგრამ ბოლო წუთებში ექმი დაეხმარა, კლიჩკოს ჩხუბის გაგრძელება აუკრძალა და გვარიანად შეხანზარებული ჩემპიონი თავის კვარცხლბეკზე დატოვა. ხომ წარმოვიდგინოთ, რა დღეში იქნებოდა იმ დროს ქალბატონი ვაიოლეტ, რომელიც ლუისის არც ერთ ბრძოლას არ აკლდებდა?

ლენოქს ლუისს დედის გარდა არავინ ჰყავს ამქვეყნად. მამა დღემდე უფრო-უკლებლად დაკარგულად ითვლება. მომავალი ჩემპიონი სულ პატარა იყო, როცა მისტერ ლუისი უკვალოდ გაქრა და ოჯახმა ვედარადი ვერ შეიტყო მის შესახებ. მარტო დედის ლეონმა ქალბატონმა ვაიოლეტმა შვილი სოციალური დახმარებით



ვაიოლეტა ლუისი: რა კარგი ხარ დედა გენაცვალოს

ბის წყალობით გაზარდა. თქმა არ უნდა, ძალიან უჭირდათ თავის გატანა, მაგრამ დედა იმდენი შეძლო, რომ შვილს კარიერის გაკეთებაში დაეხმარა. დღეს ისინი უსაზღვროდ მიდიან არიან, მაგრამ ქალბატონი ვაიოლეტ მინც ვერ გამოძობს თავს ბედნიერად. მისი 37 წლის ბიჭუნა ხომ ასეთ სახიფათო საქმიანობას ეწევა...

ლენოქსი დედაზე ფანჯიკურადაა შეყვარებული. მისთვის ქალბატონი ვაიოლეტ ყველაფერი საუკეთესოს სრული განსახიერებაა. ჩემპიონის დემდე ძალიან მოსწონს დედის მოზადებული იამიკური კერ-

ძები და ის მსოფლიოში საუკეთესო მზარეულად მიაჩნია. ლუისი არ მალავს, რომ დედასთან ერთად სეინობა ყველაფერს ურჩევს. არავის ახსოვს, ლენოქსს მეგობარი ქალი ჰყოიოდა. მას არა აქვს არავითარი სალიყვარულო თავგანსაკვლები, არ ალექვებს არც ერთი ლამაზმანი, რომლებიც მრავლად არიან მისი თაყვანისმცემელთა შორის. მთავარია, დედა იყოს კარგად და სხვას ყველაფერს შეუტყობს, - მიაჩნია ჩემპიონს. იმის გამო, რომ ლუისი ასე უსიტყვოდ ემორჩილება დედის მოთხოვნებს, ჟურნალისტები ჭორაობენ, ევლომი კი არა, მოთვინიერებული დე-

დიკოს ბიჭიაო. რაც უნდა გასაკვირი იყოს, ლუისს ეს არცთუ სახარბილო იარაღი მინცვდამინც არ აღიზიანებს. მას დედა ძალიან უყვარს! მორჩა და გათავდა! მისთვის აბსოლუტურად სულერთია, რას ფიქრობენ სხვები მათ საოცარ დედაშეუღობაზე.

ახლა დედა კრივისთვის თავის დანებებას ითხოვს. კლიჩკოსთან მატჩი უკანასკნელი წვითი აღმოჩნდა ქალბატონ ვაიოლეტის მოთმინების ფალაში. ვიტალი კლიჩკო მედგრად დაუხვდა ლენოქსს, ოთხი რაუნდი მოუგო კიდევ. რომ არა გახეთქილი წარბი და ექიმის დაფრთხილი მოთხოვნა, ჩხუბი შეწყვეტეთო, კლიჩკოს იქნებ გაემარჯვა კიდევ. მატჩის შემდეგ ლენოქსი თითქმის ყველა ცნობილმა გაზეთმა გააკრიტიკა: "მირრმა" ლუისს უკითხა, შენი დრო უკვე წავიდა, "ვაშინგტონ პოსტმა" დასცინა, მატჩის წინ, ვარჯიშის ნაცვლად, ალბათ, ჩაის და მანცხვარს მიირთმევდა, რინგზე ისე უსურად გამოიყურებოდაო, "ლოს ანჯელეს დეილი ნიუზმა" შეხვედრას დიდი იმედგაცრუება უწოდა, რამაც ისევ ლუისი დაადანაშაულა, "იუ ეს კი თუდისთვის" კი ეს მატჩი სხვა არა იყო რა, თუ არა "მოსანყენი სასაკლაო". მოკლედ, 21 ივნისის ორთბრძოლის შემდეგ პრესის სიმპათიები აშკარად კლიჩკოსკენ გადაიხარა, ლუისი კი ყველამ დაუნდობლად გააკრიტიკა. ჟურნალისტებთან ერთად დედაზეც ამოიღო ხმა და შეიღს მოსთხოვა, კარიერა დაასრულებო. კლიჩკო ირწმუნება, ლენოქსი მატჩ-რეინგზე დათმობდა, მაგრამ კრივის მოყვარულები ირონიულად შენიშნავენ, ლენოქსს პოზიციები ისე შეერყა, ალბათ, დედის რჩევას გაითვალისწინებს და რინგს ახლოსაც აღარ გაემარჯვა. ეს პროგნოზი, ალბათ, დაეკადრებოდა გაზეთებში, მაგრამ, სიარულად, მანინც შეეფერება სამართლეს. ლუისი ხომ ყოველთვის უჯერებდა დედას, ახლა კი სწორედ ისეთ სიტუაციაში, როცა ქალბატონ ვაიოლეტის რჩევას გათვალისწინება არ აწყენდა...

წყითიერი საქმილი

პაატა თოთაძე

"ბასბის ბაჟყატაბის" აღსასრული

ბევრი კარგი რამ მომხდარა "მანჩესტერ იუნაიტედის" ისტორიაში, მაგრამ კლუბის გულშემატკივართა დიდი ნაწილი დღესაც დარწმუნებულია, რომ ყველაფერი საუკეთესო, რაც "მანჩესტერს" ახსოვს, გენიალურ მეტ ბასბისთანა დაკავშირებული. სწორედ მისი ხელმძღვანელობით გახდა "წითელი ეშმაკები" პრემიერლიგის ჩემპიონი და ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი პირველი ინგლისური გუნდი. წლიდან წლამდე "მანჩესტერი" ისეთი გუნდი ხდებოდა, ევროპულ გრანდს რომ უწოდებენ ხოლმე. სპეციალისტები დარწმუნებული იყვნენ, რომ ევროპულ ფეხბურთში ახალი, "მანჩესტერის" ერა დგებოდა. და ეს იმიტომ, რომ ინგლისელთა დამარცხება სულ უფრო და უფრო ძნელი, თითქმის შეუძლებელი ხდებოდა. კლუბს "ოქროს წლები" იმ დროს დაუდგა, როცა ბასბიმ გუნდში ჯერ კიდევ დაუღვინებელი ბიჭები მოიყვანა - ფეხბურთელთა საშუალო ასაკი 22 წელი იყო. ბასბის აზრით, სწორედ ამ ასაკის ბიჭები თამაშობენ ფეხბურთს ყველაზე უკეთ. "მათ საკმარისი ჭკუა აქვთ საიმისოდ, რომ მიხვდნენ, რა მოუხერხონ ბურთს, ამასთან, ახალგაზრდული ენერჯის წყალობით, მოუდანზე დაფრინავენ". და ის არ ცდებოდა. "ბასბის ბაჟყატობამ", როგორც ჟურნალისტები უწოდებდნენ, 1957 და 1958 წლებში ჩემპიონთა თასის ნახევარფინალამდე მიაღწია. ამიტომაც, 1958 წელს, როცა გუნდმა მეოთხედფინალში იუგოსლავიის "ცრენა ზეგედა" დაამარცხა, თითქმის ყველა დარწმუნებული იყო, რომ სეზონი კლუბისთვის ტრიუმფალური იქნებოდა.

1958 წლის 6 თებერვალს "მანჩესტერი" ბელგრადიდან შინ ბრუნდებოდა. ინგლისელთა კრებებს კომპანია "Ambassador"-ის 47-ადგილიანი თვითმფრინავი გამოუყვეს. სანჯავის დამატების გარეშე მას ბელგრადიდან ლონდონში გაფრენა არ შეეძლო, ამიტომაც გადაწყდა, თვითმფრინავი მოუნხნეში დამჯდარიყო.

იმ დროს, როცა აეროპორტის თანამშრომლები თვითმფრინავს სანჯავით აგებდნენ, ფეხბურთელები აეროპორტის ბარში იუგოსლავიელებზე გამარჯვებას აღნიშნავდნენ. ცული ამინდი იყო - სველი თოვლი მოდიოდა, პარკის ტემპერატურა კი 0 გრადუსი იყო. პოლოტებმა ჯეის ტყინმა და კენ რეიმენმა უარი თქვეს, თვითმფრინავი გაყენვის სანინალმდეგო სიხით დაემუშავებინათ. მათი აზრით, თვითმფრინავის სანჯავით გაუტებას და გასაფრენად მომზადებას დიდი დრო არ დასჭირდებოდა, ასე რომ, ვერც ნაღები მოასწრებდა გაყენვას. არც აეროპორტის უმჯავებმა განმინდეს ასაფრენი ხოლო ვინულისგან, რადგან იმ დღეს მოუნხენთან გაფრენილ 16 თვითმფრინავს აფრენასთან დაკავშირებით არავითარი პრობლემა არ შექმნია. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ამ ორმა ფაქტორმა განაპირობა თვითმფრინავის კატასტროფა.

პირველ ცდაზე თვითმფრინავი ვერ აფრინდა. მიზეზად ერთ-ერთი ძრავის



ასეთი იყო 1958 წლის ლეგენდარული "მანჩესტერ იუნაიტედი"

გაუმართაობა დასახელდა, თუმცა, შემოწმებისას გაირკვა, რომ ძრავას შესაკეთებელი არაფერი ჰქონდა. გადაწყდა, ხელახლა ეცადათ ბუდი. აფრენამდე რამდენიმე წამით ადრე ბორბლები იმ ადგილს შეუხო, სადაც თოვლი დასაშვებზე მეტ იყო. სიჩქარემ მამონე ვარდნა დაიწყო, მაგრამ ასაფრენი ბილიკის სიგრძე საკმარისი არ იყო მის გასაჩერებლად. ერთადერთი ხსნა პოლოტებმა ბორბლების შეუცვლაში დაინახეს, რაც აეროდინამიური უზონინალმდეგობის შემცირებას გამოიწვევდა, მაგრამ არც ამან უშეძლა - ფრთებზე შეყინული თოვლის გამო აფრენა ვერ მოახერხა. რამდენიმე წამში თვითმფრინავმა აეროპორტის დამცავი ღობე გაარღვია. რეიმენი შეეცადა, მანქანა მარჯვნივ შემოებრუნებინა და იქვე მდგარი ფეხბურთელების კედელთან შეჯახება აეცილებინა, მაგრამ... შეჯახების შედეგად თვითმფრინავს მარცხენა ფრთა მოეჭრა, გახურებული ძრავა კი სახლში შევარდა. ბუნებრივია, სახლს და ფრენას მამონე ცეცხლი გაუწნდა, თვითმფრინავმა კი ჩიკორით ერთ ადგილზე დაიწყო ტრიალი, ფერმას დაეჯახა და შუაზე გადატყდა. თვითმფრინავის ცხვირმა დაიწყო მინამი 60-მეტრიანი ორბო ამოთხარა. 44 მგზავრიდან 20 ავარიის პირველივე წუთებში დაიღუპა, დანარჩენები კი მიმიდ დაზავდნენ.

ლონდონის აეროპორტში ფეხბურთელთა დასახვედრად მისული გულშემატკივრები ახალი ამბის გაგონებისთანავე პანიკამ მოიკცა. ცოტა ხანში ასეთივე მდგომარეობაში აღმოჩნდა მთელი ინგლისი - "ბასბის ბაჟყატების" ნახევარი ცოცხალი აღარ იყო. გადარჩენილები უბო მოუნხენის საავამცოვოებში გადაიყვანა. რამდენიმე მათგანი დამწვრობისგან იქვე გარდაიცვალა. თავად ბასბი იოლად გადაარჩა - დარტყმის ძალამ ხანძრის ადგილიდან შორს გადაიხრალა. ზუსტად ასე დაემართა ბობი ჩარლტონსაც, გუნდის ერთ-ერთ ნამყვან მოთამაშეს.

რალა თქმა უნდა, გადარჩენილები დიდხანს ვერ გამოვიდნენ ავარიის შედეგად მიღებული მოკიდან, ბრიტანელებს კი რამდენიმე კვირის განმავლობაში არ შეეძლოთ ფეხბურთის ყურება. სწორედ მაშინ დაიფიცეს გადარჩენილებმა: "დალუპულთა ხსოვნის პატივსაცემად ჩვენ მოვგებთ ამ თასს, მათ ხომ ამისთვის განირგეს სიცოცხლე!"

ამ ამბის შემდეგ ინგლისური კლუბების მწვრთნელები თავიანთ მოთამაშეებს აძლევდნენ "მანჩესტერს" - მოედანზე ხომ 11 კაცი უნდა ყოფილიყო. 1964-65 წლების სეზონში "მანჩესტერმა" კვლავ მოიპოვა ექვსენის ჩემპიონობა, ტრადიციიდან ათი წლის შემდეგ კი ბობი ჩარლტონმა და მისმა თანაგუნდელმა პირობა შეასრულეს - ჩემპიონთა თასის ფინალში (დამატებით დროში) დაამარცხეს "ბენფიკა".

"ეს გამარჯვება ჯერ კიდევ ათი წლის წინათ უნდა მოგვეპოვებინა, მაგრამ ბედმა ჩვენ საუკეთესო მეგობრები, ინგლისს კი საუკეთესო ფეხბურთელები წაპგვარა. ეს ჩვენი უკანასკნელი საჩუქარია მათთვის. ამიერიდან მათ შეუძლიათ, შევიდოდ იძინონ", - ცრემლმორეულმა თქვა ჩარლტონმა.

TV-სკორი

ხუთშაბათი. 26 ივნისი

Table with TV schedule for HTB + FOTBOL and HTB + CIOPIT. Columns include time slots and program names.

კეთილშობილი მკობრეა ჰონი დევი - ზაფხულის ხსნა

“მატრიცას” და “იქს-მენს” რამდენიმე ხნის წინ “პალკიც” დაემატა და ბევრმა იფიქრა – მომავალ დროში განვითარებული ფანტასტიკებისგან საშველი აღარასდროს იქნება; ზაფხულს ცაში მფრინავი მატრიცების და მახინჯი მუტანტების კამპანიაში გავატარებთო. თუმცა, მაინც გვეშველა. სუპერ-თანამედროვე სამყაროდან მეკობრეების რომანტიკულ ეპოქაში რეჟისორ გორ ვერბინსკის ფილმმა დაგვაბრუნა. “კარიბის ზღვის ყაზალები: შავი მარგალიტის წყევლა” დიდ ეკრანზე 9 ივლისს გამოვა. ფილმში ჯონი დევი, ჯეფრი რაი, ორლანდო ბლუმი, ჯეკ დავენპორტი თამაშობენ. ოთხივე მთავანი მე-17 საუკუნის პერსონაჟებს განასახიერებენ. მოქმედება კარიბის ზღვაში ხდება. კეთილშობილი მეკობრე ჯეკ სპეროუ (ჯონი დევი) მთავარ კუბოზე მობრუნდება, სადაც გუბერნატორის (ჯონათან პრაისი) ქალიშვილს (კეირა ნაითლი) გადაარჩენს. ეს რომანტიკული შეხვედრები დიდ სასიყვარულო ურთიერთობად იქცევა. თუმცა, მათ ხელს შეუშლიან ბოროტი მეკობრეები, რომელთაც ჯეფრი რაისი გმირი კაპიტანი შავი გული უდგას სათავეში. რაისი ბანდა გოგონას გაიტაცებს. დევი და ბლუმი მომხიბვლელი ქალიშვილის დასახსნელად მიდიან...



ფილმი დიდ თავგადასავლებს გვპირდება.

საქმეს ართულეს ისიც, რომ ბოროტი მეკობრეები დანაშაულები არიან. მათზე კვლავა მოქმედებს უძველესი წყევლა, რის გამოც მუდამ სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე ცხოვრობენ. თუ დღისთე წყევლებრივი ადამიანები არიან, ღამით, მთვარის შუქზე საშინელ ჩონჩხებად იქცევიან და მახინჯ მონსტრებს ემსგავსებიან. ფილმი სასვეს მძაფრი ეპ-



ახალი ფილმის პლასკატი

იზოდებით, საბრძოლო სცენებით. ფიგურირებს მედალიონიც, რომელიც გუბერნატორის ქალიშვილს უკეთია და რომლის ხელში ჩაგდებაც კაპიტან შავ გულს უნდა. მაგრამ ყოველივე ამას ალაშკრებს ჯონი დევისა და კეირა ნაითლის სიყვარულის ისტორიაც. ფაქტობრივად, სწორედ მათი რომანი უბრუნებს ფილმს ძველი რომანტიკულ-რანდული ეპოქის ელფერს.

ერთი სიტყვით, სახეზეა ღამაზი ფილმი, კარგი მსახიობებით, ვნებიანი სიყვარულის ისტორიით და მძაფრი სიუჟეტით – ანუ, მას აქვს ყველა-

ფერი, რაც პოლიველურ სინამდვილეში კინოსურათს ბლოკბასტერად აქცევს. ვერბინსკის ნამუშევარზე “დისნიც” დიდ ფსონს დებს. კინოსტუდიის ხელმძღვანელების აზრით, ფილმი ზაფხულის სეზონის განმსაზღვრელი თემა უნდა გახდეს. მართალია, დიდ ეკრანზე ივლისშივე გამოდის “ტერმინატორი-3” და “უცნაური ჯენტლმენების ლიგაც” (შონ კონერის მონაწილეობით), მაგრამ უფრო დიდ ფინანსურ მოგებას სწორედ “მეკობრეებს” უწინასწარმეტყველებენ. მეტიც, “დისნი” “მატრიცას” ტრადიციას იყენებს და ჯერაც

სად აბრძობა სხოვრებს დაკარბული ჩემოდანი

უპატრონო ნივთების სევდიანი ამბები

თამარ ბაბუაძე

საკუთარ ისტორიებს დაკარგულ ბარგთან დაკავშირებით ნუ მომაცოლებთ – ტრავმატიკური და არცთუ სასიამოვნო მოსაგონებელია. პირდაპირ საქმეზე გადავიდეთ და ვნახოთ, რა ემართება თვითმფრინავიდან ტერმინალამდე გაბნეულ ჩანთებს, მას შემდეგ, რაც, მიტოვებული, პატრონის ნახვის იმედს ისინი საბოლოოდ გადაიწურავენ.

როგორც ცნობილია, საჰაერო ტრანსპორტით ყოველწლიურად ასობით მილიონი ადამიანი მოგზაურობს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყოველწლიურად ჰაერში 2 მილიარდამდე ჩანთა დაფრინავს. მათზე ზრუნვას ახერხებენ და ავიახაზები იმეზებენ. მეტიც, ისინი საკუთარ პრესტიჟულობას უმთავრესად სწორედ ჩანთების განსაზღვრავენ. ყველაზე მედიდური სახით სწორედ ამ ფრახს ნარმოთქამენ: “იცით, თუ ჩვენიან ერთად იფრენთ, ბარგს, ძალიანაც რომ ეცადოთ, ვერ დაკარგავთ”.

თუმცა, მედიდური სახეები ხშირად არ ინდობა. გულწრფელი სურვილების მიუხედავად, ავიახაზები ავიწყდებოთ, რომ უსიამოვნო შემთხვევითობებისგან არავინაა დაზღვეული და მითუმეტეს – არც თვითმფრინავის უკანალოკში შეყრილი ჩანთები. ამიტომაც ხშირად ხდება ისე, რომ მგზავრსა და ბარგს ერთმანეთს ამორევენ. მართალია, 98 პროცენტის შემთხვევაში ჩანთებს უკანვე აბრუნებენ, მაგრამ ის ორი პროცენტი ხომ იკარგება? ახლა მარტივი არითმეტიკაც საკმარისი იქნება, რომ დავასკვნათ: თუ საუბარია 2 მილიარდ მფრინავი ჩანთაზე, გამოდის, რომ 200 ათასი მათგანი უკუღმართი ბედის გამო “ობლებდა”.

არასდროს გაგჩენიათ სურვილი, გეკითხათ, სად მიდის სამუდამოდ დაკარგული ჩემოდნები? რა თქმაუნდა, ფრთიანი ანგელოზი არავინაა, მითუმეტეს არც აეროპორტის მუშები და ამიტომ, არ არის გამოირცხული კითხვას თქვენც უყოყმანოდ უპასუხოთ: მუშების სახლებში. თუმცა, ნურც ასეთი დარწმუნებულები იქნებით. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საუბარია ამერიკაზე, სადაც უპრონომორჩილობა სტანდარტულ ცხოვრებისეულ სიტუაციებში ჩვეულებრივ ამბად ითვლება და არც ქურდობაა გმირობა.

მართალია, ჩანთები ბერმუდის სამკუთხედში არ უჩინარდება, მაგრამ ნამდვილად არსებობს ერთი დიდი “სამკუთხედი” ალაბამას შტატში, რომელსაც შინაურულად “ზარის სასაფლაოსაც” ეძახიან. ზოგი უფრო ნაღისტი უფრო შორსაც მიდის და გამოთქმით ამბობს, რომ სკოტსბორის დიდი ცენტრი “ალი ბაბას გამოქვაბულია” ჩემოდნებისთვის განკუთვნილი...

ალი ბაბასი არ ვიცი, მაგრამ რაც ამ ცენტრის არსებობის შესახებ ვიცი, ისეთი შთაბეჭდილება გამიჩნდა



დელ პიერო თავის ბარგს არავის ანდობს.



აეროპორტის კლასიკა.

და, რომ სკოტსბორო უპატრონო ბავშვთა სახლსაც ძალიან ჰგავს. იქაც ისეთი ფარული სევედა სუფევს, როგორც უსახლკარო პატარების საცხოვრებელში. ბავშვებიც მიტოვებულნი არიან და ათასი პირადი, ხშირად კი, ძალიან ინტიმური ნივთებით სავსე ჩემოდნებიც. ბავშვებიც ახალ მშობლებს ელიან და დაკარგული ჩემოდნებიც...

თუმცა, მოდი, სანამ გზაბანეული ჩანთების გამო ცრემლები დაგვივლიდა, ჯობს ისევე საქმეს მივხედოთ. აი, როგორ ავგარევენ ბარგის პრობლემას ამერიკაში, ანუ როგორ ხედავენ უპატრონო ჩემოდნები სკოტსბორის “საერთო საცხოვრებელში”: სამთავროსა და მთავროს თუ პატრონი მაინც ვერ იპოვებს, ავიახაზები ჩემოდნებს კიდევ ას დღეს ინახავენ. თუ ჩანთებს არც ამ ვადის გასვლის მერე ეშველათ, შემდეგ ფუტების ანდა ფუტების ნონით ისინი ჩემოდნებს სწორედ ზემოთხსენებულ ალი ბაბას გამოქვაბულს, ოფიციალურად კი, “გუსაზრეგებელი ბარგის ცენტრს” აბარებენ. ცენტრში ჩემოდნებს ხსნიან, ამონიშნავენ ნივთებს, ვარგისებს გამოფენა-გაყიდვისთვის ასუფთავებენ, დანარჩენს კი – ყირიან ან უსახლკაროებს ურთველებ. ასე ხდება 30 ათას კვადრატული ფუტის ფართობის შოუ-დარბაზში უპატრონოდ დარჩენილი ნივთები, ხანდახან დღეში 7 ათასი ცალიც კი.

ეს ცენტრი სკოტსბოროელმა წყვილმა დიდი დ სო ოუენებმა 1970 წელს დააარსეს. მათ მეორადი ნივთებითი ვაჭრობის წარმატებულ პრაქტიკას მიმართეს და თავიდან ალები მცემობა ავტობუსები დაკარგული ჩემოდნების დაიწყეს. შემდეგ ბიზნესი გაფართოვდა, ოუენების კომპანია ჯერ რამდენიმე ავიაკომპანიაში დაეწყო მუშაობა, ახლა კი მათთან თითქმის ყველა ლოკალური ავიახაზი თანამშრომლობს. ასე იქცა სკოტსბორი – ძველად იდუმალი უკანონო “ერთსართულიანი ამერიკის” ტიპური ქალაქი გაცხარებული ვაჭრობის ცენტრად.

კომპანიის წარმომადგენელი, ბრენდა კენტრელი აცხადებს: “მგზავრს დაკარგული ჩემოდნის გამო ავიაკომპანია უნაზღაურებს ზარალს. უპატრონოდ დარჩენილი ჩანთებიც ხომ უნდა ნაილონ სადაც? ასე იჩინება საქმე. ჩვენ ნივთებს ვყიდით და ხალხიც კარგ ფასად ხშირად საჭირო და იშვიათ რაღაცეებს იძენს”.

აქედან გამომდინარე, გასაკვირი არც არის, თუ ცენტრს ყოველწლიურად მილიონამდე სტუმარი ჰყავს. ბევრი წინასწარ ამონიშნავს ცენტრის ვებ-გვერდს, სადაც ახალ-ახალი ნივთების შესახებ ინფორმაცია აგროვებს. სწორედ იქ გაავრცელეთ, რომ ახლა სკოტსბორში იმდენი ნივთი, მხოლოდ პრეზიდენტის და სფეროების მიხედვით ანაწილებენ: მსატვრობა, ნივთები (მხატვრული ლიტერატურა, ისტორია, პუბლიცისტიკა), კომპიუტერები, საოფისე ნივთები, ხალიჩე-

ბი, სპორტული აღჭურვილობა, სათამაშოები, კამერები, სამკაული, მუსიკა, საშობაო სუვენირები, მამაკაცისა და ქალის გარდერობი...

ასე რომ, მათთვის, ვისაც ძველ ნივთებში ქექვა უყვარს და უდიდეს სიამოვნებას ანიჭებს იმის წარმოდგენაც კი, რომ თითოეული ნივთის უკან იდუმალი ისტორია იმალება, ალაბამას ცენტრი სწორედ რომ მისწრაფია. იქ ნახავთ:

1949 წლის “ფორდის” სათამაშო მოდელს – 12 დოლარად; ეგზოტიკურ სამაჯურებს – 3 დოლარად; ელდარ ალან პოს მშენიერ მდგომარეობაში – 15 დოლარად; “ურდული პიტერის ზღაპარს” – 3 დოლარად; ნამდვილი “ლუი ვიტონის” სამოგზაურო “ორგანიზერს” – 250 დოლარად; “ახლად ლორენის” პალატუბს – 8 დოლარად; “გუჩის” ახალ ჯინსს – 125 დოლარად, რეალურად 330 დოლარი რომ ღირს; ხელით ნაკეთი სასაბურთალო – 600 დოლარად, სხვაგან რომ 1200 დოლარი ღირს; “დონა კარანის” 428 დოლარიან ახალ ჯინსს – 100 დოლარად; აბრეშუმის მოსასხამებს – 10 დოლარად; კარგ პიჯაკებს – 40 დოლარად... და ასე შემდეგ.

რა გასაკვირია, უპატრონო ნივთების ამ საერთაშორისო კოქცილში რამე ქართულიც რომ აღმოჩენილიყო, მაგრამ მაინც ძალიან გავიხილო, როდესაც მუსიკალური კომპაქტ-დისკების განყოფილებაში, გერმანიაში მოღვაწე ქართული ჯგუფის “შინის” ალბომს ნაგავყიდ. “შინი”, რომელიც მსმენელს ქართული ეთნო-მუსიკის ძალიან საინტერესო შესრულებას სთავაზობს, სკოტსბორის მუზეუმში 3.50 დოლარად იყიდება. როგორც ჩანს, ალაბამაშიც დისკის ვერაფერი გაუგეს და ვებ-გვერდზე “შინის” ანოტაციაში ასე ჩანს: “შირთადად, სიმღერები შესრულებულია უცხოურ ენაზე. თუმცა, სავარაუდოა, რომ ალბომში სხვადასხვა შემსრულებელი იღებდეს მონაწილეობას...” მართლაც, სევდიანი ამბავია ნეტა, იყიდის კი ვინმე “უპატრონო ნივთების სასაფლაოსთვის” განწირულ ქართულ მუსიკას?..

აი, ასე: საშვილიშვილოდ დაკარგული ჩემოდნები “გარდაცვალების” შემდეგ ალაბამას ცენტრში აგრძელებენ სიცოცხლეს. ისინი იქ უპატრონო ბავშვების მსგავსად “ახალ მშობელს” – ახალ მფლობელს ელიან, რათა კიდევ ერთხელ გაამართლონ თავიანთი არსებობა. თუმცა, ბევრი მათგანი ამას მაინც ვერ ახერხებს უბრალოდ იმიტომ, რომ მართლაც მკვდარია: მაგალითად, ის გველი, რომელიც რამდენიმე ხნის წინ ერთ-ერთ ჩემოდანში აღმოაჩინეს; ანდა, აყრულებული სენდვიჩები, დაობებული პურები და გაფუჭებული ხილი... არავინ იცოდა არც საქორწინო ბეჭდები. არადა, სკოტსბორში მოხვედრილ ერთ-ერთ ჩანთაში სამი კოლოფი ბეჭდები იდო. აი, ასეთ სევდიან და სასაცილო ამბებს ჰყვებიან დაკარგული ჩემოდნები საერთო საცხოვრებელში მოხვედრის შემდეგ.

გამოსულებელი ფილმის ახალი სერიების გაკეთებაზე ფიქრობს. სწორედ ამ ფილმი ჩანაფიქრის გამო დაურთეს სათაურს “კარიბის მეკობრეებს” კიდევ ერთი “სათადარიგო” ქვესათაური – “შავი მარგალიტის წყევლა”. შემდეგ ფილმზე დარჩება პირველი სათაური, რომელსაც რამიმე ახალს დაუმატებენ.

“მეკობრეები” დანარჩენი ფილმებისგან იმითაც გამოირჩევა, რომ ის შექმნილია იგივე სახეობის “დისნის” თემატიკური პარკის მიხედვით. ამიტომ ფილმის შემქმნელებმა ყველაფერი გააკეთეს, რათა კინოსურათიც ერთი თავბრუსდამხვევი, “დისნის” სტილის ატრაქციონისთვის დაემსგავსებინათ – როცა არასდროს იცი, რომელი კუთხიდან გამოგვტყობს საშიში ჩონჩხები და რომელი მოსახვევიდან გაივებ იმქვეყნიურ ხმებს. შესაბამისად, “მეკობრეები” სპეც-ეფექტებითაც გავსებს.

თავად რეჟისორი თავის ქმნილებას ასე ახასიათებს: “ეს არის დიდი, ძვირადღირებული და რომანტიკული ფილმი. შევეცადე მას ჰქონოდა ყველაფერი, რისი ნახვაც კინოთეატრში ყოფნისას მე თვითონ მსიამოვნებს”.

ერთი სიტყვით, ისინი, ვისაც რაინდების ეპოქა მოეწონება, 9 ივლისს – მსოფლიო პრემიერის დღეს გულსიფანცქალით ელიან. მათ გორ ვერბინსკის რეჟისორული ნიჭისაც სჯერათ. მან ხომ კარიერა 1997 წელს “მექსიკელი” დაიწყო (ჯულია რობერტსი და ბრედ პიტი), 2002 წელს კი საშინელებათა უჩინოს მნიშვნელოვანი ნიშნები “ბექჟედი” შექმნა. ასე რომ, “კარიბის მეკობრეებს” წარმატების გარანტიას ვერბინსკის წარმატებული წარსულიც აძლევს.

კალიდოსკოპი

წინააღმდეგობრივი აღსავსა პროცია

თუკი 17 აგვისტომდე დიუსელდორფს ენევეით, ჰელმუტ ნიუტონის გამოფენის, Helmut Newton – Work-ის დათვლიერებას შეძლებთ. დარბაზებში ითბი ათნულულის განმავლობაში შექმნილი 200 ნამუშევარია წარმოდგენილი. მონუმენტალურ მიშველ ფიგურებთან ერთად გამოფენილია სახელგანთქმული კინოსახიობის პორტრეტებიც, ისევე, როგორც 82 წლის ხელოვანის პროფესიული მოდის ფოტოგრაფიის ნიმუშები, რომლებიც დაუფარავად სექსუალური აქცენტების გამო ყოველთვის დიდი მოთქმა-მოთქმის საგანი იყო.

ამ სადავო ნამუშევრებში ძირითადი სერია Big Nudes გახლავთ: 80-იანი წლებიდან ნიუტონი თავის მაღალ ქუსლებზე მდგომ მიშველ მოდელს ნიცასა თუ პარიზში იღებდა. სერიისთვის Domestic Nudes ნიუტონმა თავისი ფანტაზიების ბორცვსახიობის გარეშად ყოველდღიური ყოფა აარჩია – ქალები თავიანთი სხეულების დემონსტრირებას სამხარეულში თუ მყურდრ მისაღებ ოთახებში ახდენენ.

ფოტოსურათებს, რომლებიც სერია Dummies-ს შეადგენს და ფრანგული მოდის ჟურნალისთვის იყო გადაღებული, თავად ნიუტონმა “პრონოციაფიული” უწოდა. ამ ფერად ფოტოებზე ვიტრინებში მდგომ მანეკენების გარეშე მშვენიერი სხეულები თითქმის ფანტასტიკური ატმოსფეროს ქმნიან.

Girls of Berlin-ის გადასაღებად ნიუტონი თავის მშობლიურ ქალაქში დაბრუნდა – 1920 წელს ის სწორედ ბერლინში დაიბადა. კედლის დანგრევითან ცოტა ხნის შემდეგ მან რაიხსტაგის ფონზე მრავალი ახალგაზრდა ქალის პორტრეტი გადაიღო.

წელი	მოხდენი
1917 წელი	პირველი მსოფლიო ომის დროს საფრანგეთში პირველი კინოფილმის გადაღება
1284 წელი	ქალაქ პავლინიდან მხარულმა მისალაურემ 130-მდე ბავშვი გაიჭყა.
1896 წელი	ახალ ორლანსში გაიხსნა პირველი კინო-თეატრი, რომელიც 400 ადამიანს იტევდა.
1906 წელი	ლუ მანში ჩაგრადა პირველი მოტო-რობლა გრან-პრის მისამართი.
1945 წელი	სან ფრანცისკოში გაიხსნა ქართული ორმოცდაათი ქვეყანამ მოაწერა ხელი.
1977 წელი	ინდინაპოლისში ელვის პრესლიმ თავისი ბოლო კონცერტი ჩაატარა.
1989 წელი	ნორვეგიის სანაპიროს ტერიტორიაზე ავარია შეემთხვა საბჭოთა პილოტულ წყალქვეშა ნავს.
2000 წელი	მეცნიერთა ორმა გუნდმა განაცხადა, რომ მათ შეძლეს ადამიანის გენის სტრუქტურის გამოფერა.

აზიანების სარეკლამო



BBC-ს ცნობით, ინგლისის ქალაქ მილტონ კინსში გამართული კონცერტის დროს ამერიკელმა რეპერმა, ემინემმა, დარბაზში მჯდომი უცნობი ქალი, მართლაც, მეფურად დასაჩუქრა. მან მას ტენკვი გადაცა, რომელიც 275 ათასი გირვანქა სტერლინგი ღირს.

“ამას ვერცხვნი ყველაზე ღირსეულ ქალს, რომელიც ოდესმე მინახავს,” განუცხადებია მუსიკოსს. ახალგაზრდა ქალი, 19-20 წლისა, პირველ რიგებში მჯდარა. იქვე მდგომი მყურებელი შემდეგ მოჰყვა, რომ ქალი ნამდვილად შოკში იყო ჩაგარდნილი.

სიხლე მუზეუმების კონკულა

ეს ბერლინის მუზეუმების კუნძულზე განხორციელებული ერთ-ერთი ყველაზე ფართომასშტაბიანი პროექტი იქნება: სამშაბათს მეორე მსოფლიო ომის დროს ნაწილობრივ დაზარებული “ახალი მუზეუმის” რეკონსტრუქცია დაიწყო. აღდგენით სამუშაოებს ბრიტანელი არქიტექტორი, დევიდ ჩიპერფილდი უძღვება, რომელიც ამ საქმისთვის ხუთი წლის განმავლობაში ემზადებოდა. კულტურის მინისტრმა კრისტინა ვაისმა განაცხადა, რომ ამიერიდან “მე-19 საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სამუზეუმო ნაგებობის შენარჩუნების და მომავალში მისი სრულად გამოყენების იმედი შეიძლება გვექნოდეს”. მთელი მუზეუმების კუნძული იუნესკოს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის სიაშია შეტანილი. “ახალი მუზეუმი” მეცხრამეტე სა-

უკუნის შუახანებში იყო აშენებული. 2001 წელს რესტავრირებული “ძველი ეროვნული გალერეა” გაიხსნა, 2006 წლისთვის “ბოდენმუზეუმის” გახსნას გეგმავენ, შემდგომ – პერგამონის მუზეუმისა და “ძველი მუზეუმისა”. აქამდე აღდგენით სამუშაოებს ფინანსური სირთულეების გამო ვერ იწყებდნენ. “ახალი მუზეუმის” რესტავრაცია 2008 წელს უნდა დასრულდეს, და პროექტის ღირებულება 233 მილიონი ევრო გახლავთ. ბერლინის სახელმწიფო მუზეუმების გენერალურმა დირექტორმა, პეტერ-კლაუს მუსტერმა, თქვა: “დღეს მუზეუმების კუნძულზე მეორე მსოფლიო ომი დამთავრდა”. 1 ივლისამდე მსურველები ჯერ კიდევ შეძლებენ “ახალი მუზეუმის” დათვალიერებას, შემდგომ კი შენობა 2008 წლამდე დაიხურება.

იპოთეკა
განმარტობა "ლიბრას"
ახალი წიგნი

დაით ტურაშვილის "გურჯი- ხათუნი და აკა მორჩილიძის "მელიქსეთაშის თბილისი"

ხაღმდობით მოცული აშუბი, ხახიყარული ისტორიები და ფოტოგრაფიანი თაყვადისაღებები ჩვენი ქვეყნის წარსულიდან.

ფინდი "ღია საზოგადოება - საქართველო"
OPEN SOCIETY - GEORGIA FOUNDATION

პროექტისთვის კანდიდატის ცნობა

ღია საზოგადოების ინსტიტუტის საქართველოს კონსტიტუციური კვლევის ცენტრი

წელი განაცხადი უნდა გაკეთდეს ინტერნეტით შემდეგ მისამართზე:
<http://www.osi.hu/ipf>

2003 წლის 1 აგვისტომდე

ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის პოლიტიკური კვლევების ცენტრი აცხადებს კონკურსს 2004 წლისთვის საერთაშორისო პოლიტიკის კვლევითი სტიპენდიების მოსაპოვებლად.

კონკურსში გამარჯვებულები მიიღებენ მონაწილეობას ანალიტიკურ პოლიტიკურ კვლევებში ღია საზოგადოების ლიდერებისათვის. სტიპენდიების მიმღებები გაიღვივან პროფესიულ წოდებას პოლიტიკურ ანალიზში. განაცხადებებში უნდა წარმოადგინონ ინდივიდუალური, პრაქტიკული და პოლიტიკული ორიენტაციის კვლევის გეგმა შემდეგ თემებზე:

- ადმინისტრაციული საშუალებები
- ეკლესიისა და სახელმწიფოს დამოკიდებულება: რეგულაცია, ოფიციალური რელიგია და დისკრიმინაცია
- კორუფცია მუშაკების სფეროებისა და საზოგადოებრივი ხარჯების
- კულტურული პოლიტიკა და კულტურული მემკვიდრეობა
- მრავალფეროვნება და გამჭვირვალობა განათლებაში
- საარტიკული რეფორმები, უმცირესობათა წარმომადგენლობის თანაბრობა და დემოკრატიული ანტიკორუფციული ღონისძიებები
- თანამართლებლობის პოლიტიკა: თანამართლებლობის პრინციპი პრაქტიკაში
- ექვემდებარება პოლიტიკა გარემოსთან დაკავშირებულ კვლევებებთან-სამართლებამდე
- საინფორმაციო პოლიტიკა
- სასოფლო-სამეურნეო რეფორმა
- მიკროფინანსების ზრდა საფინანსო ოპერაციების ხელშეწყობის გაზრდის მიზნით
- მიგრაცია და მოქალაქეობის პოლიტიკა
- საზოგადოებრივი ჯანდაცვა
- პოლიტიკური პროცესი და პოლიტიკის მუშაობის გარემო

გამარჯვებულებს მიეცემა სტიპენდია ერთი წლის მანძილზე, მზარდობის თანხები და ის ტენიკა, რომელიც მათ სჭირდება პროექტის განხორციელებისათვის. სტიპენდიის რაოდენობა დამოკიდებულია ქვეყანაში არსებულ ფინანსურ სიტუაციაზე და წარმოდგენილ პოტენციალზე.

პირველი განაცხადები ხელდასმული ინტერნეტის მეშვეობით შემდეგ მისამართზე <http://www.osi.hu/ipf>. წარმადგინებელი განაცხადებებს საბოლოო გადაწყვეტილების შესახებ ეცნობებათ არაუგვიანეს 2004 წლის 15 იანვრისა.

დეტალური ინფორმაციისთვის მიმართეთ ფონდს ღია საზოგადოება საქართველოს, 380006 თბილისი, შოველისის 10, ტ.25 04 63, 93 89 99

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი (სდასუ)

მრავალპროფილიანი ლიცეუმი
(სწავლების ხანგრძლივობა 2 წელი)
და კოლეჯი
(სწავლების ხანგრძლივობა 3 წელი)

თანამედროვე ევროპული სტანდარტების სასწავლებელი

ლიცეუმში გაძლიერებული პროგრამით შეისწავლება ინგლისური და გერმანული ენა, კომპიუტერი და სხვა დისციპლინები. ლიცეუმში უფლებამოსილია გასცეს საშუალო განათლების პროგრამის სერთიფიკატი (ატესტატი), რომელიც ასახავს მოსწავლის ინდივიდუალურ მიღწევებს. ლიცეუმის კურსდამთავრებული თავისუფალი არჩევნით სწავლა განაგრძოს ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში, თუმცა, თუ სდასუზე შეასრულეს არჩევანი, მისთვის იარსებებს მნიშვნელოვანი შეღავათები.

მრავალპროფილიანი კოლეჯში სასწავლო პროგრამის შემდეგი საცდელია:

- ბიზნესი და მარკეტინგი.
- საბუნებრივი მეცნიერება და ბიოლოგია, ანალიზი და კონტროლი.
- სოციალურ-ეკონომიკური საზოგადოების და ორგანიზაცია.
- უცხო ენები და ნებისმიერი კლასი.
- ორთომედიული სტომატოლოგია.
- მედიის საფე.

ლიცეუმში და კოლეჯში მოსწავლეთა მიღება ხდება შერჩევითი გასაუბრების საშუალებით. ლიცეუმის წარმართული კურსდამთავრებულები, სანიშნო ყოველწევრი და მაღალი აკადემიური მოსწავლის შემთხვევაში, შესუქმდებიან უნარით დაყოფილებული ახალგაზრდები დაყოფილებიან დავით აღმაშენებლის სახელობის მედიის და უგამოდოდ ჩარიცხებიან უნივერსიტეტში.

თბილისი: ვაკის რაიონი, ილია ჭავჭავაძის გამზ.25
ტელ: 25-36-77; 98-94-45; 25-39-19.

თქვენი რეკლამა
R306L გაზიარება

20-24-24
20-00-24

საოცარი დეპუტატი

შეიძინეთ გაერთიანებული მოიგეთ!

ფორმა "ფინიქსი" გთხოვთ წარსტატა.

ყოველ შაბათს, რუსთავე 2-ის პირდაპირ ეთერში გაიშარება ტელეგამარტორ "საოცარი ტოტოს" გათამაშება.

დაწარმოებათი ინფორმაცია და კომუნიკაციათი სხრილი ინფორმაცია გაზიარება "24 საათში"

კროსვორდი

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	31	32	33	34	35	36	37	38	39	40	41	42	43	44	45	46	47	48	49	50	51	52	53	54	55	56	57	58	59	60	61	62	63	64	65	66	67	68	69	70	71	72	73	74	75	76	77	78	79	80	81	82	83	84	85	86	87	88	89	90	91	92	93	94	95	96	97	98	99	100
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	31	32	33	34	35	36	37	38	39	40	41	42	43	44	45	46	47	48	49	50	51	52	53	54	55	56	57	58	59	60	61	62	63	64	65	66	67	68	69	70	71	72	73	74	75	76	77	78	79	80	81	82	83	84	85	86	87	88	89	90	91	92	93	94	95	96	97	98	99	100

წაგალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

თუ განუხებთ პროსტატიტი, ცისტეტი, ქალური და მარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხერხლის ბაგეთა მინებება, სუნის ან გახშირებული; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია, მიიღეთ წაგალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს უტ-ნანღავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს. "სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), პეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინეკოლოგიის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წაგალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცლებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წაგალი "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ ავთიაქეზში. წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ღირებულებას.